



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

ღარი

№ 2 (363) თებერვალი, 1967 წ.


გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი

თებერვალი.

ფოტო თანავიზუალური

სიყვარულის გზა



ნოდარ ნარსია

„ვერ ვინმე მესხი მეღვინე...“
რუსთაველი

კახეთში ვიყავ, მზიან კახეთში,
მიწა-მადლიან სავენახეთში...
თვალი მომტაცა ველმა ალაზნის,
სხვაგან არსაით არ გამახედა...
ღმერთო, რარიგად იყო ლამაზი,
კახელ გლეხკაცის დინჯი დახვედრა.
ისე მოზღვავედა თონის პურები,
ველარ ძღვებოდა თვალი ყურებით.
სიტყვა სიტყვაზე დინჯად აკინძეს
და როცა სუფრას შემოვუსხედით...
სათქმელს მოჰყვა და... წასცდათ მასპინძლებს —
ჩვენებურია შოთა რუსთველი.
...და მერე მოჰყვნენ ზღაპარ-ლეგენდას,
წინ დამიყენეს შორი წარსული,
რუსთაველს როგორ შემოეფეთა
და შეუყვარდა მეფის ასული.
როგორ დაისრა თვალმა დამწველმა
და მერე წიგნი როგორ დაწერა.
...და გრძელდებოდა ისევ ლეგენდა,
როგორ დასდევდა ჩიტებს შურდულით,
ჩიტის ბუდეებს როგორ ეძებდა,
როგორ აღხენდა ჩიტთა უღურტული.
ჩვეულებრივი იყო ბავშვიო,
ჩვეულებრივი ჰქონდა ბავშვობა...
ვერ ისვენებდა თურმე სახლშიო,
ალაზნის პირად დათამაშობდა...

...და მერე მოჰყვნენ ამბავს — ლეგენდას,
(წინ დამიყენეს შორი წარსული),
რუსთაველს როგორ შემოეფეთა
და შეუყვარდა მეფის ასული,
როგორ დაისრა თვალმა დამწველმა
და მერე წიგნი როგორ დაწერა.
...და გრძელდებოდა ისევ ლეგენდა,
როგორ აღრთხობდა ჩიტებს შურდულით,
ჩიტის ბუდეებს როგორ ეძებდა,
როგორ ატკობდა ჩიტთა უღურტული.



და გურიისშიც შეგხვდი გურულეებს,
ჩამიგურულეს, ჩავგურულე...
სიტყვით მალხინეს, სიტყვად მაქციეს,
გავაციინე და მეც გამაციინეს.
მერე მოვყევით იქით-აქეთურს,
ის იყო სუფრას შემოვუსხედით...
თქვეს: —
ხშირად უნდა იყოთ აქეთო,
— აქაურია, ძმაო, რუსთველი.
...და მერე მოჰყვნენ ამბავს — ლეგენდას,
რუსთაველს როგორ შემოეფეთა...
...და გრძელდებოდა ისევ ლეგენდა,
როგორ დასდევდა ჩიტებს შურდულით,
ჩიტის ბუდეებს როგორ ეძებდა...
როგორ აღხენდა ჩიტთა უღურტული...



იმერეთშიაც ვიყავ, დედუღეთს,
სასაყვედურო მისაყვედურეს...
და როცა სუფრას შემოვუსხედით...
აქაც დამიხვდა ხატი რუსთველის,
აქაც იგივე დამხვდა ლეგენდა,
რუსთაველს როგორ შემოეფეთა...
როგორ დაისრა თვალმა დამწველმა
და მერე წიგნი როგორ დაწერა...



აჭარაშიაც ვიყავ ძმობილთან,
აჭარელ ძმათა ნახვა მომინდა...
მეგზურად მყავდა ჭემალ ჭაყელი,
მერე აჭარის სოფლებს დავყევით,
სტუმრად ვეწვიეთ მემედ ნარსიას,
ის იყო სუფრას შემოვუსხედით...
თქვა მასპინძელმა: —

ეს ხომ ასეა,
— ჩვენებურია შოთა რუსთველი.
...და მერე მოჰყვა ამბავს — ლეგენდას
(თვალწინ დამიდგა შორი წარსული)
რუსთაველს როგორ შემოეფეთა... —
და შეუყვარდა მეფის ასული.



სვანეთშიც ვიყავ, რაჭა-ლეჩხუმშიც,
ფშავლებს ვეწვიე, ვეძმე ხევსურეთს...
ზოგან ენგურის ტალღებს ვეჩხუბე,
ზოგან არაგვის წყალში შევცურე.
სულ დავიარე ამერ-იმერი,
ყველა მათგანის გავხდი სტუმარი,
სადაც ვიყავ და... სადაც მივიღე —
გულივით მეღო თაქასთულალო.
სუყველგან იღვა ოდა-სართული,
ვლოცავდი ქართველ კაცის მარჯვენას.
ყველგან ლაღობდა სიტყვა ქართული,
კარგი! ღამი და გამარჯვება.
მწერას აესროდნენ სააღერსოდა
და ყველა მათგანს გულით ვუსმენდი...
ყოველ კუთხეში, ყველგან მესმოდა:
— ჩვენებურია შოთა რუსთველი.



ჩემო სამშობლო! ვღვაჯარ, მახარებს
შენი ძალა და შენი სიკეთე...
მეც შენს მიწაზე ცრემლი დავღვარე
და ცრემლის გზები გადავიკეტი.
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლე,
ვარ მუხლმოყრილი მეც შენს წინაშე...
იგი აქ არის...


და შენ იცოდე,
რომ აღარ წავა პალესტინაში.
თბილად დაუხვდი დედაშვილობას,
ის ვერ შეცვალა სხვათა
სხვა რჩულმა.
შენ მოუშუშე ყველა ჭრილობა
და ის აქმარე რაც გატანჯულა.
გულლიად შეხვდი შვილს და მეგობარს,
ფართოდ გაუხსენ შენი კარები...
აღბათ იცოდა, აღბათ ელოდა,
რომ ასე ძლიერ შეიყვარებდი.



10.369

აი, ჯა მოსახლ

საუროსა



ფოტო ოთარ თურქიასი

ძთავარი ინჟინერი რობერტ გოგოლაძე (მარცხნიდან) და ექსპლოატაციის დარგის უფროსი ვახტანგ შენგელაია ამოწმებენ სამგზავროდ გამზადებულ მანქანებს.

რა ხანსრები დაიხარჯა, რამდენი მასალა, სამუშაო ძალა, როგორია ეფექტი, ვიზარალეთ თუ მოვიგეთ — აღრე, ეკონომიურ რეფორმამდე ბევრ საწარმოსა თუ კანტორაში ეს საიდუმლოება მარტო ბუღალტერიამ იცოდა. იქ იანგარიშებენო, ფიქრობდნენ ხელმძღვანელები და გულს ამით იმშვიდებდნენ. ახლა ეს ასე აღარ არის; რაც უფრო ფართოდ ვრცელდება რეფორმა, რაც უფრო ღრმად ინერგება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, მისი ეფექტურობა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება, ჩვენი მუშაკები ეძებენ და პოულობენ სულ ახალ-ახალ, აქამდე თითქოს შეუმჩნეველ შესაძლებლობებს, რომლებიც აჩქარებენ ჩვენი მიუწრნობის წინსვლას.

თბილისი. პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორა... სუფთად დაკრიალებულ, ვეება ეზოში სამასამდე სატვირთო მანქანა დგას. წუთიც და ისინი, ერთმანეთის მიყოლებით, გუგუნ-გუგუნით გავლენ აქედან და გაუდგებიან შორეულ გზებს, მოივლიან ქალაქებსა და სოფლებს, და როცა დაბრუნდებიან უკან, ნამგზავრნი და ნაჯაფნი, აქ, აგერ იმ საამქროების თეთრ კორპუსებში მათ დახვდებით მზრუნველი ხელები, რომლებიც მტვერსა და ტალახს ჩამორეცხავენ, თუ შესაკეთებელია რაიმე, შეაკეთებენ და სახვალიოდ ისევ გააშაადებენ შორეული თუ ახლო რეისებისათვის. უკვე კარგა ხანია აქ მუშაობენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის მიხედვით; მუშაობენ მთელი გატაცებით. ამ ახალ პირობებში მუშაობის უფლების მოსაპოვებლად საჭირო იყო მიედწით მეტად მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ წარმატებით განეხორციელებინა ეს სამეურნეო რეფორმა, კანტორას უეჭველად უნდა შეექმნა მტკიცე და რეალური ბაზა. მდ ეს ბაზა შექმნა, და ახალ სისტემაზე გადასვლაშიც თავისი შესანიშნავი შედეგები გამოიღო.

ამ კანტორის ხელმძღვანელებს, მექანიკოსებს, ოსტატებს, შოფრებს, ინჟინრებს მართლაც დიდი შრომის, საქმისადმი რეალისტური, შემოქმედებითი მიდგომის, ანგარიშიანობისა და ინიციატივის გამოჩენა დასჭირდათ, რათა წარმატებით გაერთვათ თავი ამ სამეურნეო გარდაქმნებისათვის. განვლილი მუშაობის ანალიზი ნათელყოფს, რომ სამეურნეო რეფორმის განსახორციელებლად იმთავითვე აუცილებელი გახდა მთელი რიგი რთული საკითხების გადაჭრა და მოგვარება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაზრდილიყო საავტომობილო პარკის გამოყენების კოეფიციენტი — სამუშაოდ უნდა გასულიყო რაც შეიძლება მეტი მანქანა. ამის მისაღწევად საჭირო გახდა პროფილაქტიკური მომსახურე-

ბისა და ავტომეშვეთბელი სახელოსნოების მეორე ცვლაში გადაყვანა. ამით აღიკვეთა მანქანების მოცდენა, გაუმჯობესდა შეკეთების ხარისხი. გარდა ამისა, მთელი პარკი გაიყო ორ ნაწილად. თვითეული ეს ნაწილი გააპირგენს თითო ოსტატზე. ოსტატს მიეცა წინადადება, რათა ყოველდღიურად გამოუშვას 80 მანქანა. ყოველ ზედმეტად გამოშვებულ მანქანაზე მას მიეცემა 50 კაპიკი, ხელოსნების ბრიგადას კი — 2 მანეთი, რაც შემოინახება და თვის ბოლოს თანაბრად განაწილდება ბრიგადის წევრებზე. ასეთი მატერიალური დაინტერესება შესანიშნავი სტიმული გამოდგა. და თუ აღრე, ვთქვათ, ყოველ ას მანქანიდან დღეში სამუშაოზე გამოდიოდა 70-72 მანქანა, ახლა უკვე 82-85 მანქანას იყენებენ.

კანტორამ მიაღწია იმასაც, რომ შეამცირა მანქანების უტვირთო გარბენები, და მაშასადამე, შესაბამისად გაზარდა მათი ტონაჟიც. აღრე შოფერი რომ ტვირთს გადაიტანდა საღმე, უკან ცარიელი ბრუნდებოდა და მანქანაც ცდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ უკანაც დატვირთული წამოვიდოდა, საგურზე გამოწერილი თანხის მხოლოდ 70 პროცენტი ეძლეოდა. ახლა ეძლევა ამ თანხის 100 პროცენტი და დამატებით კიდევ 10 პროცენტი უკან დაბრუნების დროს ტვირთის მოძენისათვის.

მანქანების დროულმა პროფილაქტიკამ და ხარისხიანმა შეკეთებამ, აგრეთვე შოფრების ამგვარმა მატერიალურმა დაინტერესებამ გაზარდა მანქანის საშუალო სადღეღამისო გარბენის დონეც. აღრე თუ იგი 200 კილომეტრს არ აღემატებოდა, ახლა 230 კილომეტრსაც კი აჭარბებს. გაიზარდა მანქანის მუშაობის ხანგრძლიობაც.

საავტომობილო პარკის მომსახურების ორ ცვლიდან ერთ, საღამოს ცვლაში გადასვლამ გაათავისუფლა მუშა ხელის გარკვეული რაოდენობა. ამ ხელოსნებიდან ზოგმა შოფრად დაიწყო მუშაობა, ზოგი კი გადაყვანილ იქნა ამავე სისტემის სხვა საწარმოებში.

გონივრულმა მომჭირნობამ და კარგმა პროფილაქტიკურმა მომსახურებამ ავტოსატრანსპორტო კანტორას საშუალება მისცა შეემცირებინა სათადარიგო ნაწილების გამოყენება და, მაშასადამე, ხარჯებიც, გაეზარდა საბურავების ხმარების ხანგრძლიობა და ა. შ.



მექანიკური ავტოსამრეცხაო.

შოფრები (მარცხნიდან) — ი. სინიცინი, ვ. ჯოხაძე, მ. ჩოხელი და ე. კაკალაშვილი აზუსტებენ თავიანთ მარშრუტებს.

კანტორის უფროსი ვლადიმერ კერესელიძე მაგიაზე ციფრებით აპრელბულ ფურცლებს აწვობს, — აი, თქვენ თვითონ ნახეთ, რა შედეგებს მივაღწიეთ!

შედეგები მართლაც შესანიშნავია: ამ ავტომეურნეობის თვითეული მუშაკის შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 82,7 პროცენტით, საშუალო თვიური ხელფასი კი — 80 პროცენტით; ასე, მაგალითად, მოწინავე შოფერს თ. გოლაშვილს თუ 1965 წელს თვიური ხელფასი საშუალოდ 251 მანეთი ჰქონდა, ახლა, რეფორმის განხორციელების შემდეგ იღებს 292 მანეთზე მეტს. ამასთან დამატებით მიიღო 485 მანეთი წლიური პრემია, მოწინავე შოფერს ე. სისაურს თვიური ხელფასი გაუდიდდა თითქმის 40 მანეთით, პრემია კი 861 მანეთი მიიღო, პ. პოდოშნის — 80 მანეთით, პრემია კი 860 მანეთი მიიღო და ა. შ.

თვით ავტოსატრანსპორტო კანტორამ მიიღო 470.000 მანეთი მოგება. ამ თანხიდან ავტომეურნეობაში დარჩა 108 ათას მანეთზე მეტი. მატერიალური სტიმულირებისათვის გამოყოფილ იქნა 62 ათასი მანეთი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის და მშენებლობისათვის 81 ათასი მანეთი და ა. შ.

ამ „შინა ბიუჯეტის“ შექმნამ კანტორას საშუალება მისცა საკუთარი ხარჯებით აეგო მექანიკური ავტოსამრეცხაო, საბურავების სამონტაჟო სამქრო, გაფართოებინა შემლუღებელი და თვითმცლელი მანქანების შემკეთებელი სამქროები, დაეწყო ახალი სადისპეტჩერო შენობისა და კლუბის მშენებლობა, გამოეყო თანხები 18 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. მიმდინარე წელს კი განხორციელდება მიმდინარე რემონტების სამქროსა და სასადილოს რეკონსტრუქცია, მოეწყობა ინდივიდუალური ხასიათის კომფორტაბელური გასახილვები და სხვ.

ეს კი მხოლოდ დასაწყისია. წინ წარდისა და განვითარების მეტად ფართო პორიზონტია გაშლილი; თუმცა აქა-იქ ჯერ კიდევ იგრძნობა ის ხარვეზები და დაბრკოლებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ხელს უშლიან ავტოსატრანსპორტო კანტორის ნორმალურ მუშაობას.

ავიღოთ თუნდაც ერთი საკითხი. 1967 წლიდან კანტორა აპირებს წრიულ მარშრუტით მუშაობას, რაც მათემატიკური განაგარიშების მეთოდით მო-

ეწყობა. რას ნიშნავს ეს წრიული მარშრუტი? ეს იმას ნიშნავს, რეისზე გასული ავტომანქანა რომ ტვირთს გადაიტანს რომელიმე ობიექტზე, იგი უკან კი აღარ დაბრუნდება ცარიელი, არამედ ამ ობიექტიდან სხვა ტვირთით დატვირთული გადადის მეორე ობიექტზე, მეორედან მესამეზე, მესამედან მეოთხეზე და ა. შ. სანამ არ შეკრავს წრეს და ასე ტვირთის გადაზიდვის პროცესში არ დაუბრუნდება მისი გამგზავრების საწყის წერტილს — კანტორას. მაგრამ ასეთი წრიული მარშრუტით მუშაობა რომ მოეწყოს, საჭიროა ავტოსატრანსპორტო კანტორამ სწორად დაგეგმოს ტვირთზიდვის რეისები. ეს სწორი დაგეგმა კი შეუძლებელია, თუ მომხმარებელმა წინდაწინ არ შეიტანა კანტორაში თავისი განაცხადი, ჯერჯერობით, როგორც წესი, ამ განაცხადებს იღებენ მეტად დაგვიანებით, ამასთან ზოგჯერ თხოულობენ 10-20 მანქანას ერთად. ავტოსატრანსპორტო კანტორა თხოულობს განაცხადს არა მანქანების რაოდენობაზე, არამედ ტვირთის რაოდენობისა და მისი გადაზიდვის ობიექტების დასახელებების შესახებ. ელმავალმშენებელი ქარხანა კანტორისაგან ყოველდღიურად თხოულობს 12 მანქანას ბურბუშელას გამოსატანად, მაშინ, როცა ეს კანტორა ძირითადად მასიურ და ცენტრალურ გადაზიდვაზე მუშაობს. ასე რომ ფაქტიურად ეს თორმეტი მანქანა ვერ ასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას. ბევრად უფრო მოუხდებოდა საქმეს, თუ ელმავალმშენებელი ქარხანა დამხმარე ტრანსპორტად საკუთარ მანქანებს იყოლიებდა და ეს მანქანები შეტანილი არ იქნებოდნენ ქარხნის მოგების გეგმაში. ასეთივე პირობებია, მაგალითად, ქარხანა „ცენტროლიტი“.

ავტოსატრანსპორტო კანტორის მიერ ახალი სამეურნეო რეფორმის სწორად განხორციელებას ხელს უშლის აგრეთვე ისეთი არც თუ უმნიშვნელო ფაქტი, როგორც არის კანტორის კლიენტურის, მომხმარებლის მუდმივი ცვალებადობა. ავტოტრესტში ამ საკითხსაც უნდა ჩაუფიქრდნენ. ავტოსატრანსპორტო კანტორამ მტკიცედ უნდა იცოდეს ვის და რამდენ ხანს უნდა მოემსახუროს, სად და რა ტვირთი უნდა გადაზიდოს წლის მანძილზე. დღესდღეობით, სამწუხაროდ, კლიენტურის საკითხი ხშირად სტიქიურად წყდება და მას შემთხვევითი ხასიათი ეძლევა.

პირველ ავტოსატრანსპორტო კანტორას კარგი ხელმძღვანელები და საქმიანი, მშრომელი კოლექტივი ჰყავს; მათ სწორად აუღეს ალღო ახალ ვითარებას; ეს კი იმის საწინდარია, რომ მიმდინარე წელს ისინი უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ.

იმ ამბებზე, რომელიც სმოლნი ხდებოდა 1917 წლის 6 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე დამით, წერდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკი და ჯონ რიდი, ანატოლი ლუნინი და ალბერტ რის ვილიამსი. და კიდევ ვინ მოსთვლისი ამაზე და-წერილია უამრავი წიგნი, შექმნილია ფილმები და სპექტაკლები, პოემები და მოთხრობები. სმოლნის შენობაში მოთავსებული იყო რევოლუციის შტაბი, აქ იყო დიდი ლენინი, შექმნილი და დამფუძნებელი პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი.

სმოლნის ამ დღეებისა და ღამეების უოველ საათს, უოველ წუთს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. აი ამ ახალი მატიალის თარიღები: 6 ნოემბერს, დამით, ლენინი მოვიდა სმოლნი აჯანყებასთვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწყვეად. 7 ნოემბერს, დილისათვის ტელეფონის სადგური, ტელეგრაფი, რადიოსადგური, ნების ხაზები, ვაჭურები, დელაქადაქის უმნიშვნელოვანესი დაწესებულებანი აჯანყებული მუშების და ჯარისკაცების ხელში იყო.

7 ნოემბერს ლენინი, მთელი ღამე და დღე იმყოფებოდა სმოლნი და ხელმძღვანელობდა აჯანყებას. მას ორი დღე და ღამე არ უძინია და არ დაუსვენია. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იერიშით აიღეს ზამთრის სახსლე და დაპატიმრეს დროებითი მთავრობა, ლენინი, 7 ნოემბერს, დამით რამდენიმე საათით წავიდა დასასვენებლად. ამ ღამეს მან დაწერა პირველი საბჭოთა დეკრეტის პროექტი. ეს იყო პროექტი სახელგანთქმული დეკრეტისა მიწის შესახებ.

იმ დღეებში მთელ მსოფლიოს მოეჩინა ლენინის სიტყვები: „ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“.

ლენინის ეს სიტყვები, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები წარმოადგენენ „ჩვენი საუკუნის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფურცლებს“; ლენინმა გადასჭრა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის უძნელესი ამოცანები.

და აი, დაიწყო მომდევნო, 1918 წელი. ბრესტის ზავი.. ეს იყო ამ წლის დასაწყისის მთავარი პოლიტიკური პრობლემა. „მემარცხენე“ კომუნისტების ლიტონი „რევოლუციური“ ფრაზიორობის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა მიადგინა ზავს, რომელიც აუცილებელი იყო; ამავე წელს იქმნება წითელი არმია, მთელი ხალხი ერთხელსავე დაგება მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ახალ წელს ლენინი ჯერ კიდევ „ძველი სტილით“ ხვდება — ვიბორგის მხარის მუშებთან ერთად, უოფლი იუნკერთა სასწავლებლის შენობაში. ნ. კრუპსკია გვიამბობს, რომ ვლადიმერ ილიას-ძე „მუშებმა სინარულით მიიღეს. იგი ავიდა ტრიბუნაზე. აუდიტორიამ აღნითო იგი. ილიჩმა სადად, უბრალოდ ილაპარაკა იმაზე, რაზეც გამუდმებით ფიქრობდა ბოლო ხანებში“. ბოლშევიკი ილია გორდიენკო, რომელიც მაშინ ვიბორგის რაიონული საბჭოს ხაზინადარი იყო, იხსენებს ლენინის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს:

„ამხანაგებო! აი უკვე ნახვარი სათია, რაც ჩვენ ვცხოვრობთ ახალ წელში. აღბათ ეს ძალიან ძნელი და ძალიან სუსხიანი წელი იქნება. ჩვენ შეგვიძლია ეს დავასვენოთ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი კონტრრევოლუციის ცოფიანი თავდასხმების მიხედვით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ვერც ბატონი რიბბინსკები, რომლებიც საბოტაჟითა და შიმშილით გვიპირებენ ამოხრჩობას, ვერც ბატონი კალიდინები, რომლებიც ეშვადებიან იარაღით გაუსწორდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, ვერ მოახერხებენ თავიანთი „წმინდა“ მისიის შესრულებას. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის! ამის საწინდარი დაიდა, უძნელესი ძალა, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატი წარმოადგენს“.

* * *

1918 წელი, როგორც ამას ლენინი ვარაუდობდა, ძალიან ძნელი და მძიმე, აღმოჩნდა. წლის დასაწყისში საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა მიემართა საპასუხო ზომებისათვის, როდესაც მაშინდელი რუსეთის ხელისუფალნი შეეცადნენ განეიარაღებინათ რუსეთის ფრონტზე მყოფი რუსი ჯარისკაცები და როდესაც მათ დააპატიმრეს ერთ-ერთი პოლკის ჯარისკაცთა კომიტეტის წევრები. სახალხო კომისართა საბჭომ მტკიცედ მოითხოვა დაპატიმრებულითა განთავისუფლება და ბრძანება გასცა დაეპატიმრებინათ რუსეთის ელჩი პეტროგრაფში დიამანდი. 14 იანვარს ლენინი წერდა შეერთებული შტატების ელჩსა და დიპლომატიური კორპუსის უზუცესს დევით ფრენსისს: „სერ, მე ვერ მოახერხებ დაგავიზრებოლით ტელეფონით 2 საათზე, როგორც ადრე იყო შეთანხმებული. ამიტომ გწერთ, რათა შეგატყობინოთ, რომ მოხარული ვიქნებოდი შეგვედროლით დღეს 4 საათზე, ჩემს კაბინეტში, სმოლნის ინსტიტუტში, 81-ე ოთახში“.

ლენინის პირველ შეხვედრაზე დიპლომატებთან, რომლებსაც მაშინ ჯერ კიდევ არ დაეტოვებოდა პეტროგრაფი, მოთხრობილია სახალხო კომისარიატის ანგარიშში, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „დიპლომატიური კორპუსის მიღება სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ“. ეს ანგარიში რედაქტირებულია თვით ლენინის მიერ. მასში მოყვანილია ლენინის პასუხი დიპლომატებისადმი. ლენინმა განაცხადა, რომ რუსეთის ელჩი დიამანდი დაპატიმრებული იყო საგანგებო ვითარების გამო, რომელიც არაა გათვალისწინებული არც არავითარი დიპლომატიური ტრაქტატებით და არც დიპლომატიური წესებით. ლენინი არ ეთანხმება იმას, თითქოს დაუშვებელია რეპრესია იმ ქვეყნის წარმომადგენლის მიმართ, რომელსაც თუმცა ჩვენთვის ფორმალურად ომი არ გამოუცხადებია, მაგრამ იმავე დროს, ალყა შემოარტყა ჩვენს დივიზიას, შიმშილით ხოცავს ჯარისკაცებს და იარაღსა ჰყრის მათ, აპატიმრებს

სმოლნი, 125 ლენინის ღლა

არჩევითი თანამდებობის პირებს... სოციალისტისათვის ათასობით ჯარისკაცის სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე ერთი დიპლომატის მყურდობა“.

ასეთ რთულსა და ძნელ ვითარებაში მიიკვლევდა გზას პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

ცხრაას თვრამეტი წლის თებერვალი... გერმანელებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება საწავო ხელშეკრულების თაობაზე და დაიწყეს შეტევა მთელ ფრონტზე, კიზნერ ვილჰელმის კარგად აღჭურვილი და შეიარაღებული დივიზიები შეუპოვრად მოიწვევენ პეტროგრაფისაკენ. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვს ზავს — თუნდაც უველაზე უარეს პირობებზე.

რა პირობებია ეს?
პარტიის მეშვიდე ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში ვლადიმერ ილიას ძემ განაცხადა:

„ჩვენ გვეგონა, რომ პეტროგრაფს დავკარგავდით რამდენიმე დღეში, როცა გერმანიის მოხლოებული ჯარები მისგან რამდენიმე გადასვლის მანძილზე იყვნენ, საუკეთესო მეზღვაურები და პუტილოვკელები კი, მთელი თავიანთი დიდი ენთუზიაზმის მიუხედავად, მარტოდ დარჩნენ, როცა დაიბადა გაუგონარი ქაოსი და პანიკა, რამაც ჯარები აიძულა გამოქცეულიყვნენ გატრი-ნამდე, როცა ჩვენ განვიციდით იმას, რომ უკან ვიბრუნებდით ჩაუბარებელს, ამასთან ეს იმაში მდგომარეობდა, რომ ტელეგრაფისტი მიდიოდა სადგურზე, მიუჭლებოდა აპარატს და იტყობინებოდა: „არავითარი გერმანელი აქ არ არის. სადგური ჩვენ დავიკავეთ“... ის რას განვიციდითო ჩვენ“.

ასეთ ვითარებაში არაფერი იყო იმ საზიანო, როგორც „მემარცხენე კომუნისტების“ მყვირალა გამოსვლები. იმავე მოხსენებაში ლენინი ამბობდა: „მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ვერ გაიგონ, რომ ისეთ ეპოქაში, როცა დგება განთავისუფლების მტანჯველი, ხანგრძლივი პერიოდი, რომელმაც ეს-ეს არის შექმნა, აიყვანა საბჭოთა ხელისუფლება თავისი განვიტარების სამ საფეხურზე, — მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ ვერ გაიგონ, რომ აქ ხანგრძლივი, ფრთხილი ბრძოლაა საჭირო“.

აი შოფრის ტარას გორხოვოვის ნაამბობი 14 იანვრის საღამოს მანქანით მიხედვის მანუვიდან სმოლნი ლენინის გამგზავრების შესახებ:

„გამოვედით ხილზე ფონტანკის გზით და უცებ გაისმა სროლის ხმა, მანქანის ირგვლივ ტყვიებმა დაიწყეს ზუზუნე. ჩემს წინ, ავტომობილის მინას მოხვდა ტყვია, მინის ნაშხვრეები სახეში მომხვდა. „ეს ილიჩზე თავდასხმა“ — გამიელვა აზრმა... სასწრაფოდ უნდა გავეცალო აქაურობას... ვაწვები რეგულატორს, მანქანა მიფრინავს... კუთხეს ამოვეფარეთ. ქუჩებში აუარებელი თოვლი გორაკებზე იდგა. ნისლის გამო მათ ვერ ვხედავდი. ერთ-ერთში შეიჭრა მანქანა. გადმოვდი, გავადე კარტის კარები და ვიკითხე: „ცოცხლები ხართ?“. მანქანის დათვალეიტების დროს აღმოჩნდა, რომ ძარა რამდენიმე ადგილას ტყვიით იყო გახვრტილი“.

მამაცმა შოფერმა არ იცოდა რა მოხდა „ქარტეში“, ე. ი. ავტომობილის კაბინაში, სადაც შევიცარიელი სოციალისტი ფრიდრიხ პლატენი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძეს თან ახლდა მიხეილის მანუვე გამართულ მიტინგზე, სროლის გაგონებაზე გადაეფარა ლენინს თავისი სხეულით და ხელში დაიჭრა.

თუ არა გორხოვოვისა და პლატენის მამაცობა, 1918 წლის 14 იანვარს ლენინი შეიძლება დაღუპულიყო.

კიდევ ერთი ეპიზოდი. 10 მარტის საღამო. სახალხო კომისართა საბჭო მოსკოვში გადადის. ლენინი სტოვებს სმოლნის შენობას და მიემართება მატარებლისაკენ, რომელიც უკვე მზად არის და რომლითაც მთავრობა მოსკოვს უნდა ჩავიდეს. ბონა-ბრუევიჩი იგონებს, რომ ლენინმა უკვე ავტომობილში თქვა:

— მთავრდება ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების მოღვაწეობის პეტროგრაფის პერიოდი. ვნახოთ რას გვეტყვის მოსკოვის პერიოდი?

ავიციან, დღეები იწურებოდა. ფოსტალიონმა დილით ადრე წერილი მოიტანა რუსეთიდან იყო გამოგზავნილი. ილია ტატიშვილმა კონვერტი გახსნა და კითხვა დაიწყო:

„ჩვენი მეტროლოგი მეგობარი და ამხანაგო ილია პლატონის-ძე! ჩვენი პოლკის მეტროლოგი კარგად იციან თქვენი დამსახურების ამბავი. ვამაობთ იმით, რომ ჩვენ ვმსახურობთ იმავე პოლკში, სადაც საბრძოლო გზა ვიარა თქვენმა თაობამ. ამასთან შეგახსენებთ, რომ წელს, 10 სექტემბერს ჩვენს პოლკს საიუბილეო თარიღი უსრულდება. თქვენ ამ პოლკის ვეტერანი ხართ, მისი საბრძოლო დიდების მონაწილე. გთხოვთ ჩამობრძანდეთ ზეიმზე და მიიღოთ დღესასწაულში მონაწილეობა.“

რა დაეწყებდა ილიას ამ პოლკს. ომის ქარიშხლიან დღეებში იგი აქ სატანკო ბატალიონს მეთაურობდა. ილიამ მაშინვე დაიწყო მზადება გამგზავრებისათვის. აი, წასვლის დღეც დადგა. საპაერო ლაინერმა ის ჯერ კიდეც ჩაიყვანა... გული როგორ მოუთმენს ამ მიდამოებში მოხვედეს და სოფელი პერეგოვკა არ ინახულოს. აქ დაეცნენ გმირულად ილიას თანამებრძოლები — ზაზა ციციშვილი და ნიკო ტურიაშვილი. მაშინ ისინი ოც-ოცი წლისანი არც კი იყვნენ. ვაჟკაცს გული აუტრია მეგობრების მოგონებამ.

შეორე დღეს, თვითმფრინავი აეროდრომზე რომ დაეშვა, აქ ილიას უკვე ელოდნენ მისი პოლკის ოფიცრები. ისინი გულმხურვალედ მიესალმნენ სტუმარს. შემდეგ მანქანებში ჩასხდნენ და გარნიზონისაკენ გაემგზავრნენ. აქ სტუმარს სამხედრო მწყობრი ელოდებოდა. პოლკის უფროსმა ვასკა ბრძანება „სმენა“ ვეტერანს მხედრული ნაბიჯით მიუახლოვდა და უბატავა: „გვარდული სატანკო პოლკი მწყობრში დგას თქვენს ზღაპრულად!“. ილიამ მწყობრში შენიშნა წარბეზოშვილდელი, ოღონდ მომდებარე შეგვერემანი სახეები. მიხვდა, რომ ამ პოლკში ქართველი ჰაბუკებიც მსახურობდნენ. ფიქრით ისევ ომის წლებში ვადავიდა. გაახსენდა, თუ როგორ სასახელოდ იბრძოდნენ მაშინ ამ პოლკში მისი თანამებრძოლები: ვახტანგ გელაშვილი, გოგი ჯაფარიშვილი, ალექსანდრე კილაძე, გოგი სანებლიძე, გელა ყურული. ისინი ცოტანი იყვნენ, მაგრამ სიმამაცესა და თავგანწირვაში ტოლს არავის უღებდნენ.

საზეიმო სხდომაზე ოფიცრმა ი. ოგინიკოვმა ვრცელი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მან ახალგაზრდა მეტროლოგებს უამბო დიდების შარავანდედით მოსილი გვარდიული სატანკო შენაერთის ბრძოლებზე, მის გამოჩენილ ადამიანებზე.

სიტყვა ილიას მისცეს. მეტროლოგი სულგანაბული უსმენდნენ მას, ეს კაცი მათთვის — ცოცხალი მემკვიდრე იყო, ყველა მძიმე ბრძოლების მონაწილე; დანარჩენი ვეტერანები, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზით, ვერ ჩამრვიდნენ ამ ზეიმიზე.

ვახსენებ პოლკის მეთაურმა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოდან ჩამოსული მეტროლოგების წარჩინებული სამსახური, ქებით მოიხსენია გურამ გელაშვილისა და ნიკოლოზ ცხოვრებოვის, ზაურ გვინიძისა და ალექო კვიცინიძის, ჯემალ თავაძისა და ზაქარო ვასიძის, ზაურ გიორგიშვილისა და ომარ გვახარაის, იური ბატარაშვილისა და სოსო ნარჩიშვილის, ავთანდილ ჩერქეზიშვილისა და ზურაბ ხვადაციანის სახელები. მალე ისინი ვალმოხდინი და დავაჟკაცებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს.

ვის არ გაეხარებდა თანამებრძოლებზე კარგის გაგონება, ილიასაც უხაროდა; მეორე დღეს, როდესაც პოლკი გამოცდის წინაშე წარდგა და მისმა ყოფილმა ბატალიონმა, სადაც ქართველი ტანკისტებიც მსახურობდნენ, სატანკო იარაღიდან სროლაში აბსოლუტური ფრიალი შეფასება მიიღო, ასე ეგონა ამ წარბეზოში მასაც წვლილი მიუძღოდა და სიხარულით ცას ეწვია კაცი. ხომ გულხნებოდი, მაგარი ბიჭები არიან-მეთქი, კმაყოფილებით იღიმებოდა პოლკის მეთაური. იქნებ თქვენც გაახსენოთ: წარსული, დეე ნახოს ახალმა თაობამ, რომ ჩვენ, ძველებს მკლავიც ისევ გვიჭრის და მუხლიც. ცხადია, ილიას სურვილი დიდი პქონდა, რომ ოცი წლის შემდეგ კიდევ ჩამქდარიყო ტანკში, მაგრამ როგორღაც ყოყმანობდა—ტანკი ახალი იყო, თვითონაც თბილისიდან

დამით გზაში, მოსკოვისაკენ მგზავრობის დროს, ლენინი მუშაობს წერილზე „ჩვენი დროის მთავარი ამოცანა“. დილით, 12 მარტს იგი უკვე „იზვესტიასში“ იყო გამოქვეყნებული. ლენინი ამ წერილში აღნიშნავდა:

„კაცობრიობის ისტორია ამჟამად განიცდის ერთ-ერთ უდიდეს, უძნელეს შემობრუნებას, რომელსაც განუწმენელი — შეიძლება სრულიად გადაუჭარბებულად თქვათ: მსოფლიო-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა აქვს... საკვირველი არაა, რომ ასეთი მძაფრი მობრუნების ყველაზე მძაფრ პუნქტებზე, როცა ირგვლივ წარმოუდგენელი ხმაური და ჭახინი იმსხვრება და ინგრევა ძველი, ხოლო იქვე აუწყრელი ტანკებით იბადება ახალი, ზოგ ვინმეს თვებზე ეხვევა, ზოგს სასოწარკვეთილება იმყრობს, ზოგი კი ხსნას ხანდახან უადრესად მწარე სინამდვილისაგან ლაშაში, წარმტაცი ფრანსის ჩრდილში ეძებს.“

და შემდეგ: „ჩვენ შემოვიდეთ და განვაშტაქოთ საბჭოთა რესპუბლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუწმენლად უფრო მაღალი და დემოკრატიული, ვიდრე საუკეთესოში ბურჟუაზიულ-პარლამენტურ რესპუბლიკებს შორის... ჩვენ გამოვადვიებთ საკუთარი ძალების რწმენა და ავანთით ენთუზიაზმის ციცხლი ყველა ქვეყნის მუშათა მილიონებში.“

სმოლნის 125 ლენინური დღე — ეს არის პირველი დღეები, პირველი თვეები კაცობრიობის ახალი ისტორიისა.



ი. ტატიშვილი (ცენტრში), სატანკო ეკიპაჟთან ერთად.

ქუტუხაში

ნაეადმყოფარი წამოვიდა, შიშობდა, ვაი თუ ძალა არ მეყოს ტანკის მართვისათვის. უარი ეთქვა? ამით ხომ გულს ატყენდა თანაპოლკელებს. ამიტომ უმალ გადაწყვიტა ფორმა ჩაეცვა, მაგრამ მალე დაზწმუნდა, რომ ძველი ტანკისტის მხოლოდ გულდა შემორჩინოდა. ატყობდა, ძალა და სისწრაფე დალატობდა, სიჩქარე ჩართო და ტანკი გზას გაუყენა. უზარმაზარი მანქანა ელვის სისწრაფით მიჰქროდა, ილიამ მანევრირება დაიწყო, ტანკი მორჩილად ასრულებდა მის სურვილს; უეცრად ტანკს 45 გრადუსით შეუცვალა მიმართულება და პირობით გათვალისწინებულ „მტრის“ საცეცხლე წერტზე პირდაპირი იერიში მიიტანა... მომდებარე ტანკისტების გამომეტყველებაზე ჩანდა, რომ ძველ მეტროლოს ალღო არ დალატობდა. „შესანიშნავია“, წარმოთქვა პოლკის მეთაურმა. რა იცოდა, რომ ილია ფეხზე ძლივს იდგა; პოლკში რომ დაბრუნდნენ, ილიას საბრძოლო დიდების ოთახი დაათვალიერებინეს. აქ გამოფენილი იყო გვარდიული სატანკო ბრიგადის წარჩინებული სერჟანტების და ოფიცრების ფოტოსურათები. მათ შორის, ომის დროს გადაღებული სურათი ილიასი. ილიამ მებსიერებაში ადადგინა თავისი თანამებრძოლების სახეები, გაახსენდა, თუ ვის როგორი ხასიათი ქონდა. თვალწინ წარმოუდგა ომის ბოლო დღეები, რა უზომოდ იყვნენ დაღლილნი ტანკისტები გაუღმებულ შერტევი ბრძოლებისაგან, მაგრამ ერთმანეთს როდი უმხელდნენ ამას.

საბრძოლო დიდების ოთახი — ეს არის პოლკში ყველაზე საპატიო ადგილი, სადაც ინახება ბრიგადის საბრძოლო დროშა, მასზე ხუთი საბრძოლო ორდენია დამაგრებული. ამავე ოთახში იღებენ გვარდიულ ფიცს ის წარჩინებული მეტროლოგები, რომლებსაც პოლკის ხელმძღვანელობა გვარდიელის წოდებას ანიჭებს. აქ შეკრებილი ილია მოუყვა გარდასული ბრძოლების ამბებს, შემდეგ კი ყველა ქართველმა მეტროლოგმა საზეიმოდ დალო ფიცი, რომ შემდეგშია იქნებიან მოწინავენი და სასახელო მეტროლოგები, რომ ღირსეულად განაგრძობენ იმ სასახელო ტრადიციებს, რაც მათმა სახელოვანმა მამულიშვილებმა დაამკვიდრეს ომის წლებში.

დადგა გამომშვიდობების დრო. გვარდიული პოლკი კვლავ მოეწყო. ოფიცერთა სახელით ოგინიკოვმა ილიას საჩუქრად ძვირფასი სუვენირები გადასცა. ქართველმა მეტროლოგებმა კი მას მავიდაზე დასადგმელი საათი „ელვა“ მიართვეს, მის გამკვირვალე ფსკერზე თავიანთი ხელით ასეთი წარწერა გაეკეთებინათ: „ჩვენს ვეტერან თანაპოლკელს ქართველი, მეომრებისაგან“. ილია დიდად გაახარა გულწრფელად მოძღვნილმა საჩუქრმა. ახლა ეს საჩუქრები მის საწერ მავიდას ამშვენებენ. წაქვიებს მავიდაზე საათი „ელვა“ და მისი ხმაური ილიას ჯარისკაცის დაუღალავ მაჯისცემას აგონებს, აგონებს ქართველ მეტროლოგთა საზეიმოდ დადებულ ფიცს და სჯერა, რომ ქართველი ვაჟკაცი თავის მხედრულ ფიცს არასდროს არ გატყვს.



რეპაზ ჯაშარიძე

მოთხრობა

— გამარჯობა, კაცო მართლა კოტე ხარ, თუ მელანდობა?

მე, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ბავშვობის მეგობარს აღმოცნობად შევხვდი. რა ასე საოცარი და გადასარტყელი იყო ჩემი ნახვა! გუშინწინ ერთად არ ვიყავით?

— თვალებს ვერ ვუჭერებ — განაგრძობდა ის და აღარ იცოდა ჩემი მოულოდნელი ნახვით გამოწვეული აღფრთოვანება რით გამოეხატა, — შემოვტყუვე მთელი თბილისი. სად არ ვიყავი, ვის არ ვკითხე... ახლა ფუნქიულორიდან მოვდივარ. სად დადისხარ მინც, სად?

— დავდივარ... სად დადისხარ შენ? ხომ მიპოვნე. რაღა გინდა შეტი გიჭირს რამე?

— საკითხავია? ბიჭი აბარებს ხვალ დილას. ცხრა საათზეა დანიშნული გამოცდა.

— მერე დღეს მეუბნები? ბარემ ხვალ დილას გეტყვა!

— დღევანდლამდე ვერ გავიგე, ვინ იბარებს და რა ვქნა მე! დილას მითხრეს და მას აქეთა გეტებ. მე ვთქვი, რაღა ვქნა. რომ ვერ მენახე, გელაპარაკებო, წყალში თუ გადავვარდებოდი, თორემ სხვა გზა აღარ მქონდა!

— წყალში კი არა იმაში გადავარდებოდი. ნუ იცით, კაცო, მაგნიარი სულელური ლაპარაკი. სად აბარებს?

— უცხო ენებზე.

— მერე მე ვის ვიცნობ იქ!

— ხვალ დილას რუსულშია გამოცდა. ქაიხოსრო კახიანი ყოფილა კომისიის თავმჯდომარე, ხომ გავიწყვს ანგარიშს? დედაშენის ბიძაშვილი არ არის? როგორც კი მითხრეს, კახიანია თავმჯდომარედო, მაშინვე შენ გამახსენდი და ვეცო ტელეფონს, მარა...

— მოიცა, მოიცა ახლა ამ შუალამისას სად გინდა ნახო კაცი!

— ეგ თქვი შენი!

— ცოტა ადრე მინც იყოს. ასე დახნეული და კრეტინი ხარ შენ ყოველთვის. ტელეფონია აქ სადღაც ახლოს...

ნაკუსვი ვახუაი

— ქალაქის საბჭოში შევიდეთ! — მეგობარს იმედი მოეცა და აწრიალდა.

— არა, ბიჭო, მინისტრთა საბჭოში ჯობია! — აბა, აფთაქია ეგერ...

ტაბიძის ქუჩა სასწრაფოდ გადავიარეთ და მოკრიგე აფთაქის მივასურეთ. ქაიხოსრო კახიანი შინ არ იყო. ვილაღ უცხო ქალის ხმამ მიპასუხა, დილას ადრე წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულაო.

— იმალე! — მეგობარს სასოწარკვეთილება გამოეხატა სახეზე, — კაცს ათასი ნაცნობი და ამხანაგი ჰყავს. ყველას ხომ ვერ გაუკეთებს საქმეს.

— სად იქნება... — მე ხმაშალა ვფიქრობდი და გონების თვალთ დავიკვირდი ქაიხოსროს, — მოიცა, ერთი მის ძმასთან დავტყუდო. შეიძლება იქ იყოს...

ქაიხოსრო არც ძმასთან აღმოჩნდა. დარჩა კიდე ერთი ადგილი, სადაც შეიძლება იყოს ყოფილიყო, მაგრამ ორკაპიანიები შემოგვევლია და მეგობარი სამშაურთან დასახურდავებლად გაიქცა. ამ დროს მოხდა სწორედ საოცარი რამ: ვიტარინის იქით, ტროტუარზე, მაღალ-მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის რუსიკაიანი ბერიკაცი დავინახე და გიჟივით გარეთ გამოვვარდი.

— ქაიხოსრო ბიძია! ქაიხოსრო ბიძია!

მოსუცი შემობრუნდა, გაკვირვებული სახე მომაპყრო, მაგრამ მაშინვე მიცნო და გულთბილი დიმილი მომაგება.

— სად ბრძანდებოდი ასე გვიან? რა ბედზე შეგვხვდეთ გაიცანით, ამხანაგო.

— გოგი, ბატონო, — ჩემმა მეგობარმა უაღრესი მოწონებით ჩამოართვა ხელი და განზე გადაგა.

— სწორედ თქვენ ვირტყავდით ახლა! — შევეთამამე მოხუც პროფესორს, — სახლში რომ ვერ გიპოვნეთ, დათიკოსთანაც დავტყუდო.

— ოჰ, მართლა? — ბერიკაცმა უფრო ფართოდ გაიღიმა, შუაში ჩაგვიდგა და ორივეს ხელი გადაგვხვია, — რაკი მეძებდით, აგერ ვარ და...

— რა ვქნათ, გოგი? — მე უცნაურად აღიღეუბულ ამხანაგს გადავხვდი.

— შენთან მივიდეთ, უფრო ახლოა, — მიჩურჩულა მან.

გადახვეულნი სადარბაზო შესასვლელის წინ შევიჩერდით.

— ის სადღა წავიდა, შენი ამხანაგი? — გოგი მოისკლისა ეშმაკმა ბერიკაცმა. მან კარგად იცოდა, გოგი სადღაც იყო, მაგრამ მინც უსანიდად შეკითხებოდა. დავამხვიდე, ახლავე გეახლებათ-მეთქი და სადარბაზო კარი შევადე. გოგი მართლაც ძალიან მაღლე მოვიდა. დერეფანში შამპანურები შემოვდგა და გაზეთის ქაღალდში შეხვეული ორი დაკლული ვარია, ძეხვები და თუშური ყველი მომაჩეჩა.

— გაგეუდი, ბიჭო? — დავუღრინე მე, — ქვეყანა იწვის სიციხით და ახლა შამპანური გინდა გადაგვირო?

— სხვა ვერაფერი ვიშოვნე და რა ვქნა აბა! აღამიანი არა ხარ?

— გითხარი მე შენი ამ წიწილებს ვინდა გაგეკეთებს!

— მე გავაკეთებ, ბატონო, დაიქვა ქვეყანა?

— მაგას ვუთხოვ ღამე?

— კარაქი ან ერბო გაქვს სახლში?

— კარაქი კი არა, ახლა მაწონი მომთხოვე! შენისთანა მათხოვარს რომ კაცი სახლში შეუშვებს, მერე თავზეც დაგაქდება.

ამ უკანასკნელ შენიშვნაზე გოგის უკვე პასუხი აღარ გაუცია. თავისი სანოვაგე და ბოთლები სამზარეულოში შეიტრია და კარი მოხურა. მე ავიანზე გავედი მარტო დატოვებული სტუმრის მისახედავად და გასართობად. მას პიჯაკი გაეძრო, სკამის ზურგზე ფაქიზად გადაეკიდა და გაღილი მკერდი კოჭრის გრილი ნივისათვის შეეშვია.

— ძალიან ადგილზე ცხოვრობ, მე და ჩემმა ღმერთმა, კოტე! — მომაგება, როგორც კი ავიანზე გამოსული დამინახა, — სოლოლაკს ადგილი არ ჯობია თბილისში!

— რატომ, ვაქე ნაკლებია? ან საბურთალო...

— რასაკვირველია, ყველა მხარეს აქვს თავისებური ბეჭი, მაგრამ მე სოლოლაკი განსაკუთრებით მომწონს. ჯერ ერთი, ძველი უბანია, ტრადიციული. მდებარეობაც ლამაზი აქვს. ამ მთების ცქერას რა სჯობია ამას გარდა, გარეუბანიც არის და ქალაქის შუაგულიც.

— ეგ კი მართალია, — დავთანხმებ მე.
— არ დავიწუნებდი, ბინა რომ სადმე აქ მქონდეს.
— ადგილი თქვენც კარგია, ქაიხოსრო ბიძია. მოსკოვის ქუჩა, მე მგონია...
— კოტე! — ამ დროს სამხარეთლოს კარი გაიღო და მკლავებდაკაპიწებულმა გოგამ გამოიხედა.
— რა იყო?
— მოდი ერთ წამს...
— თუ ასე აქეთ-იქით მაწოწილდე, ბარემ მე გავაკეთებდი — ბუზლუნ-ბუზლუნით შევედი მე სამხარეთლოსი, სადაც უკვე შიშხინებდა ტაფაზე გაფარჩხული წიწილა და საშინლად ცხელია, — რა გინდა?
— მარტილი ვერ ვიპოვე.
— მერე რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც მე ვიპოვებ?
— შენი სახლია, რაც უნდა იყო...
განსაცდელში ჩავარდნილი მამა, რომელიც მზად იყო შვილის გულისათვის ყოველგვარი შეურაცხყოფა აეტანა, გზიდან ხელის კვრით მოვიცილდე და კარადის კარი გამოვადე...
ერთი სიტყვით, ღამის მეორე საათი იყო დაწვე-ბული, სუფრას რომ მოვუსხედით. ცხელ-ცხელი ტაბაკა და ჩაცვივებული შამპანური ქაიხოსრო ბიძის ძალიან ესიამოვნა. მე და გოგის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ტოლუმბაშადაც ის დავაყენეთ.
— ღვინო ხომ გვეყოფა? — დრო ვიხელთე და წავიჭურჩულე გოგის.
— მაგის ჯავრი გაქვს? თუ არ გვეყოფა, მოვიტანი
— ბარემ ახლავე წასულიყავი...
— ბარბაროსი!
— რამდენი ბოთლია? — ქაიხოსრომ ეტყობოდა ყური მოჭრა ჩვენს ჩურჩულს და შინაურულად გვეთხა.
— ხუთი, ბატონო! — დამასწრო გოგამ.
— უპ, რად გინდა, შე კაცო, მეტი. ხუთი ბოთლი ღვინო ქორწილს გაისტუმრებს. თითქმის ბოთლნახევარი გვიწევს თითოს. ამ პირველი ჭიქით ვინ ვაღდგებდით?
— ტოლუმბაში თქვენ ბრძანდებით, — მორცხვად ვუთხარი მე, — ვინც გნებავთ.
— ვაღდგებდითო ჩვენი შეხვედრა?
— რატომაც არა! გაუმარჯოს ჩვენს შეხვედრას! — შევძახე მე, გოგის თვალი ჩავუკარი და ჭიქა მივუჭახუნე, — ეს შეხვედრა მომავალი შეხვედრების საწინდარი ყოფილიყოს.
— ამინ! — მორცხვად თქვა გოგამ და დალია.
— შენ ტყუილად იწუნებდი წელან შამპანურს, — მითხრა ქაიხოსრომ, როცა ჭიქა გამოსცალა, — ახლა სწორედ შამპანურია კარგი. თითქოს გაფხიზლდეს.
— მართლა! ყინულია მაცივარში, — წამოვიძახე მე, — ახლავე მოვიტანი!
კარგა გვარაინად შევეყვით. ღვინო მოგვეკიდა. იღბლად, გამთენიისას ნიავი მომძლავრდა და სუნთქვა ისე ძალიან აღარ ჭირდა, როგორც სუფრობის დაწვების დროს.
— ცივი ნესვი გვაქვსო? — სულ ბოლოს ჩარო-ნი მოიკითხა მსუნაგმა ბერიკაცმა.
— უპ, მართლა! — მე და გოგი ერთად წამოვცვივდით ზეზე და სამხარეთლოს მივაშურეთ ნესვის მოსატანად.
— ამას მარტილი მოუხდება, — თქვა ქაიხოსრომ.
— ინებეთ, ბატონო! — ნესვის წვეწმი ხელეზ-დასველებულმა გოგამ სამარტილ ლანგრის უკან იპოვნა და სტუმარს წკიპად მიაწოლა.
— გიყვართ ნესვი? — ახლა მე მივმართე ქაიხოსროს და კარგა მოწარდილი ნაჭერი დავითრე.
— ამას ხელი ჯობია? — ბრძნულად შენიშნა ქაიხოსრო ბიძიამ, — ისე, ცოტა მაწყინარი კია.
— ჩვენ არ გვაწყენს!

კიდევ რომ გაწყინოს, ყელის ჩაკოკლოწინე-ბაზე უარს მაინც ვერ იტყვი კაცო.
— ეგვეც მართალია. თუ არ ისიამოვნე, არც ღირს ცხოვრება ისე!
— ოპო-პო-პო-პო, რა ნესვია! აი, ეს არის ნესვი!
— ბოდიშს კი ვიხდი, ქაიხოსრო ბიძია, მარა... — მე ისევ გოგის გადავხედე ცალი თვალით, — ხომ არ მოისვენებდით ნავახშევს. აგერ აივანზე გაგო-შლით ლოგინს.
— ვითომ დავრჩე?
— დარჩით, დარჩით, ბარემ აქედან წახვალთ დი-ლას.
— კი, ბატონო, არც მაგაზე გეტყვით უარს. ბა-ლიშქვეშ მუთაქა დამიდევო. მაღალი სასთუმალი მიყვარს.
მოხუცს ღამეშვიდობისა ვუსურვებ და ლო-გინამდე მივაცილებთ. დაწვა თუ არა, მაშინვე ფშვინვა ამოუშვა.
— ჯანმრთელი კაცია! — თქვა გოგამ და სინზე დაწყობილი ნახშირი თევზები წაიღო გასარე-ცხად, — თავსაც უფრთხილდება...
— მოეშვი მავ თევზებს! — მე ლოგინზე ჩამოგ-ქეტი და ფეხსაცმლის გახდა დავიწყე. — შენ გე-უბნებიან! აქ იძინებ თუ მიდიხარ?
— წავალ, მინდორას ამბავს გავაგებინებ და მა-შინვე მოვბრუნდები, ხაშსაც წამოვიტან.
— გასაღები წაიღე. ზარი არ დარეკო, თუ არა მოკლავ, იცოდელი!
— არაყი გაქვს სახლში?
— აღარ მომეშვები, კაცო!
ის იყო, ჩავთვლიმე, რომ დონიერმა შენჯღრევამ გამომადვიდა. თვალები დაფეთებულმა გამოვქაჩე და მსწრაფლ ლოგინზე წამოვქეტი. მაგიდასთან გოგი იდგა და ალუშინის ჩამხით ღრმა თევზებზე ხაშს ანაწილებდა. ოთახი ნივრის სუნად იყო აყ-როლებული.
— შენ კი გავიხმა ეგ მობრეცილი ფეხები! — მივაწყველე და ისევ წავიფარე იატაკზე გადმოცუ-რებული ზეწარი, — ასე ადრე რაღა ეშმაკმა მო-გიყვანა! მისვლა მოასწარი?
— რვა სრულდება, — მშვიდად მიპასუხა გო-გამ, — რა ხანია გათენებულა. მინდორამ აღარ დამაყენა.
— ერთი ჭკუის ხართ ორივე! მიდი, გააღვიძე ქაიხოსრო ბიძია.
— ამდგარი უკვე. პირს იხანს. შენსავით ძი-ლისგულა ხომ არ გგონია!
— მართლა? — მე ხელახლა წამოვქეტი ლოგინ-ზე და ფეხები ძირს გადმოვყარე. ქაიხოსრო ბიძია სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში და ზოლიანი პირსახოცი ღურსმანზე ჩამოჭკიდა.
— დილა მშვიდობისა, ახალგაზრდებო!
— საღამო, ბიძია! — მთელი სულითა და გუ-ლით მივუგე მე, — ხომ კარგად გეძინათ?
— უპ, ნულარ იტყვი. თუ შემომიშვებ, ამაღამაც შენთან უნდა მოვიდე ღამის გაათევად.
— მობრძანდი!
— აბა, ბატონებო, ხაში ცივდება! — გოგამ სუფრასთან ფუსფუსი მოათავა და საპატიო სტუ-მარს სკამი გამოუწია.
— კოტეს არ მოვუცადოთ?
— მე ახლავე, წუთში დავიბან პირს. დაბრძან-დით, დაბრძანდით, თქვენ, ხაშს ნუ გაცივებთ!
— რაყი არ მეშვებით... — ქაიხოსრო ბიძია სუ-ფრას მოუჭდა და მაშინვე დაწყალი ნივრით სავსე მომცრო ლამბაქს მისწვდა, — კარგი ხაში ჩანს. ასე ადრე საიდან მოიტანე, თავი ნუ მოგიკვდება?
— რაღა ადრეა, ბატონო, — ღიმილად დადნა გოგი, — რვა სრულდება.
— დაბრძანდი, რატომ არ ჯდები?
ამ დროს მეც გამოვდი და მაშინვე კედლის სა-ათს შევხედე. ცხრის ხუთი წუთი იყო გასული, ქა-იხოსრო ბიძია კი არხინად მიირთმედა ხაშს და ოდნავადაც არ ჩქარობდა.

— ტაქსი ხომ არ გამოვიძახოთ? — ვკითხე მე და სკამი გამოვწვიე.
— რად გვინდა? — ამოხედა ბერიკაცმა.
— რა ვცი, მე მგონია... — აღარ დავამთარე და დავქეტი.
— ფეხით გავიაროთ. დილაღრიან ფეხით გავ-ლას რა ჯობია, ისიც სოლოლაქში!
— არაყი დავასხა? — სტუმარს ვერ შეშბედა და ისევ მე მკითხა გოგამ.
— თითო დავლიოთ, ქაიხოსრო ბიძია?
— რატომაც არა, დავლიოთ. ვინც არ დალია, რა მოგო!
— ხაშს დავამატებთ, თუ ვინმეს... — ხმა სულ გაუქრა გოგის. შევხედე და შემეცოლა.
— ქაიხოსრო ბიძია, — მტკიცედ და საფუძვ-ლიანად დავიწყე მთავარი სათქმელის გამოვანე-ბა, — თქვენ რომ ახლა გოგის გულში იჯდეთ...
— ამ გოგის? — ბერიკაცმა თვალები მომამაყრო და კოვზი თევზის კიდზე შეაჩერა, — არაფერი მესმის...
— თქვენს ხელშია ახლა მაგისი სული.
— ჩემს ხელში? — ქაიხოსრომ ხელებზე დაიხე-და, — რანაირად?
— დღეს მაგისი ბიჭი გაბარებთ მისადებ გამოც-დას. კი არ შეგაწუხებდით, მარა... მონდომებული ყმაწვილია. საგანი იცის. ჩვენ გვინდა, ერთი სი-ტყვით, — მე ცრემლმორეულ მეგობარს გადავხე-დე და თავადაც გული ამჩუყდა, — ბავშვს ცოდ-ნა არ დაეკარგოს, თუ არა ისე...
— ვინ დაუკარგავს ბავშვს ცოდნას. თუკი იცის...
— არა, მაგრამ ხომ მოგესხენებოთ, ზოგირით გამომცდელი რა გადარეულია. თუ კაცს დამხმარე და გულშემატყვიარი გყავს, გულიც უფრო მაგა-რია მაშინ და თამამადაც ხარ. ასე არ არის?
— რასაკვირველია, — დარბაისლურად დამე-თანხმა ქაიხოსრო, — თქვენ ერთი ეს მიბრძანეთ, გეთყავა, — და გოგის მიუბრუნდა, — როდის აბა-რებს ბავშვი?
— დღეს. ამ დილას! — გოგამ თვალები გამო-ქაჩა და ზეზე წამოიწია.
— ვა შე კაცო, ერთი ორი დღით ადრე მაინც ვერ გამოფრთხილეთ? დღეს ვილას ვნახავ. ნახევარ საათში ქე იწყება გამოცდა.
— თქვენ თვითონ გამოცადეთ! — შევაშვილე მე.
— მე? რანაირად? — მოხუცმა ისევ გულკეთი-ლად გაიღიმა და ჭერ ერთს გადმოგვხედა, მერე მერე, — რომ არა ვარ წრეულს გამოცდებზე? თუ არა დიდი სიამოვნებით.
გოგი გაშრა. საწყალმა მთლად დაჰკარგა ფერი. მაგიდაზე ხელუხლებლად იდგა მისი წილი ხაში. პირამდე გაპიანებულ თევზს მადისმომგვრელი ოხშივარი ასდიოდა.
ქაიხოსრომ საუზმობა განაგრძო. ხათრის გული-სათვის მეც დავწვიე კოვზს.
— მიდი, მიდი! — ჩუმად ვუბიძგე მეგობარს, — ჯავრით ახლა რაღას მოეწევო. ხაში მაინც ჭამე.
— წუხელვე მაინც გამეგო, რაღაცას ვიღონებ-დი... — თავისთვის თქვა მან და გამწარებულმა ვერც კი შენიშნა, დაწვე მე მსხვილი კურცხალი რომ ჩამოუგორდა.



მოგონებები წასიერება

პირველი მსოფლიო ომის დროს ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იყო გენერალი სანდუცი. სასტიკი კაცი იყო, თანაც დიდი ფორმალისტი. არა მარტო ჯარისკაცებს, ოფიცერებსაც სძულდათ. მის სიმკაცრეზე ანეკდოტები დადიოდა. ის კი რომის იმპერატორის კალიგულას სიტყვებს იმეორებდა:

„ღე ვძულდი, ოლონდ ეშინოდეთ!“.

ჰოდა, ერთ დღეს აი რა მოხდა.

გენერალმა იხმო თავისი მსახური ჯარისკაცი და უთხრა:

— მე დღეს სამსახურში შინაგანაწესი დავარღვეე, უნდა დავსაჯო ჩემი თავი თოფქვეშ დგომით. მომიტანე ჩანთა, აგურები, შაშხანა!

„თოფქვეშ დადგომა“ კი, აი რას ნიშნავდა: დამნაშავე ჯარისკაცს აპყიდებდნენ ზურგზე ჩანთას, ჩანთაში ჩაყრიდნენ ორი ფუთის წონა აგურს ან მიწას, მხარზე გაადებინებდნენ შაშხანას ხიშტიანად. ხიშტიანი შაშხანა ცამეტნახევარ გირვანქას იწონი-

და. ასე დატვირთული ჯარისკაცი სრული ორი საათი უნდა მდგარიყო სმენაზე. და რომ ფეხი არ მოენაცვლებინა, მზვერავად უნტერს მიუჩინდნენ. ეს მეტად მძიმე სასჯელი იყო.

მსახურმა მოიტანა საჭირო ნივთები. გენერალი გამოეწყო დასასჯელად, დადგა სმენაზე და უთხრა ჯარისკაცს.

— დანიშნე დრო! კარგად მიყურე, რომ ფეხი არ მოენაცვლო!

დადგა ჯარისკაცი გენერლის შორიახლოს და თან სიამოვნებით, თან შიშით უყურებდა თავის გენერალს...

გავიდა ორი საათი.

— თავისუფალი ხართ, თქვენო აღმატებულეებო! — უთხრა ჯარისკაცმა გენერალს.

— მე კი ვარ თავისუფალი, მაგრამ ახლა შენ დადექი თოფქვეშ, — უთხრა გენერალმა მსახურ ჯარისკაცს.

— მე რატომ, თქვენო აღმატებულეებო? — გაუკვირდა ჯარისკაცს.

— შენ ვერ შენიშნე, მე რომ ფეხი მოენაცვლე, — უპასუხა გენერალმა.

და ორი საათით თოფქვეშ დააყენა საცოდავი ჯარისკაცი.

გვალი ბიგვა ლონდონში

მკითხველს, ალბათ ახსოვს გვალი ბიგვას ჩაცმულობა და გარეგნობა.

ჩოხა-ახალუბი, წელზე ქაშარი. ჩოხა არა სწვდება წელს და ნაჭერის ჩაქერება საჭირო. ყაბა... ოპ, ეს ყაბა!

„ქარქაშის წვერი ქვევით მუხლამდე წვდებოდა გვადს, ხოლო ყაბის ტარი მარჯვენა სამასრეზე ებჯინებოდა“, ასე მოგვითხრობს ლეო ქაჩელი.

„ეს რა ჩაგიცვამს, ან ამ სიგრძე ხანჯალი სად გიშოვნია?... ნამეტანი დიდი კი არის რაღაცა...“ ეუბნება მეზობელი მარიამი გვადს.

„...ბიბიფერი სახე. მუცელი გადმოგდებული. ბუჭურა წვერ-ულვაშიანი კაცი“, ასე აგვიწერს გვადის გარეგნობას მწერალი.

ამ კაცს თავზე ხან ყაბალაზე ახურავს, ხან „ჩიტის ბუდის მაგვარი ნაბდის ქუდი, გამხმარი გვირის ფერი, უსწორმასწოროდ შებლანდული“...

ასეთია ლეო ქაჩელის გვალი ბიგვა. ასეთი ახსოვს იგი ქართველ მკითხველს.

ახლა ვეწვიოთ ინგლისელებს. როგორი წარმოიდგინეს მათ გვალი ბიგვა...

ლონდონში გაიმართა საბჭოთა წიგნის გამოფენა. გამოფენაზე ინგლისურად თარგმნილი და ინგლისელი მხატვრის მიერ დასურათებული „გვალი ბიგვა“ გამოჩნდა.

წიგნის ყდაზე დახატულია ევროპული იერის რიხიანი კაცი. მას ყელზე უყეთია ინგლისური უკანასკნელი მოდის ჰალსტუტი. მკერდზე გაქათქათებული გულსპირი უპრიალებს. თავზე მოღური შლიაბა ახურავს...

და ესაა გვალი ბიგვა...

გაეცინება მკითხველს. გაეცინა ლეო ქაჩელსაც, როდესაც ვუთხარი შენი გვალი ბიგვა ინგლისში შლიაპითა და ჰალსტუკით დაბრძანდებამეთქი.

ლეომ შემომხედა თავისი ქვეიანი თვალებით, მაღლიანად გაიღმა და თქვა:

— უყურე შენ, რა ეშმაკია გვალი! სად წასულა და როგორ გამოწყობილი! არა, ასეთი კაცი არ დაიკარგება!..

ჯაგალ ინჯია



ჯახსენჯახ

ჩვენს უბანსაც ეხსომება საზღადაოდ, ძმაო, ჩვენი თანატოლი ბავშვების ხმა, დედა ხშირად არ გიშვებდა საგუნდაოდ, ეშინოდა თოვლში შენი გაშვებისა. ეშინოდა დედას შენი გაციების, არ გეშვებდა შიშით, უღვთოდ გაიყინე და როდესაც ცრემლის ფრქვევით გაცილებდით, მომესმა, რომ თოვს, თო-ოვსო, — დაიუვირე. დედაშიწა გამოგიშვებს, ბიჭო, როდის, რად წაშვივო, რა იყავი? ჭერ სულ ბავშვი. თოვლი მოდის, თოვლი მოდის, თოვლი მოდის, საგუნდაო თოვლი მოდის ჩვენს უბანში...



საყვანე

სეტყვამ არ იცის, რომ ამტვრევს კვირტებს, უწყალოდ ართმევს დროს ადაშიანს, სიტყვა ხან იმდენ სიმუხთლებს იტევს, სეტყვა მასთან რა მოხატანია.

შენა რომ ვიყო, სასეტყვე ღრუბელს გადავაქცევდი ღრუბლად ავდრისა და ჩიქილებთან მოპყრიდა მუხლებს წეცა თავნება და უკადრისა.

შენა რომ ვიყო, მე პასუხს ვაგებ, — ცხარე დაცხრება, მლაშე დატკბება და მოგეუშავდი სუუველა ბაგეს — გაშადებულეებს ავის სათქმელად. მაგრამ რას ვამბობ, დამჭერი ზღაპრის თვით ცეროდენა ნორჩიც არ არის, მე მხოლოდ ვმღერი, რამეთუ აპრილს უყვარს ღიღინი ჩუმი, ალალი. ვერც კი ვაგვიფი, ანაწლად მოთბა, მწეებმა მღერის უფლება მომცეს, მე — გულუბრუნად ტუჩების სოტბას და გაბუტული ტუჩების მკაცრულს.



სოფელი

მოვედი, თვალი დავღულღე-ვიგონებ... და ხელს ნუ მიშლით. დოღმა დაიწყო დავღურე ამ დამდორებულ დუმილში. ჩამოიჭროლა ხოხობმა, არ ვიცი სად გავიწიო, განწე დამიწყო მოხობმა, — ქალას ადგილი ვიციო. ხოხობმა თავისებური ჩემს წინ გამართა ფოფინი, თვალი მაქვს დამიწვებულნი ორღულიანი თოფივით. მწკრივად მიდიან ურმები ძველთაძველ საუანოსაკენ, სად დგანან კოლმურენი და მკიან ახალ მოსამკელს. ცა მადგას დაუქმბსავი, როგორც თავშალი ბებოსი... ეს მოვილანდე, ეს არის ჩემი სოფელი ეპოსი.

თავარ მიჩუანი

ოლონდ წამოდი

„ადარ წამიყვან ალბათ სვანეთში, ადარ მაჩვენებ უშხას და შეხლდას...“

ლეილა ნანიტაშვილი.

ქურნალი „ღროშა“, 1966, № 10.

ოლონდ წამოდი, ოლონდ წამოდი, ჩემი კოშკების ფერი იხილე, მთა ფიანდაზად გადაგეშლება, ბარი ლხენისგან წაილიღინებს.

გაჩვენებ უშხას, ნისლი ევლებო, ქარი რომ ხედნის, ვით ცხენს არაბულს, თეთსუღლის მაღლა — ცის გავლებას, დაბლა, მთებს შორის — ენგურის დგაფუნს.

ჩიხების რემას და დედა ჩიხვსაც, კლდის ქიმზე ვნახავთ დაბლა ზევიდან. იქ იქნებ, კარგო, შესძლო და იხსნა ბეთქილის სული დალის ხელიდან.

სადმე სერზე მდგართ, სიო მოგვანახავს, მოგვიალერსებს და თმებს აგვიშლის, თუ გვალდამ გითხა: — ქალო ვინა ხარ? შენ უპასუხე: — მე ვარ აგიშო.

და მე, ვიხილოთ მერე, ლილეო, სვან ვაქცაბების სულის ნაწილი, ტანშონარნარე ნუკრისთვალეობა და შევარდნული მწერა ყმაწვილის.

ოლონდ წამოდი და რამდენ სითბოს მე საგზალივით შენთვის ვინახავ, საქართველოსაც არ იცნობს თითქმის, ვისაც სვანეთი ადარ უნახავს.

ოლონდ წამოდი, ოლონდ წამოდი, ჩემი კოშკების ფერი იხილე, მთა ფიანდაზად გადაგეშლება, ბარი ლხენისგან წაილიღინებს.

თავი პირველი

— შემოდგომა, — თქვა ქალმა ჩუმად, — შემოდგომა...

კაცი არ გაპასუხებია. პირველი იწვა, ორივე ხელით ბალიში ჩაებღუჭა.

— ცა წეროებით არის სავესე, — თქვა ისევ ქალმა, — მიფრინავენ...

ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე გაიმეორა:

— სავესე!

დილით, როცა ნაპირთან ახლოს, ზღვაში ჩასობილ ბოძებზე ბადეს აბამდნენ, კაცმაც ერთი-ორჯერ ასედა ცას, თითქოს მაღლიდან ვილაყამ დაუძახაო. ცაზე წეროების გუნდი მიფრინავდა, ფრანგივით ჩუმი და დაკარგული.

„რამოდენა ღრუბლებია“, — გაიფიქრა კაცმა მაშინ. წეროებზე არაფერი უფიქრია, თუმცა თვალი კარგა შორს გააყოლა. ნავეში იდგა და თოკს ბოძზე ასვევდა.

— ყოველ შემოდგომაზე ასეა, მიფრინავენ და ცა წეროებითაა სავესე...

— დაიძინე, — ჩაიბურტყუნა კაცმა, თუმცა არ კი უნდოდა ცოლი გაჩუმებულიყო. მისი ხმა სიამოვნებდა. დაღლილს და მოთენთილს ეს ხმა ძილივით ამშვიდებდა, თითქოს სიზმარით იყო, რომელსაც კი არ ხედავ, არამედ გესმის. და მას ესმოდა, როგორ მიფრინავდნენ ცაში წეროები. ნავეი ქანაობდა. ნავეში ფეხებგაჩაჩხული იდგა და ბოძზე თოკს ისე ასვევდა. ნავის ბოლოზე მოხუცი აბო იჯდა და ტუჩებზე მიმწვარ სიგარეტს ქარისგან ორივე ხელით იფარავდა. აბოს აღარ შეეძლო ბადის დამატება. რილასთვის გამოდიოდა ზღვაში? ვინ თხოვდა? მაგრამ ჯიუტი იყო, უსათუოდ წამოგაყვებოდა. უარს ვერ ეტყვიოდი, როგორ უნდა გეტყვა უარი მამის ტოლი კაცისათვის?

უცებ ნავე გადაქანდა, ცაც გადაყირავდა, ფერი იცვალა, გაწითლდა. ახლა ღრუბლები ისე მოჩანდა, თითქოს ცაზე ჭრელი ნახირი მიიზლანებებო.

„კი მაგრამ, ცაზე ნახირს რა უნდა?“ — უკვირდა კაცს.

ნახირი კი ნამდვილად დაბის თემშარაზე მოდიოდა. ბინდებოდა. ძროხებს თითქოს ტანზე ნეკერჩხლის წითელი ფოთლები ეყარათ. სავესე, თეთრი ცურები ფეხებშირის დოღებივით მოქონდათ და მართლაც მთვრალ დამკვრელებივით უშნად მოქანაობდნენ.

ეზოს ჭიშკარი გაიღო და თემშარაზე ქალი გამოვიდა. თავისი ცოლი იცნო. არა, ის ქალი ჯერ კიდევ მისი ცოლი არ იყო. მაშინ შორიდან იცნობდა მხოლოდ. ქალმა თავი ასწია, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და ცას ასედა.

— წერო! წერო! — დაიძახა მან და ხმამალა გაიცილა.


ნახირი, ცხენზე შემჯდარი მენახირე ბიჭი, ბუხრის კვამლი — ყველაფერი შეჩერდა და გაქვედა. მარტო ეს სიცილი მოძრაობდა, ნელ-ნელა ადიოდა მაღლა და რაც უფრო მაღლა ადიოდა, სახეს იღებდა, საღამოს ცის ნაცრისფერ ბინდებულში ჯერ მკრთალად, მერე კი თანდათან უფრო მკაფიოდ წეროს დაემსგავსა, ლალად ფრთავაშლილ, დიდ, შორს გადასახვევად აღგზნებულ წეროს. მერე იგრძნო, რომ თვითონ იქ არ იყო. მამ, ამას საიდან ხედავდა? სად იყო. სად?

— სად? — თქვა ხმამალა და მაშინვე შეცბა, რადგან მისვდა, რომ შემუჩნეულად ჩათვლია.

— სად და ჩვენი ბოსტნის იქით, ლელიანში, — უპასუხა ქალმა. ეტყობოდა, ის რაღაცას ყვებოდა.

ასე იყო მუდამ, ძილის წინ ქალი რაღაცას ჩუმი ხმით ჰყვებოდა ხოლმე. კაცი კი გატრუნული უსმენდა. ქალი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, თავის თავს უყვებოდა, უმეორებდა ყველაფერს, რაც დღისით გადახდომოდა. კაცი კი იწვა და უსმენდა. და ყველაფერი ეს სიზმარს ჰგავდა, რომელსაც კი არ ხედავ, არამედ გესმის.

— იდგა, თავი ფრთის ქვეშ ამოეფო და ეძინა, — ყვებოდა ქალი.



მოთხრობა

— ჰო, — თქვა კაცმა, რადგან იმის თქმა დაეზარა, მართალი ხარ, წეროებს ასე სძინავთო, თანაც შეეხმინა კიდევ, იმიტომ რომ ქალს ლაპარაკი არ შეეწყვიტა.

— კი, — თქვა ქალმა, — ასე სძინავთ მაგათ, ზე-ზეულად, — მერე გაჩუმდა.

კაცმა იფიქრა, ხომ არ დაეძინაო, რომ ამ დროს ქალის სიცილი შემოესმა. გაუკვირდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მხარი კი შეაქანა, — რა გაიცინებსო?

— ჩემსავით! — თქვა ქალმა სიცილით, — ჩემსავით! კარგა ხანს იცინა თავისთვის, თითქმის უხმოდ, კაცს გაუღიმა: „დაიწყო ახლა თავისებური...“

ქალმა ასე იცოდა ხოლმე. თუმცა მთელი დღე ხან ბოსტანში — თავსაფრით პირახვეული, ხან შინ — ღუმელის ცეცხლით ლოყებატკეცილი — ტრიალებდა, თუმცა ერთი წამი მოცლა არ ჰქონდა, მაინც იპოვდა რაღაცას, ან ლოკონისას ნიჟარას, ან უცხო სარეველას, თავის დასაცავად ჭინძის ყვავილს რომ დამსგავსებოდა, ან აივანზე ქარის შემოფეხებულ ჩიტის ბუმბულს, ხელში სათუთად აიღებდა, მერე თვალს გაუმჭრელდებოდა და... იღიმებოდა. რაღაცას უღიმოდა, თავის ფიქრს, ამ ბუმბულივით მჩატესა და ქარში მოფარფატეს.

კაცი კი სულ ზღვაში იყო.

— ზღვა, ზღვა, — ამბობდა აბო, — დანარჩენი ყველაფერი მოგონილია, ტყუილია, — და ყრუდ, გულისგამაწყვალვებლად ასველებდა.

ზღვის მარლისაგან შემჭული მისი სხეული, კიბორჩხალებივით მოსვენარი, დიდი, ჭორფლიანი ხელები, ჩამქრალი, უძრავი თვალები, რომლებსაც თითქოს ობობას ქსელი გადაჰკვირავო, გამუდმებით ასხენებდნენ, რომ აღრე თუ გვიან თვითონაც ასეთი გახდებოდა, ნავის ბოლოზე ან სენიერის ანძასთან მოკეცილი, ქარისა და მარლისაგან გულდაგულ გამოხრული და მიგდებული.

— მე არავინა მყავს, არავინ! — იძახოდა აბო და თუ მაშინ ბადეს ეზიდებოდა, წინასწარ იცოდა, უსათუოდ ცარიელს ამოიღებდა. „თარსია ეს ოხერი!“ — ფიქრობდა გულში, მაგრამ უფროსს მამაც ვერაფერს უბედავდა.

— არავინ! არც მინდა!

ცირა კი აივანზე იჯდა და იღიმებოდა. ასე იღიმებოდა მაშინაც, როცა ბაზრობაზე პირველად ნახა. პარაშუტით ფართოდ გაშლილი წითელი ქოლგით, თეთრი სანდლებითა და თეთრი კაბით მორთული. იმ ყაყაში, დაუწყეთავე კარუსელის ჭრიალში, გასაყიდად გამოყვანილი საჭონის ზმუილში ისე მოდიოდა, თითქოს არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. ვერც ფარულეების დახლებზე დაყრილი ქსოვილები სტაკებდა თვალს, ვერც სიმწიფისაგან შუაზე გადამსკდარი საზამთროები, ვერც, ვინ იცის საიდან მოსული მედუღუკეთა დასტა, რომელსაც უამრავი ხალხი შემოხვეოდა გარს, ვერც ქალაქიდან ჩამოსული მსატვრის მიერ მოხატული რაიონის მიღწევათა დაფა, რომელზედაც ჩაის პლანტაციებში და ფორთოსნის სევეთან გარინდებულ ადამიანთა ფიგურებს მეტი სიზუსტისთვის მხრებზე მრგვალი ფოტოსურათები ედგათ. ეს დაფა ამბერკი ფოტოგრაფის ტილოს ჰგავდა, რომელშიაც თავს გამოჰყოფდი და მერე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ და ცხენზე ამხედრებულ შენს სურათს მიიღებდი.

— ვინ არის ეს გოგო? — ჰკითხა ამხანაგს და სწორედ ამ დროს დაბალმა, მსუქანმა ტურისტმა, მოკლე ტილოს შარვალი რომ ეცვა და ხელში ბამბუკის ჯოსი ეჭირა, იყვირა:

— შეხედეთ ამ გოგოს, შეხედეთ!
— შერევილია საწყალი! — უთხრა ამხანაგმა.
— რა იცი?

— რა ვიცი და თვალები არ მაქვს თუ?

— მეგონა, იცნობდი.

— პირველად ვხვდავ.

ისე გაუხარდა, მისი ამხანაგი ამ გოგოს, რომ არ იცნობდა, ტურისტების მთელი ჯგუფი, ერთნაირი სვანური ქუდეები რომ ეხურათ, დიდი ხვეწნის მერე ღვივნის სარდაფში ჩაიყვანა.

მედუქნეს იმოდენა ღიბი ჰქონდა, იფიქრებდი, ფეხებზე კი არ დგას, თიხის დიდ ყულაბასავით პირდაპირ დახლებზე დევსო. ამდენი უცხო მუსტარი რომ დაინახა, უღვაწებში ჩაიღიმა და იყვირა:

— ხვანჭკარა! ხვანჭკარა!

თუმცა მთავე ცოლიყარის მეტი არაფერი ჰქონდა. ღვივნის კიტრის წილის ქილაში ასხამდა. რომ გაავსებდა, ხელში შეაჩერებდა, თითქოს ელოდებოდა — ხურდა ფულს ჩამიყრიანო. ბევრი ღვივნო დალიეს, დათვრენ. თვითონაც უცებ დათვრა. დაბალ, მსუქან კაცს ხელი გადახვია და სიმღერა წამოიწყო.

ტურისტები ხალისით აპყვენენ, თუმცა სიმღერა აშკარად არ იცოდნენ. ისეთი ბედნიერი იყო, რომ ცრემლი დაბადილით ჩამოსდიოდა. გრძობდა, რომ ტირილი და ამიტომ უფრო ხმაბლად მღეროდა. უცებ ნახევარდღეილი, გრილი სარდაფის კიბის თავში დამკვრელების ძველებური უძირთეში და ფართო დანაოჭებული შარვლის ტოტები გამოჩნდა. ეტყობოდა, სარდაფიდან სიმღერის ხმა რომ შემოესმათ, იფიქრეს, დიდი ქეფიყო და აქეთ მოაშურეს დაიმედებულემა, უსათუოდ ჩაგვიპატიებენო.

დუღუკის ხმა სარდაფში ტრულ-ტრელი დარაიების ფრიალით ჩამოიჭრა და ეს მიწაში ამოჭრილი ორმო ისეთი სიხარულით აავსო, იგრძნო, უსათუოდ გული გაუსკდებოდა, ახლა მაღლა რომ არ ასულიყო, მზეში, სადაც წითელქოლგანი გოგო მთვარეულის ღვივლით დადიოდა.

ლოყებდაბერილი, აკრობატებივით დაბალი დამკვრელები ცარიელ მოედანზე იდგნენ და დუღუკებს უკარავდნენ. ხალხს ბაზარი მიეტოვებინა და სადღაც გაკრფილიყო.

— ქვეყანაზე, — მღეროდა ერთი დამკვრელი, — ქვეყანაზე...

ქვეყანაზე შენ ანათებ ჩემთვისა... მოედნის თავში ამბერკი ფოტოგრაფის ტილო გამოეფინათ, რომელზედაც უთავო მხედარი ყალფზე შემდგარ ცხენს იმორჩილებდა. გაიქცა და იმ ტილოს ჭრილში თავი შეკყო.

— ამბერკი! — იყვირა, — ამბერკი, ვიღუპები, კაცო!

მერე ცხენზე იჯდა და ზღვისკენ მიაქროლებდა. ცხენის ფლოქვების თქარათქურში მიანიც მწვავედ, გულისჩამწვევებდა მოესმოდა:

— ქვეყანაზე... ქვეყანაზე... მერე ზღვის პირას მიაგდო ცხენი და ცხენი ყალფზე შედგა, რადგან აღეღვებული ზღვის შეეშინდა.

— მებაღური კაცი ხარ, ცხენი რად გინდა? — უთხრა ზღვამ.

— ქვეყანაზე, — დაიწყო მან სიმღერა და ხელები დარღიმანდულად გაშალა, — ქვეყანაზე შენ ანათებ ჩემთვისა...

მერე ზღვაში მიცურავდა, ტალღებს მიაპობდა, ჩქარობდა, თითქოს ვილაყას მისდევდა, მასზე ადრე ზღვაში შესულს. ნაპირს მიინც ვერ შორდებოდა. ახლა მედუღუკეთა დასტა ზღვის პირას ქვიშის ბორცვზე შედგარიყო და გამწარებული უკრავდა.

— ქვეყანაზე, — ყვიროდა თვითონ და პირი მლაშე წყლით ევსებოდა. — ქვეყანაზე!..

მერე ორივენი ამბერკი ფოტოგრაფთან დაბრუნდნენ. ამბერკიმ ქალი სკამზე დასვა, კაცი გვერდით დაუყენა, ხელი სკამის სასურველზე ჩამოაღებინა.

— საჭორწინო სურათი ესაა, ბატონო!

სურათი ახლა კედელზე ეკიდა, მშობლების სურათის გვერდით. ის სურათიც ასე იყო გადაღებული: დედა სკამზე იჯდა, მამა კი მის გვერდით იდგა. ნუთუ ის სურათიც ამბერკის გადაღებულია?

— რამდენი წლის ხარ, ამბერკი?

— ჰა?

— რამდენი წლის ხარ-მეთქი?

— ნუ მკითხავ, მაგას, ბატონო.

— რატომ, კაცო?

— ეჰ.

მერე ყველაფერს თავისი ძველი იერი დაუბრუნდა. ოღონდ ახლა შინ მისვლა ეჩქარებოდა, მიუხაროდა. ცირა ჭიშკართან ელოდებოდა ხოლმე. შორიდან დაინახავდა და გამოიქცეოდა. აქეთ-იქით იხედებოდა, მუშობლების რცხვენოდა, ასეთი უცნაური ცოლი რომ ჰყავდა, ასე რომ ელოდებოდა ჭიშკართან, ასე რომ მიზნობდა მის შესახვედრად. მაგრამ უხაროდა კი. უხაროდა კი არა, ბედნიერი იყო.

„აი, რა ყოფილა თურმე ბედნიერება. რა ცოტა ყოფნის თურმე კაცს, — მაშინვე თავის თავს შეუწყრებოდა, — ეს ცოტაა, შე ბრიყვო?“ არა, ცოტა არ იყო, მაგრამ კიდევ რაღაც უნდოდა, თვითონ არ იცოდა რა. და წლები გარბოდნენ. ერთი... ორი... სამი... ოთხი...

დრო სწრაფად გადიოდა. შეიძლება იმიტომ, რომ გამუდმებით ხვალინდელი დღის მოსვლას ელოდებოდნენ, თითქოს ხვალ უნდა მომხდარიყო უსათუოდ ის, რაც გულით უნდოდათ. ხვალ, ხვალ... ხვალ... დღევანდელი დღე თითქოს არ ითვლებოდა, უნდოდათ, მალე გასულიყო, მალე დადამებულიყო და ასე ყოველდღე თითქოს დღეს რასაც აკეთებდნენ, ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ხვალ უნდა მომხდარიყო.

ხვალ... ოღონდ ეს კი იყო, ატყობდა, როგორ იცვლებოდა ცირა. შინიდან გარეთ გამოხედვა აღარ უნდოდა. თითქოს ყველაფერს ხალისი დაკარგაო.

— ჩვენ რისთვის ვცხოვრობთ? — იკითხა ერთხელ აცახცახებული ხმით, ეტყობოდა, დიდხანს წვალობდა, სანამ ამას იტყობდა. მაშინაც ასე იწვენენ, სიბნელეში. გარეთ კი წვიმდა და ზღვის ღელვის ხმა ისმოდა.

— როგორ თუ რისთვის? — გაეპასუხა ცოლს, მაგრამ ცირას ხმა აღარ ამოუღია.

— ჩვენ? ჩვენ რისთვის ვართ? — თქვა ახლაც ცირამ. ხმა აუკანკალდა, ტირილი გაერია.

კაცმა იდაყვებზე წამოიწია, ცოლს გადახედა: — რამ გადაგრა, ქალო შენ? ქალმა თავზე საბანი წაიხურა, გაიტრუნა.

ამ ორი წლის წინ, როცა ჩვეულებრივად ზღვიდან დაბრუნდა, ნაპირზე ამბავი დაახვედრეს, შინ მისვლა არ აცალეს: შენი ცოლი აეროდრომზე უნახავთ, რომელიმე მფრინავი თქვენი ნათესავი ხომ არ არისო.

— აეროდრომზე? — გაიკვირა. რა უნდოდა ცირას აეროდრომზე? აეროდრომი დაბიდან სამი კილომეტრის დაშორებით იყო. მინდორში ერთი ვეტმფრენი და ორი დანჯღრეული, ძველისძველი თვითმფრინავი იდგა. ეს პატარა აეროდრომი აქურ პარაშუტით ხტომის მოყვარულთა კლუბის წევრების საკუთრება იყო. ეს ჩამოწერილი თვითმფრინავებიც მათ შეეკეთებინათ. თვითმფრინავები ზოგჯერ კოლმეურნეობებს ეხმარებოდნენ ხოლმე. ორი პროფესიონალი მფრინავი აქვე აეროდრომზე ხის ბარაკში ცხოვრობდა. ერთი შუახნის იყო, მეორე კი ახალგაზრდა.

ცირა მართლაც შინ არ დახვდა. ყველაფერს წარმიღგენდა, ამას კი ვერა. გიჟივით გამოვარდა გარეთ. აეროდრომისაკენ გაიქცა. შუა გზაზე ავტობუსი წამოეწია. შოფერმა გაუჩერა, იცნობდა, მათი მუშობელი იყო.

— ცირას სანახავად მიდიხარ, ხომ? — ჰკითხა შოფერმა.

— სად კაცო? — ვითომ არაფერი იცოდა.

— ურა, — დაიწყო შოფერმა და თვლი აარიდა, გაჩუმდა.

— ჰო?

— გუშინაც მივიყვანე ექ... გუშინწინაც... — რა მოხდა მერე?

— არაფერი... მოსწევ? — პაპიროსი შესთავაზა.

— გუშინაც... გუშინწინაც, — გაიმეორა ურამ შოფრის ნამბობი.

— რა მოხდა მერე? — თქვა ახლა შოფერმა.

— კი მაგრამ...

— კარგი ერთი, შე კაცო!

— რა იყო?

— არაფერი...

ფოტოები მტკრისგან გათვრებოდა. ლედვის ხის ძირას გრძელი ქვა ეგდო. ალბათ, ეს ქვა ადრე საფლავის ლოდი იყო, ვის მოეჩანა აქ, არავინ იცოდა. ლედვის ჩე-როში ამ ქვაზე ჩამოსხდარნი უცდიდნენ პარაშუტით ხტომის მოყვარულები ავტობუსს.

ავტობუსი გაჩერდა. — შენ იცო ახლა. — უთხრა შოფერმა ურას.

— ჰო.

— დიდი ამბავი!

ურა ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა: უცებ შეჩერდა და მოიხედა, შოფერი ავტობუსიდან გადმოსულიყო და ლედვის ძირას ქვაზე ჩამოხდარიყო. ურა დაბრუნდა, შოფერიც წამოიღგა და მისკენ გადადგა ნაბიჯი:

— რატომ დაბრუნდი?

— შენ წადი, — უთხრა ურამ შოფერს, — რას უდგებარ?

— თქვენ ხომ უნდა წაიყვანოთ?

— წადი! — უბრძანა, რადგან გრძნობდა, რომ შოფერი სერიის საყურებლად დარჩენილიყო.

— კარგი, ბატონო. ვიფიქრე... — წადი-მეთქი!

ურა დიდხანს იდგა ლედვის ძირას, სანამ ავტობუსი თვალს არ მოეფარა.

„რა ამბავია ჩემს თავს ნეტავ. რა უნდა აეროდრომზე?“

მერე მღვდელი დაინახა. სატინის საცვლების ამრა. კიბის საფეხურზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, შიშველი ფეხები ქუსლმოჭრილ კალსებში წაყყო. ურას ფეხის ხმა რომ შემოესმა, სათვალე მოიხსნა, სათვალე კანავით ჰქონდა ყურებზე დამაგრებული.

— გამარჯობა, — უთხრა ურამ.

— გაემარჯოს, შეილო! — თვალები მოქუტა და დააკვირდა, ეტყობოდა ვერ იცნო, თავი გაქანია. არც დაუმაღლავს, უთხრა, — ვერ გიცანი!

გაზეთი გულმოდგინეთ დაკვდა, გვერდით დაიდო, სათვალე გაზეთზე დააგდო.

ამ დროს ურამ ცირა დაინახა. ტრიალ მინდორში იდგა. თავსაფრის ორივე ბოლო, ქარს რომ არ მოეტაცა, ნიკაპთან ხელით ეჭირა. იდგა და აეროდრომისკენ იხედებოდა. ურამაც იქით გაიხედა. თვითმფრინავთან ხალხი ფუსფუსებდა.

„რას უყურებს ნეტავ?“

გულზე მოეშვა, რადგან დაინახა თუ არა, მიხვდა, არაფერი ისეთი არ მომხდარიყო. ცირასაგან ეს არ უნდა გაპკვირებოდა. შერცხვა, რატომ გამოვიქციე, რას იტყვის, რომ დამინახავსო.

კი, მაგრამ ხალხისთვის რა უნდა ეთქვა, როგორ აეხსნა, რა უნდოდა მის ცოლს ყოველდღე აეროდრომზე?

„გამოდის რომ ანგარიში უნდა ჩავაბარო ყველას. კარგი, ეთქვათ, ვუთხარი, ასე დგას და თვითმფრინავებს უყურებს-მეთქი. დამიჯერებენ? არა, არ დამიჯერებენ. ისინი ხომ ცირას არ იცნობენ.“

ახლა ცდლობდა ცირას არ დაენახა. ამიტომ მღვდელთან ლაპარაკის გაბმა არჩია.

— ამოდი, აქ ცხელა, — უთხრა მღვდელმა და ცოტათი ჩაიჩირა, ჩამოქეციო.

კიბეზე ავიდა და მღვდლის გვერდით საფეხურზე ჩამოჯდა.

— ძილი ჩემთვის არ არის და მოსვენება, — თქვა მღვდელმა, — რაც ეს აეროდრომი გააკეთეს, სად წავიდე, აღარ ვიცი. მივაღ, ვთხოვ, ერთი პარაშუტით მწყ გადა-ნომასტუნეთ-მეთქი. არ გავხსნი იმ პარაშუტს და გათავ-დებამ, — წვრილი ხმით ჩაიკიანა, რადგან თავისი ხუმ-რობა მოეწონა, — მერე გაზეთი დაწერენ, მღვდელი პა-რამუტით გადმოხტაო, — საქაროდ პირჯვარი გადაიწე-რა, — ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გადაირია ხალხი. რას ეძებენ იმ ცაში, რა უნდათ?

„რა ვქნა, — ფიქრობს ურა, — სადმე უნდა წა-ვიყვანო, რაღაც ვაჩვენო. ზის შინ გამოიკეტელი. სხვა-ნაირი გოგოა, რა ვუყო. მოდი ახლა და აუხსენი ხალხს. ეგ სხვანაირი გოგათქო. მე რა უნდა ვქნა, რა შე-მიძლია. ყველა ასე ცხოვრობს, მე ხომ არ მოვიგონებ ახალ ცხოვრებას? დავანებო ყველაფერს თავი და... ვინ შეგვინახავს? ვივლით მე და ცირა ხელი-ხელჩაკედ-ბულები ამ ქვეყანაზე. სასაცილოდ არ ყუოფა ხალხს, ქვეებს ვგვსვრიან. არა და... აჰ! დგას ამ პაპანაქება სიყ-



ლენინის მოედანი.


ფოტო თარხან არაჩვამიძე



პორტინო. ლენინის სახელობის სახლ-მუზეუმი.

კ. შენიძე

პორტინოს მიდამოები (პოლონეთი).



ვლადიმერ კეშელავა ქართული დაზვერვა გრაფიკის თვალსაჩინო ოსტატია. თითქმის ოთხ ათეული წელია, რაც იგი დაუცხრომელ შემოქმედებით მუშაობს ირვან, სისტემატრად მონაწილეობს რეკორდ რესპუბლიკურ, მაც საკავშირო საშტატო გამოდევნებზე. მას შემოქმედებულ აქვს მრავალი საურადადგეო ნახაზი, სანატორიო, რეკორდ თაფის იდენტი ჩანაფურცელი, ისე შესრულების მაღალი ოსტატობით. მის სახელთან დაკავშირებულია სხვადასხვა თემზე შესრულებული მრავალი ოფორტა, ფერადი ლითოგრაფია, აკვარელი, პასტელი და ნახტი, რომლებიც გამოირჩევიან მხატვრული განზოგადებით, დახვეწილობით, გრაფიკის ტექნიკის სრულყოფით და ტონების მდიდარი შეხებით.

ვლ. კეშელავა განუწყვეტლო აუზმობებს თავის ოსტატობას, აარბავენს თავის შემოქმედებას შინაარსს, ამის საფუძველი მავალითა მისი ფერადი ლითოგრაფიები და ოფორტები, რომლებიც ექპონირებული იყო 1958 წელს, მისი ოფი, ქართული ხელოვნების დეკლარ დღეებში მოქმედებულ საქართველოს მხატვრული გამოდევნებზე, ამ გამოდევნებზე სამართლიანა, მოწონება და აღიარება დაიშაბუთეს ლითოგრაფიებზე: „არაფერს ხეობაში“, „ლიკანი“ და სხვ.

ვლ. კეშელავას მრავალი შემოქმედებით გამარჯვება იყო 1961 წლის რესპუბლიკურ საშტატო გამოდევნებზე წარმოდგენილი ფერადი ლითოგრაფიების და ოფორტების აერია, რომელიც ასახავდა დიდი ლენინის სახელთან დაკავშირებულ ოსტატობად აღიარებს. ამ აერიაიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „მოზერის შუშის ქარხანასთან“ (ფერადი ლითოგრაფია), „საქონანე, ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი“ (ფერადი ლითოგრაფია), „პორტინო, სადაც ცხოვრობდა ლენინი“ (ფანქარი) და სხვ. ამავე გამოდევნებზე წარმოდგენილი იყო ჩანაფურცლის და შესრულების მრავალი შედეგი კინტერესი ოფორტები ხერიადა „რესპუბლიკის შედეგად“ და სხვ.

ვლ. კეშელავას სხვადასხვა დროს შესრულებულ ნაშრომებიდან არ შეიძლება არ აღინიშნოს „ჩაის პანდაფიხა ჩაქში“, ესტამპების სერია და ნახატები თემზე: „ინდუსტრიული ტუარჩელი“, „ქუჩაფიხა ცილიდან“ „საქართველოს საშტატო გზა“, „ქვიხილი“, „თბილისი“ და სხვ.

ცხოვრებისეული სიამაღლე, სახიერება, ფაქი მხატვრული გემოვნება, გრაფიკის ტექნიკის ხერხების ოსტატობა გამოუყენება — აი რა ასახაოთებს ვლ. კეშელავას შემოქმედებას და ღირსეულად აუყენებს მას ქართული გრაფიკის თვალსაჩინო, ოსტატობა, რიგებში.

ალექსანდრა ვაბიტაძე


ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ხელოვნების დამსახ. მოღვაწე.

პირა. ქუჩის კუთხე.

პირადა.



მონტერის შუშის ქარხანასთან (ჩეხოსლოვაკია).





სიონის ციხე სამხედრო გზაზე.

ჯოტო მთარ თურქიანი.

მესტია.



ხეში ტრიალ მინდორში. რას ფიქრობს, ნეტავი გამაგებინა, ახლა რას ფიქრობს...
— ყველაფერი მიდის, ყველაფერი, — ისმოდ მდგდლის ხმა, — მიდის და აღარ ბრუნდება...
მღვდელი გაჩუბდა.
— ცივი წყალი ახლა ცხონება! — თქვა ცოტა ხნის მერე.
— წყარო შორს არის თუ? — ჰკითხა ურამ.
— აგერ არის, ლევთან.
— აბა, მოვიტან.
— როგორ შეგაწუხო ახლა?
— რათი მოვიტანო?
— თათხში თუ შეხვალ, შვილო, ჩაიდან უნდა იდგეს კართან...
თათხში ნახვარად ბნელოდა, რადგან ფანჯარაზე ფარდაღი ჩამოეფარებინათ. გაურკვეველი, მძაფრი სუნი იდგა, მარტოხელა მოხუცების სადგომში რომ არის ხოლმე, სიმარტოვის სუნი. ძველებური კამოდის თავზე ღვთისმშობლის ხატი იყო კედელს მიყუდებული. ხატის წინ პატარა თიხის ჯამში სანთელი იღვებოდა. ხატის გვერდით ძველისძველი კალენდარი მოჩანდა. კალენდარზე შოთას, აკაკისა და ილიას სურათები ზნადა. ურამ მწვანე, გვერდშეჭყლეტილი ჩაიდან აიღო და გარეშე გამოვიდა.
— იყო ჩაიდან? — ჰკითხა მღვდელმა.
— დიას, აი! — ურამ ჩაიდან მალა ასწია.
— საკვირველია. — მღვდელმა სათვალე გაიკეთა და ჩაიდან ისე შეხედა, — რაც მქონდა ყველაფერი გამოქრა, შვილო, არა, კი არ მპარავს ვინმე. თვითონ ქრებიან, გამირბიან, რა ვიცი, მოწყინდათ, ალბათ, ჩემთან.
ურამ წყალი მოურბინა. მოხუცმა ჩაიდან ჩამოართვა, თავსახურავი მოხადა, წყლით აავსო, სფენებ-სფენებით, ჩიტვით დალია წყალი, ჩაიდანს ორივე ხელი მოხვია და მკერდში ჩაიკრა.
— აგაშენა ღმერთმა, — უთხრა ურამ და თვალი დახუჭა, — აგაშენა ღმერთმა!
ასე იჯდა დიდხანს თვალდახუჭული.
თვითმფრინავი აფრინდა. ჰაერში ერთი-ორი წრე დაარტყა და ისევ მიწაზე დაჯდა. თვითმფრინავს, მიწაზე რომ მოსრიალეზდა, ხალხი აედევნა. თვითმფრინავი ცირასთან ახლოს გაჩერდა. ურამ დაინახა, როგორ დაიხია ცირამ უკან. მერე თითქოს თვითმფრინავის გუგუნში ცირას სიცილი შემოესმა. შემოესმა თუ თვითონ ელოდა, ამ დროს ცირა უსათუოდ გაიციინებო.
თვითმფრინავთან ხალხი მოვარდა. მფრინავი კაბინიდან წვალბით გადმოვიდა. ხალხი რაღაცას ყაყაებდა, მოტორის გუგუნში არ ისმოდა. ყველანი ხელებს იქნევენ. მერე მფრინავი ისევ ჩაჯდა კაბინაში. ცოტა ხნის მერე თვითმფრინავის მოტორი გაჩუბდა. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ხალხი ერთი წამით გაშეშდა. ყველაფერი სურათს დაემსგავსა. მერე ისევ აყაყანდნენ, მფრინავი კაბინიდან გადმოიყვანეს. ერთი ორჯერ კაბინაში შეისროლეს.
უცებ ხალხი ცირასკენ შემოტრიალდა.
— ცირა! — დაუძახა ვიღაცამ.
ცირა ნელა დაიძრა, მაგრამ ხალხისკენ კი არ წასულა, პირიქით, ეტყობოდა, ცდილობდა, ჩქარა გაცლოდა მათ.
არც აქეთ წამოსულა, მღვდლის სახლისკენ, აეროდრომის მიქანს გააყვა.
— ცირა! ცირა! — ახლა რამდენიმემ ერთად შესძახა, — მოდი ჩვენთან!
ცირამ ფეხი აურქარა, თან უკან იყურებოდა. ხალხი ცირას აედევნა.
— ცირა! ცირა!
ახლა ყველაფერი იმას ჰგავდა, სოფლის ორღობეში გიჟს რომ გამოეკიდებოდა ხოლმე ბავშვების გუნდი. თუმცა ნამდვილად, ალბათ, კარგი გულით ეძახდნენ. რადგან შენიშნეს გვიყურებო, მიწვით კიდევ.
ცირა ახლა უკვე მიიზბოდა, ხალხი სირბილით მისდევდა.
— დაიცადე, ცირა! ცირა!
სულ ბოლოს მფრინავი მობაჯბაჯებდა, ზურგზე პარაშუტის ჩანთა ეკიდა და ამის გამო ორ ფეხზე შემდგარი კუს ჰგავდა.
ურამ დღესაც არ იცოდა, ყველაფერი ნამდვილად ასე

იყო, თუ მოჩვენება. წამოხტა და მათკენ გაიქცა. ხალხს გზა გადაუჭრა და გაჩერდა. ხალხი სირბილით უახლოვდებოდა. ცირამ მოიხედა. უკან რომ დაინახა, უფრო აურქარა ფეხს.
ხალხი ქლოშინით მიუახლოვდა ურას.
ურამ ხელები გაშალა:
— რა გინდათ, რა?
შეჩერდნენ, ძლივს სუნთქავდნენ, ხეივანი გადასდიოდათ სახეზე. ერთმანეთს გადახედეს. ურას თვალი ვერ გაუსწორეს.
— რა გინდათ-მეთქი?
ურამ რამდენიმე ნაცნობი სახე გაარჩია. ისინი იყვნენ სწორედ, თვალს რომ არიდებდნენ. ამ დროს მფრინავმაც მოიბრინა. თავისი ტყავის ქუდი და ზურგზე ბაკანივით წამოკიდებული პარაშუტით მართლაც კუს ჰგავდა.
— რა მოხდა? — იკითხა. მან და ურას გაკვირვებით შეხედა.
ურამ მივიდა, საკინძეში ორივე ხელი ჩავსო და მაგრად შეაჭრდა:
— რა გინდა ამ ქალისგან, რა?
მფრინავმა მხრები აიჩქრა, ხელებზე ხელი ჩამოკრა:
— გამიშვი!
ურას ახალგაზრდა ბიჭი მიუახლოვდა.
— ბატონო ურამ! — მიმართა მან ურას, — ჩვენ ხომ პარაშუტით სტომის მოყვარულთა კლუბი გვაქვს?
— მერე? — ურამ მფრინავს ხელები გაუშვა, ბიჭს მიუბრუნდა. გრძობდა, რაღაც დიდ სისულელეს ჩადიოდა, მაგრამ არ იცოდა, სხვაანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო.
მფრინავმა პარაშუტი, როგორც იქნა, მოიხსნა, მიწაზე დააგდო, ურასთან მივიდა, მხარში ხელი ჩავსო და მოატრიალა:
— შენ რა, რას ხტუნობ?
— ესტუნობ? — ურამ მწარედ გაიღიმა, — ესტუნობ არა? — და გაშლილი ხელი სახეში ხეთქა მფრინავს.
მფრინავი წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა. თავი შეიმარგა. წამოვიდა და მოულოდნელად თავი ნიკაპში აკრა. ურას თვალთ დაუბნელდა, მერე მუშტი მოხვდა ცხვირში, სისხლი წასდა. თვალს რომ გაახილა, მიწაზე ეგდო, ახალგაზრდა ბიჭი ცხვირსახოციტ სისხლს სწმენდა.
მერე მფრინავი მიუახლოვდა, ორივე ხელი მხრებში ჩავსო და წამოსწია, ხელები არ გაუშვია, პირი ყურთან მიუტანდა და ჩურჩულით უთხრა:
— მამაკბე, თუ მამა ხარ, არ ვიცოდი.
ურამ ცალი ხელი მიწაზე დააბჯინა და წამოდგა. ხალხს გაეცალა, წამოვიდა.
„არ ვიცოდი... არ ვიცოდი... რა უნდა ცოდნოდა? რის ცოდნა საჭირო... რის?“
ორგვლივ სულ გვირილებით მოფენილი მინდორი იყო, მეტი არაფერი ჩანდა. დიდხანს იარა, სანამ ცირას არ წაადგა თავზე. ცირა მიწაზე იწვა, ორივე ხელი თავზე შემოვლოდა და ცას უყურებდა. თვითონაც მის გვერდით მიწაზე დაჯდა. გვირილა მოგლიჯა და მისი ღერი კბილებით გაძიებდა. ცირამ თავი მოაბრუნა და შეხედა, თითქოს პირველად ახლა დაინახაო. წამოიწია, ხელები ურას მუხლის თავზე დააწყო, მერე თავის ხელის ზურგს ლოყით მოეფერა, ამოხედა, გაუღიმა, თვალები ცრემლით ავსებოდა:
— რად გინდოდა ჩემსთანა სულელი ცოლი?
ზღვის პირას, ქვის ჯებირიდან ცოტა დაშორებით, სხვადასხვა ფერის ფიცრებისაგან შეკოწიწებული ქოსი იდგა. ქოსში ქალი თევზს სწავდა. თევზი თვითონ ტრიალდებოდა ერთი გვერდიდან მეორეზე. წვრილი, თეთრი თვალები ჰქონდა, ცარცის პაწაწინა ნატყუბი ბივით.
ძალიან ცხელიოდა. ნავთქარა, ზედ რომ ტაფა იდგა, ბოლაედა.
— შენ ჩემი ცოლი უნდა ყოფილიყავი, — ეუბნებოდა ურამ ქალს, — თუ გახსოვს, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარდა!
ქალი იცინოდა.
— მე შენ დიდი ხანია გიცნობ, — ეუბნებოდა ურამ და ქალის ერთიანად გათვრთულ თმას რომ უყურებდა, ცრემლის გორგალი ახრჩობდა.

ქალი იცინოდა და იმ ხელის ზურგით, რომელშიაც დანა ეჭირა, შუბლზე ჩამოშლილ თმას ისწორებდა.
ურას სიმწრის ოფლი ასხამდა. უყვიროდა, უმტყიცებდა, რომ უყვარდა, რომ ყველაფერი სიმართლე იყო, არ ატყუებდა.
— ნუთუ მართლა ყველაფერი დაგვიწყდა? — ჰკითხა ბოლოს ქალს უნუგეშოდ.
— ჩუ, — უპასუხა ქალმა, — გაჩუბდი!
— ჩვენ კი შეგველო, ბედნიერები ვყოფილიყავით!
— ჩუ, — გაიმეორა ქალმა, — ჩუ!
ახლა ქალს ორივე ხელი მკერდზე მიეღო, ისე რომ ნიკაპით დანის წვერს ებჯინებოდა. სახე საშინლად დამანტვოდა, ტურები მაგრად მოეკუმა, თითქოს რაღაც სტიკია და კვნესა კბილით უჭირავსო.
— თქვი რამე! — უყვირა ურამ.
ქალს არ შეტყობია, ურას ხმა გაიგონა თუ არა, მოულოდნელად შეხედა და ძალიან მშვიდად ჰკითხა:
— ვინა ხარ, რა გინდა ჩემგან?
ასევე მოულოდნელად გაიღიმა, გვერდზე გაიხედა და თქვა:
— აი, როგორ გავეთვრიდი, — და დაიწორცხა.
ამის ატანა კი ურას ნამდვილად აღარ შეეძლო, გამოტრიალდა და წამოვიდა. ჯებირის იქით ზღვა დელავდა.
— მერე ჩვენც უკვალოდ გავტყვით და არაფერი დარჩება, — ესმოდა ქალის ხმა, თუ ზღვა ლაპარაკობდა ქალის ხმით?
უცებ მანქანის ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა.
— რომელი საათია ნეტავ? — იკითხა.
— თორმეტი იქნება, — უპასუხა ქალმა.
— გავკითხეთ და ეს არი...
— ჰო...
— დაიძინე.
თან მანქანის ხმას უსმენდა. მანქანა, ეტყობოდა, მთიკმართან გაჩერდა. ამ შუალამისას მისი ხმა უჩვეულოდ ძლიერად მოისმოდა. თითქოს განგებ ხმაურობდა ასე, მათი გაღვიძება უნდოდა.
— ვინ უნდა იყოს? — იკითხა ქალმა.
— რა ვიცი... დაიძინე.
მერე კიშკრის ჭრიალი შემოესმა.
— ჩვენთან არიან! — თქვა ქალმა.
— ვინ?
— რა ვიცი.
ქალმა წამოდგომა დააპირა.
— დაიცადე, — დაუჭირა ხელი კაცმა.
— სტუმარია!
— მე ავდგები.
კაცი წამოდგა. შარვალი ჩაიცვა, იატაკზე ფეხი მოაფათურა და ფლოსტები მოძებნა, შუქი ანთო და კარი გამოლო. ქალმა გაიგონა, ვიღაცას ბნელში გასძახა, იქიდან დაუძახეს რაღაც. ცოტა ხანს უძრავად იწვა, მერე წამოდგა, პერანგზე ხალათი შემოიკივა და კართან მივიდა.
„კი, მაგრამ, ვინ უნდა იყვნენ ამ შუალამისას?“
მოხურულ კარს ისე უყურებდა, თითქოს კარი უცებ გამჭვირვალე გახდებოდა და ყველაფერს დაინახავდა. მერე თვითონაც აიგანზე გავიდა. ქმარი იქ იდგა, მივიდა და მხარზე ხელი დაადო.
— ვინ არის? — ჰკითხა ჩურჩულით.
— შედი შინ, — მოუბრუნდა ქმარი.
— ვინ არის-მეთქი?
ამ დროს ქის ოწინარმა დაიჭრიალა.
— შედი შინ, წვიმს, — გაუმეორა ქმარმა.
ქალმა ახლა კი გარკვევით დაინახა, ჰასთან ვიღაც იდგა, გადახრლი. ეტყობოდა, ჰიდან წყალს იღებდა. მართლაც ვედრო ამოსწია, მერე წყალი თავის ვედროში გადაასხა.
— შეგაწუხეთ, — მოუბრუნდა აიგანზე მდგომთ.
— რა შეწუხებთა, შე კაცო! — დაუძახა აქედან ურამ და ცოლს ოღნავ შესამჩნევად კარისკენ უბიძგა, შედიო.
ჰასთან მდგარი კაცი მათკენ წამოვიდა, ვედროც წამოიღო, ახლოს მოვიდა და უთხრა:
— დიდი მადლობელი ვარ! — უცებ ქალი დაინახა, — უკაცრავად, ქალბატონო, წყალი დაგვეტრია მანქანისთვის!

— შემობრძანდით, ბატონო, — ქალმა ნაბიჯი წინ გადადგა, — შინ შემობრძანდით!

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, ისედაც შეგაწუხეთ.

— შემობრძანდით, დასვენეთ ცოტა.

— ჰო, მობრძანდით, მობრძანდით, — უთხრა უჩა-მაც.

— არა, ბატონო, არა.

კაცი მოულოდნელად გატრიალდა, ჭიშკრისკენ გაიქცა, ცოლ-ქმარმა ურთიანეთს გადახედა, რა დაემართათო. კაცი თითქმის მანძივს შემობრძანდა, სირბილით მოდიოდა, აივანს რომ მოუახლოვდა, რაღაც ესროლათ ქვევლიდან, თითქოს უცებ ფარანი შეანათათო, ქალმა უნებურად ორივე ხელით დაიჭირა ნასროლი:

— აჰ?! — შეჰვიწყლა მან.

— მოშირთმევი! — დაიძახა კაცმა, — ნანადირევი!

გატრიალდა და წავიდა.

— დიდი მადლობა, ბატონო!

ქალს ორივე ხელით მკერდზე მიკრული სველი წერო ეჭირა.

მანქანა დიდი ხანია წავიდა, ისინი კი ისევ აივანზე იდგნენ.

ოთახში რომ შევიდნენ, ქალმა მოკლული წერო მაგიდაზე დადო. კარადის დიდ სარკესთან შეჩერდა, თავის თავს დააკვირდა, თმაზე ხელი გადაისხვა. ქმარმა თვალი შეასწრო, რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა გულში, უცებ ისე შეეცოდა ქალი, რომ ყელში ცრემლი მოაწვა. ეს გაურკვეველი გრძობა იყო, მოულოდნელად გაჩენილი.

იცოდა, რომ ქალი სარკეში ხედავდა, ამიტომ თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, ხმაშემა უთხრა:

— ჩაიცვი!

— რა? — ქალი მოტრიალდა.

— ჩაიცვი, — კაცმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, ისე დღეავდა, — აი, ის თეთრი კაბა ჩაიცვი.

— რომელი?

— აი ის!

ამით ქალი უნდა მიხვედრილიყო, რომელ კაბაზეც ეუბნებოდა. ის თეთრი კაბა ქორწინების დღეს უყიდა კაცმა.

— უჩა?

— ჩაიცვი-მეთქი.

თვითონაც დაიწყო ჩაცმა.

— უჩა? — ქალი ახლოს მივიდა, — უჩა?

უჩამ კარადა გამოადო, ქალის კაბეები გადმოყარა:

— ეს არა, ეს არა, არც ეს... სად არის, ქალო, ის კაბა?!

— რა ვიცი, რამდენი ხანია აღარ მცმია.

მაგრამ ახლა თვითონაც აჰყვა ქმარს, თვითონაც დაეწყო კაბას ძებნა, გამხიარულდა, როგორც ყველა ქალი ასეთ დროს.

— აი, — თქვა მან, — ვიპოვე, და კაბა წინ აიფარა, დახედა, — როგორ დაქმუჭუნულა!

— არა უნავს! — უთხრა უჩამ, — ჩაიცვი და წავიდეთ!

— სად უნდა წავიდეთ, რამ გადაგრა?

— ჰო, გადავირიე, ჩქარა ჩაიცვი-მეთქი.

— კი მაგრამ, სად მივდივართ მინც არ მეტყვი?

— ჩაიცვი და გაიგებ!

თვითონაც არ იცოდა, სად უნდა წასულიყვნენ, ასე გვიან სად შეიძლება წასვლა.

— კარგი, უთხრა ქალმა, მერე ჩუმად ჩაიკისკისა, — იქით გაიხედე, — თითქოს თეთრმა კაბამ ის პირველი სიმორცხვევ გაასხენა.

კაცი ფანჯარასთან მივიდა და სივარტეს მოუკიდა. ფანჯრიდან ევკალიპტების ლანდები მოჩანდა. ევკალიპტების იქეთ ზღვა იყო, საიდუმლოდ გაყურებული, ჩასაფრებულივით. ეგონა, სადღაც ეჩქარებოდა და აგვიანდებოდა. ახლა უცებ რომ არ გახსენებოდა, შეიძლებოდა საბოლოოდ დაგვიანებოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, რადგან მოულოდნელად მთელი არსებით დროის დინება იგრძნო. ვერც საათი, ვერც წელიწადის დროთა მონაცვლეობა ვერ გაგრძნობინებს დროის დინებას, რადგან ისინი ჩვეულებრივი მოვლენებია. რასაც ეჩვევი, ის არ იძვრის, ერთ ადგილას დგას, გაქვავებულია, და შენც მასთან ერთად უძრავი ხარ. მაგრამ ხანდახან დგება წამი, როცა დრო შიგ ადამიანის გულში გაივლის და წავა, წავა და გულის კარს ღიად დატოვებს, თითქოს გეძახის, შენც წამომყვირო. შეუძლია კი ვინმეს ნაბიჯი გაუსწოროს დღეს, საათს, წუთს, წამს, მათთან ერთად იაროს უსასრულობის გზაზე? ეს ხომ უკვდავებია! ნუთუ?...

— უჩა! — დაუძახა ქალმა ჩუმად.

უჩა შემობრძანდა და ქალს შეხედა. დიდხანს უყურა, რადგან თვალი ვერაფრით მოაშორა. ცირა იდგა, ერთი ხელი გულზე მიეღო, მეორეთი კი კაბის კალთა ეჭირა. გაოცებული და შემერთალი იერი ჰქონდა, თითქოს უკვირდა, ეს ნამდვილად თვითონ იყო თუ არა.

წვიმას გადაეღო. ოდნავ, შეუმჩნევლად წინწკლავდა. უჩამ თავისი საწვიმარი მოახურა მხრებზე ქალს. ევკალიპტების ხეივანში მიდიოდნენ. გზაზე გუბები ბრწყინავდა. მთავარ ევკალიპტებს მოჰყვებოდა, დაფლეთილი ღრუბლების ამალით. ისმოდა, როგორ ბორბავდა ზღვა ძილში.

უცებ ცირა ხელიდან გაუსხტა და გაიქცა. მერე შეჩერდა. ფეხსაცმელი გაიხადა, ხელში დაიჭირა და ისე განაგრძო სირბილი.

— დაიცადე! — დაუძახა უჩამ.

ცირამ არ მოიხედა, არც გაჩერებულა.

წერო მიფრინავდა. წვიმით გატენილი, ზღარბივით გაბურძგული ღრუბლები გზას უკეტავდნენ. დაბლა ზღვა იყო, ბინდით დაფარული, გარინდებული. მიფრინავდა და ვერაფერს ხედავდა. ვერც დინახავდა რამეს, რადგან გარშემო ღრუბლების მტეხი არაფერი იყო. იცოდა, რომ უნდა ეფრინა, თუ სიცოცხლე უნდოდა, უნდა ეფრინა დაუსრულებლად, შეუჩერებლად, არ უნდა დალილიყო, ან არ უნდა ეგრძნობინებინა ღრუბლებისათვის, რომ დაიღალა. იცოდა, ვერავინ უშველიდა. ამ ყრუ სიმარტოვეში მხოლოდ ფრენას შეეძლო მისი გადარჩენა. და ისიც მიფრინავდა იქით, საითაც ახლა მასთან ერთად მიეშურებოდა ქარი და ვარსკვლავები, რომელთა დაჭერებულ სრბოლასაც ის გუმანიტ გრძობდა, რადგან ვერც ვარსკვლავებს ხედავდა. ქარი დროის დინება იყო, მკვრივი და მოციმციმე მდინარე, რომლის ტალღებზედაც ის ხანდახან ფრთებს ასვენებდა ხოლმე, ეგდო მის ზედაპირზე გულამოვარდნილი და ფრთაგამლილი და დრო მიიფრენდა მას თვალუწვდენელი ზღვის თავზე, შორს, მთავრით განათებული ბალახისა და სიმშვიდის ქვეყანაში, საიდანაც მერე ისევ უცებ აიტაცებდა და უკან წამოიყვანდა, ისევ ამ მღუმარე, ბნელი და სახიფათო გზით. და ასე დაუსრულებლად. განა ქარს რაიმე დალიდა? ამიტომ ისიც არ უნდა დალილიყო, თუ უნდოდა, რომ ეცოცხლა.

ერთი სალადოგოს ამბავი

მოგონება

ვინც შალვა დადიანს იცნობდა, ძნელად დაავიწყდება ამ შესანიშნავი ადამიანის სიღირსი, სიკეთით გამთბარი სიცილი და ტკბილი, მოსწრებული სიტყვა-პასუხი. მას ძლიერ უყვარდა მეგობრებთან გულითადი საუბარი, ახალგაზრდაობის განხილვა, ოხუნჯობა. მისი ცხოვრებიდან აქ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო.

თვალის ექიმი კლიმენტი თოფურაძე მამაჩემის ბიძა იყო. ჩვენ, ბავშვები მას კლიმენტი ბაბუას ვეძახდით. ქართველი საზოგადოება კლიმენტი თოფურაძეს იცნობდა არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთ პირველ ქართველ ოკულისტს, არამედ როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ მოყვარულს, ქართული კულტურის ნამდვილ გულშემატკივარს. თავისუფალ დროს მუდამ მწერალთა კავშირში დაინახავდით, არ გამოაკლდებოდა არც ერთ დისკუსიას; უფრო ადრინდელ წლებში ძალზე ახლოს იცნობდა აკაკის. მე პირადად მისი ნაამბობით მახსოვს: 1896 წელს კლიმენტი თოფურაძე ჭერ კიდევ ხარკოვის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი ყოფილა, როცა აკაკი წერეთელი ხარკოვის ჩასულა მასთან და კლიმენტი ბაბუას კარგი მასპინძლობა გაუწვია დიდი მგოსნისათვის.

კლიმენტი თოფურაძე შალვა დადიანისა და მისი დის — მამო ანჩაბაძის შორეული ნათესავი და სიყრმის მეგობარი იყო.

1947 წლის ოქტომბერი... მზიანი დღე. უცებ მომესმა ჯოხის ძლიერი კაკუნი ჩვენი სახლის შემოსასვლელ კარზე. შეშინებულმა გავძახე — ვინა ხართ-მეთქი და ის იყო, კლიმენტი ბაბუას მხიარული ხმა მომესმა — „გააღე, გააღე“. მოხუცი ოთახში შემოვიდა. დაჯდა, ჯოხი მუხლებს შორის ჩაიღო, ზედ ხელი დააყრდნო და განზრახ სერიოზული გამომეტყველებით დაიწყო:

— შენ იცი, ჩვენი გვარი შეურაცხვეს და შური უნდა ვიძიოთ! აი, დახედე, შალვამ მოსკოვიდან რა გამომიგზავნა! — მან შავი ჯოხი, სპილოს ძვლის ხელმოსაკიდით ჩემკენ გამოიშვია. — ამ რამდენიმე ხნის წინათ შალვა ვნახე, — განაგრძო კლიმენტი ბაბუამ, — მითხრა, მოსკოვში მივდივარ, ჩემო კლიმენტო, ხომ არაფერს დამაბარებო. მეც ვთხოვე, ჯოხი დამეკარგა, თბილისში შესაფე-

რი ვედარ ვიშოვე, ხომ იცი, მოხუცი კაცი ვარ, უჯოხოდ სიარული აღარ შემეძლია, თუ შეხვედები მოსკოვში, იქნებ მივიღო-მეთქი, და აი, დღეს მივიღე ეს ჯოხი, თანაც შალვას წერილი.

შალვა დადიანი კლიმენტი თოფურაძეს წერილს ლექსად წერდა მისთვის და მახასიათებელი მეგობრული, თავაზიანი და ოხუნჯური ტონით. ლექსს თარიღად წარწერილი ჰქონდა 1947 წლის 8 ოქტომბერი. მომყავს იგი მთლიანად:

სალადოგო

ღირსეულ ადამიანსა და ექიმს,
ძვირფას კლიმენტო თოფურაძეს

რაც მიბრძანე, მის ძებნაში
გაცვივდი და ხმა მაქვს ბოხი,
მაგრამ მაინც აუღამყოფმაღ,
ვერ ვიპოვე კარგი ჯოხი:
სპილოს ძვლის და შავი ხისა
სურნელოვნად მონაპოხი,
შენ რომ გსურდა, შეგფეროდო,
მოხატული, როგორც ნოხი.
მაინც ვგზავნი... წვირილია და
მოკაკული ვით რომ თოხი...
თუ კი ვინმემ გაგაჯავრა —
დაუშინე როგორც კობი!
მე კი არა... რომ ჩამოვალ
მე არ მდრუხო თავში ჯოხი:
„აბა, ეს რა მაკადრეო!“
მაძებნინო ჩემი ქოხი!
ესეც კია: დადიანმა

მოგვიტხრობენ კველი უოტოაგი



ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

პირველი მსოფლიო ომის წლები იყო. შალიაპინი თბილისში კონცერტს მართავდა. კონცერტის დაწყების წინ, მას მოულოდნელად კბილი ასტკივდა. სიმღერის თავი საღლა ჰქონდა. კონცერტი ალბათ ჩაიშლებოდა; ამ დროს შალიაპინი მისმა მეგობარმა, მომღერალმა კაზიმირ ცხომელიძემ თავის ნათესავთან — სტრამატოლოგ თედორე ცხომელიძესთან წაიყვანა. რამდენიმე წუთში ექიმმა მსახიობს ტკივილი დაუყუჩა. გახარებული მსახიობი წამოხტა, გადაეხვია ექიმს და უთხრა:

— ხელოვანი მე კი არა, თქვენ ყოფილხართო!
როდესაც დიდი მსახიობი პეტროგრაღში დაბრუნდა, იქიდან ცხომელიძეს თავისი სურათი გამო-



ფ. შალიაპინი.

უგზავნა წარწერით: „თედორე საყვარელას-დე ცხომელიძეს, კეთილად მოსაგონებლად. ფ. შალიაპინი, 1915 წ. ივნისი, პეტროგრადი“.

1915 წელს თბილისში გამართული კონცერტების შესახებ აი, რას იგონებს შალიაპინი:

„ზედმიწვევით მახარებს ბაქოსა და თბილისში ჩამოსვლა. ამ ქალაქებს ჩემი ბევრი მოგონება უკავშირდება. განსაკუთრებით მოხარული ვარ თბილისში ყოფნით. აქაურ საოპერო თეატრში გამოსვლით, ერთ დროს მე დავიწყე ჩემი კარიერა. საქველმოქმედო მიზნით მხოლოდ კავკასიაში ვმართავ კონცერტებს. დაპრილ მებრძოლთათვის საკუთარი ჰოსპიტლები მაქვს. მათ ჩემივე სახსრებით ვინახავ, ეს კი ვეებერთელა ხარჯს მოითხოვს. თბილისში გამართული პირველი კონცერტის მთელი წმინდა შემოსავალი მე შევწირე ომით დაზარალებულ კავკასიის ხალხებს... თბილისში ამ მიზნით კონცერტის გამართვა ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია, რადგან, ვიმეორებ, თბილისს ჩემი ბევრი ძვირფასი მოგონება უკავშირდება“.

ცნობილია, რომ შალიაპინმა, როგორც პროფესიულმა საოპერო მომღერალმა, თავისი მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, 1893-94 წლებში, დასში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დირიჟორი ტრუფი. სწორედ იმ ხანებში, 1894 წელს, თბილისში, ივ. ფალიაშვილის საბუნებისადმი გამართულ კონცერტზე შალიაპინთან ერთად გამოვიდა დიდი ქართველი

მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. აღსანიშნავია, რომ მესხიშვილი ახლო მეგობარი იყო თედორე ცხომელიძისა, ხშირად მიდიოდა სტუმრად მის სახლში. მსახიობმა მეგობარს უძღვნა თავისივე სურათი წარწერით: „ძვირფას, სიმპათიურ თედორე საყვარელას-ძეს ნიშნად ჩემი მისდამი გულწრფელი და გულითადი განწყობილების და სიყვარულისა“.

მიძღვნილი სურათები, რომელთა რეპროდუქციებს აქვე ვაქვეყნებთ, დღესაც ინახება თედორე ცხომელიძის ასულის — ნინოს ბინაზე.

მ. ძიმიჯური

რომ აჩუქოს თუნდაც ჯოხი
მის აზნაურს ძველებურად
თუნდ უეცრად „მონაფოხი“ —
ღმერთს მაღლობა უნდა უძღვნას
თოფურითმ მეტანით,
მოიაროს მონასტრები
მარტვილიდან ბეთანით...
ეპ, რა ვქნა რომ შემომპყლდა
„ჯოხზე“ რითმა დასაყრდენი!
შენ იცოცხლე კვლავ მრავალ წელს,
გაიხარე შენი დღენი!

შალვა დადიანი.

—ახლა ხომ გაიგე, შალვა ჩვენ დადიანების მორჩილად გეტვლისს — განაგრძო კლიმენტი ბაბუამ კვლავ განზრახ სერიოზული გამომეტყველებით, რაც მის ხუმრობას უფრო მატებდა ეფექტსა და სიმახვილეს. — ჩვენ, თოფურითები არასოდეს დადიანებთან ყმები არ ვყოფილვართ. პასუხი უნდა მივწეროთ, ლექსად.

მეც შევიცადე შალვა დადიანის „სალაღობოს“ ტონი არ დამერღვია. პასუხი გავამზადეთ და შალვას მოსკოვში გავუგზავნეთ.

სალაღობოს სალაღობო,
ერთი წილი კიდევ მეტი...
როგორც იყო, ჩემო შალვა,
ძლიერს მივთვლ შენგან კეტო,
რომ დაუხუდღე, გამივივირდა,
ღამიხვია თავზე რეტი.
ვთქვით, ბოდიშობ ამ ჯოხისთვის,
მაგრამ რად სწერ ასე ოხვრით,
რომ სიტყვები შემოგაკლდა,
ვერ გავრითმე სიტყვა „ჯოხი!“
ან რად ფიქრობ, დადიანთან
თოფურითებს ნახავ მოხრილს
და მონასტრებს მაღლობისთვის

ჩამოვივლით მუხლზე ხოხვით.
ჩვენ ვართ ტახტის აზნაურნი,
თქვენგან შორს დგას ჩვენი ქოხი,
თოფურითებს ვერ მოხიბლავს
მოყვარული შავი ჯოხი.
საკირია ნადიმობა,
დაძახილი წერილი, ბოხი,
რომ მიართვას დადიანმა
თოფურითებს რამე ჯოხი.
ჩამოდი და სალაღობოდ
ჩვენ ვაგშალოთ ჭრელი ნოხი,
რომ თამადამ გუადღეგობდოლოს
მე და შენ და ჩვენი ჯოხი!

შენი მოყვარული კლიმენტი.

გავიდა ხანი, შალვა დაბრუნდა მოსკოვიდან. ორი ტკბილი მეგობარი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შალვა მიხვედრილიყო, რომ პასუხის თანავტორი მე ვიყავი. თურმე უღვაშებზე ხელი გადაისვა და ბაბუაჩემს სიცილით უთხრა: „მაჯობა, მაჯობაო!“

ასეთი იყო მათი პაექრობა. ასე ლაღობდა ხოლმე სამოცდაათი წლის ასაკს გადაცილებული შალვა დადიანი თავის ტოლებში, მეგობრებში, ხოლო ბაბუაჩემმა შალვას ნაჩუქარი ჯოხი სიკვდილამდე ატარა.

შალვა დადიანზე ალბათ კვლავ მრავალი მოგონება დაიწერება. მე კი მოვიგონე იგი. როგორც განსაკუთრებით ფაქიზი პიროვნება. შალვა ყველასთან თავნაინი იყო, არა იმისთვის, რომ თავი მოეწონებინა, არამედ უყვარდა ადამიანი, პატივს სცემდა მას. იგი ოხუნჯობდა მეგობრებთან არა იმისთვის, რომ თავის უპირატესობა დაემტკიცებინა, არამედ ამით უფრო ახლოს მიდიოდა ადამიანთან. შალვა იყო ქართული წრდილობის, გონებასიხვილობის, ქართული გულლიაობისა და უშუალოდის ჭეშმარიტი განსახიერება.

ცინლა თოფურიძე



გიორგიანი სსრკ

ქუთაისში, ოდასკურის ძველ სასაფლაოზე არის ერთი მივიწყებული საფლავი. აქ დაამარხულია სალიანის 263-ე ქვეითი პოლკის 24 წლის ოფიცერი ლავრენტი კონსტანტინეს ძე ბაბუნაშვილი. ეს ახალგაზრდა ოფიცერი 1905 წლის 31 იანვარს მეტად იდუმალ ვითარებაში დაიღუპა ქ. ბაქოში.

ვინ იყო ლავრენტი ბაბუნაშვილი და რა იყო მისი ასე უდროოდ დაღუპვის მიზეზი?

ჩვენს ზეით არის ორი დოკუმენტი. ესენია ბაბუნაშვილის სახელზე გაგზავნილი ორი მიმართვა. ერთი — „მისი თავგანწირული გმირობით 1905 წლის 23 ოქტომბერს ბაქოში დაღუპვას გადაარჩენილი სომეხი ქალებისაგან, მოსწავლე ახალგაზრდებისაგან და ბავშვებისაგან“, მეორე — „დაღუპვას გადაარჩენილ 77 სომეხი მამაკაცისაგან“. ორივე მიმართვას სულ 170 კაცი აწერს ხელს.

ჩვენ, სომეხი ქალები, — ნათქვამია ერთ მიმართვაში, — რომლებიც ვეკუთვნით დევნილ და ტანჯულ ხალხს, უსამართლო სისხლისღვრის, მხეტარის დევნისა და ყაჩაღობის ეპოქაში გაწამებულნი, ჩვენს მამებ-

ზე, ქმრებზე, ძმებსა და ბავშვებზე დარდით და წუხილით აღსავსენი — მოვმართავთ თქვენ, ჩვენო კეთილშობილო მხსნელო და დამცველო, რათა გითხრათ ჩვენი უაღრესად გულწრფელი, უღრმესი მადლობა ჩვენი ძმების, დების, ბავშვებისა და თვით ჩვენი გადაარჩენისათვის გამხეცებული ბრბოს ხელებიდან“.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერო, — აღნიშნულია მეორე მიმართვაში, — გვაქვს პატივი განვუცხადოთ მთელი რუსეთის იმპერიის მოქალაქეებსა და მთელს კაცობრიობას, რომ ჩვენ ყველანი, 77 ადამიანი, გადაარჩენილი ვართ დაღუპვისაგან სალიანის 263-ე ქვეითი პოლკის ოფიცრის ლავრენტი კონსტანტინეს ძე ბაბუნაშვილის ქეთილშობილი მოქმედების წყალობით...
ვუცხადებთ ბატონ ოფიცერ ბაბუნაშვილს, როგორც მამაცსა და დიდბუნებოვან ვაჟაკს, ჩვენს გულწრფელსა და უღრმეს მადლობას. ჩვენ ვთხოვთ მთელს კაცობრიობას, რათა დაფასებულ იქნეს მისი ასეთი კაცთმოყვარული, ასეთი პატიოსანი და თავგანწირული მოქმედება“.

მინც რა ჩაიღინა ახალგაზრდა

ქართველმა ოფიცერმა, ასეთი მადლიერება და სიყვარული რომ დაიმსახურა?

ეს მოხდა 1905 წლის 23 ოქტომბერს, გათენებისას. შაგრაშმელთა და მუსლიმან ფანატიკოსთა უზარმაზარმა ბრბომ ქ. ბაქოში ალყა შემოარტყა სომხური უბნების ქუჩებს იმ საბაბით, თითქოს აქედან მათთვის სროლა აეტეხათ. გამხეცებულმა ბრბომ ტყვია დაუშინა ამ ქუჩებზე მდებარე სახლებს, უფრო კი კაშენევის სახლს, სადაც მრავალი სომხური ოჯახი ცხოვრობდა. მათ მხარი აუღეს კაზაკებმა, ჯარისკაცებმა და პოლიციამ. კაშენევის სახლის ბინადართა მხარე დაეცათ. ყველა თავის ოთახში ჩაიკეტა. ამით ისარგებლა ბრბოს ერთმა ნაწილმა და შენობაში შევიარდა, რათა ადგილზე გასწორებოდა სრულიად უდანაშაულო ხალხს. იქ მცხოვრებ სომეხებს გადაარჩენის აღარავითარი იმედი აღარ ჰქონდათ. სწორედ ამ დროს შემთხვევით საიდანღაც ეტლით მომავალი ახალგაზრდა ოფიცერი გამოჩნდა. დაინახა თუ არა გამხეცებული და შეიარაღებული ბრბო, იგი ეტლიდან ვადმოხტა და იქვე მდგომ ჯარისკაცებს უბრძანა გაყოლოდნენ მას. ოფიცერმა გაარღვია ფანატიკოსთა რკალი, შეიჭრა კაშენევის სახლში და იქიდან გამოიკეცა შეიარაღებული შაგრაშმელები. მერე გამოიყვანა შეშინებული მცხოვრებნი. ქალები, ბავშვები, მოხუცები, ჩააყენა ჯარისკაცებს შუა და ამგვარი ბედრავით მიიყვანა კომერციული სასწავლებლის შენობაში, სადაც მათ აღარავითარი საფრთხე აღარ ელოდათ. როგორც კი ეს ამბავი დაამთავრა, ოფიცერი დაუყოვნებლივ შეუდგა ასეთივე ხერხით სომეხთა სხვა ალყაშემორტყმული სახლების განთავისუფლებას. ასე გადაარჩინა მან აშკარა სიკვდილს 170 სომეხი ქალი, კაცი და ბავშვი.

ეს ახალგაზრდა ოფიცერი იყო 24

წლის ქართველი ლავრენტი ბაბუნაშვილი.

ოფიცერ ბაბუნაშვილის კეთილშობილური და გმირული მოქმედების ამბავი სწრაფად მოედო მთელს ბაქოს. მადლობისა და პატივისცემის ნიშნად მის სახელზე უწყვეტ ნაკადად მოდიოდა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და კერძო პირების მიმართულებით, ადრეები, წერილები და დეპეშები. ამიერკავკასიის პროგრესული ბეჭდვითი ორგანოები რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ხოტბას ასხამდნენ ქართველი ოფიცრის სიმამაცესა და თავდადებებს, ქება-დიდებათი იგონებდნენ იმ მხარეს, სადაც იგი დაიბადა და იმ მშობლებს, რომლებმაც იგი აღზარდეს.

მაგრამ რამდენადაც ბაბუნაშვილი სათაყვანებელ პიროვნებად იქცა პროგრესული საზოგადოებრიობისათვის, იმდენად თვალში ამოიღეს იგი თათარ-სომეხთა ეტლის ორგანიზატორებმა — რეაქციონერებმა და შაგრაშმელებმა. თავისი ვაჟკაციური მოქმედებიდან სამი თვის შემდეგ, როცა ლავრენტი ბაბუნაშვილი დაქორწინებასა და შინ დაბრუნებას აპირებდა, იგი ტყვეობით გულგანგმირული იპოვნეს თავის ოთახში.

ღრმა მწუხარებით შეხვდნენ მამაცი ოფიცრის დაღუპვას ყველა, ვისთვისაც ძვირფასი იყო ადამიანურობა, ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, უამრავი გამცილებელი ჩამოჰყვა მის ნეშტს ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდან.

ახლა კეთილშობილი ქართველი ოფიცრის საფლავი მივიწყებული და მოუვლელია. კარგი იქნებოდა, თუ ქუთაისის საზოგადოებრიობა ყურადღებას მიაქცევდა ამ ამბავს და სათანადო ზომებს მიიღებდა მამაცი თანამემამულის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

დავით კაპაბაძე

აქთი ექსის ასომზი

ჩემს მშობლიურ სოფელ მეჭვრისხევში (გორის რაიონი) მოხუცი გლეხებისაგან ხშირად გამოიგონია მეტად საინტერესო თქმულებები, ლეგენდები, ხალხური ლექსები. ბევრი მათგანი შეთხზულია იმ ადამიანებზე, რომლებმაც თავის დროზე წარუშლილი კვალი დატოვეს თანასოფელთა მესხიერებაში. ყოველივე ამას აქვს თავისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, ქართლის ისტორიისათვის; ამან მაფიქრებინა და გამაბედვინა მეთავა სოფლის მუზეუმის დაარსება, რომელიც სხაზავს მეჭვრისხევის სასიქაფლო შვილთა ცხოვრებასა და საქმიანობას.

წლების მანძილზე მისხალ-მისხალ ვკრებდი ხალხური ზეპირსიტყვიერების ამ საინტერესო ნიმუშებს, რომელთაგან ბევრმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვეზუსტებინა წარსულში ცნობილი და ამჟამად მივიწყებული ბევრი მეჭვრისხეველის პიროვნება. ერთი მათგანი იყო ტიტო ზაქარაძე მღებრიშვილი. თითო-ორი კაცს ასსოვდა ცალკე ნაწევრები ხალხური ლექსისა, რომელიც ამ ადამიანის ცხოვრებას ეხებოდა. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჭდომოდა, მეპოვნა ადამიანი, რომელსაც ეს ლექსი თავიდან ზოლომდე ეცოდინებოდა. ბევრი ძიების შემდეგ ასეთ კაცს მართლაც მივაკვლიე. ეს იყო ღრმად მოხუცებული სანდრო მღებრიშვილი, თბილისის მცხოვრები.

სანდრომ ბევრი რამ საინტერესო მიაშრო. ვისაც სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობები წაუკითხავს, არ შეიძლება მისი ძალზე კოლორიტული პერსონაჟი ჯორ-ჯაქარა არ ასსოვდეს. ჯორ-

ჯაქარა სინამდვილიდან აღებული პიროვნებაა. ეს იყო მეჭვრისხეველი გლეხი ზაქარა მღებრიშვილი, მშრომელი, პატიოსანი კაცი, სიმართლის მოყვარული და მუდამ მისი მამიებელი. აი სწორედ ამ ზაქარას შვილი ვახლდათ ტიტო, რომელმაც თავი ისახელა 1905 წლის რევოლუციის ბოლოქარ დღეებში.

სანდრო მღებრიშვილმა ჩამაწერინა ლექსი ტიტოზე, რომლის პირველ სტროფებს ქვემოთ მოვიყვანო:

მე ვარ ტიტო მღებრიშვილი, ზაქარას-ძეო,
თუ ეს ბედი დამყვებოდა, რად დავიბადეო,
ოცდაერთი წლის რომ გავხდი, სალდათს წავიდე მეო,
საღდათობა გავათავე, სახლში მოვიდე მეო.
ერთობის ხმა შემომესმა, რაში შევკრიბეო,
საქართველოს გულიხათვის თავი გადავდეო,
საცა კარგი ბიჭი ვნახე, ძმად გავიხადეო,
კომიტეტმა დამიბარა, გორში ჩავიდე მეო,
წითელ რაზმის უფროსობა შენ ჩაიბარეო.

ლექსის ავტორი ყოფილა მეჭვრისხეველი გლეხი, წერა-კითხვის უცოდინარი ზაქარა გურგენიძე; სანდრომ ისიც მითხრა, რომ ეს ლექსი მას ზოლომდე არ ასსოვდა.

ეს ლექსი რამდენადმე შუქს ფენს ტიტო მღებრიშვილის რევოლუციური ცხოვრებას; ჩვენს ფოლკლორში იგი შესაფერის ადგილს დაიჭერს.

ვერა გოგიაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.



რეპროდუქტორი კვლავ აშრიალდა. ვენის აეროპორტის დიქტორი ქალი ნახევრად ჩურჩულითა და ინტიმურად ხმით აცხადებდა:

— ვიკომპანია „თურქი მავა იოლარის“ თვითმფრინავი „ვაიკაუნტი“ შეასრულებს № 871 რეისს ვენიდან სტამბოლისა და ანკარას მიმართულებით. გასვლას ჩასხდეთ თვითმფრინავში, გმადლობთ.

გასასვლელთან უკვე იდგა ჯგუფი, ჩუმად ლაპარაკობდნენ, ეტყობოდათ, რომ ახალგაზრდობები იყვნენ. ერთი შეხედვით კავკასიელებს ან ბალკანელებს ჰგავდნენ. თურქეთი თვითმფრინავშივე დაიწყო.

სტიუარდესა, ლამაზი შავგვრემანი გოგონა, რომლის დედა ალბათ ჩადრიით იფარავდა სახეს უცხო თვალისაგან, დღეს დადიოდა მუხლებზე მოკლე კაბით, თქმობის რხევით და ავრცელებდა კოტის სუნამოს სურნელს.

ჩემი მეზობლები მარცხნიდან და მარჯვნიდან ორ-ორი თურქი აღმოჩნდა. გამოველაპარაკე, ეს არაა ძნელი; სიგარეტი უნდა შესთავაზო და მიგმობრობის ძაფიც გახმულია. ევროპიდან ბრუნდებოდნენ — დასავლეთ გერმანიიდან, ბელგიიდან, პოლანდიიდან.

— რას აკეთებდით-მეთქი? — ვკითხე. მარჯვნივ მჯდომმა ტრაპიზონელმა ლაზმა მიჩვენა მძლავრი, გაშავებული და ბებერბიანი ხელები. კალატოზი ვარ, — თქვა და გაიცინა; სხვებიც შავ მუშებად და შოფრებად მუშაობდნენ.

აღსანიშნავია, რომ თურქი მუშა ევროპაში ძალიან მოსწონთ, როგორც ბეჯითი და გულმოდგინე; ამასთან, ისინი იღებენ ბევრად მცირე საფასურს, ვიდრე იმავე სამუშაოსათვის მიიღებდა ადგილობრივი მუშა.

— ახლა ერთი თვით სახლში მივდივარ, — განაგრძო ტრაპიზონელმა, — მერე კი ისევ სამი წლით, გერმანიაში.

— შეილები თუ გყავს?



ანკარის გზაზე

რეპორტი

— ოთხი. — თითბითაც მიჩვენა, რომ არ შემოვლოდა.

— ალბათ, ახლა მიხუთესაც დაუმატებ?

— ალბათ, — გაიცინა.

თურქულ ოჯახში იშვიათად, რომ ოთხ-ხუთ შვილზე ნაკლები ჰყავდეთ. საერთოდ მოსახლეობის მატების ტემპით თურქეთი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მოსახლეობა ყოველწლიურად სამი პროცენტით იზრდება. ეს 800.000 კაცია. ბოლო 88 წელიწადში იგი გაორმაგდა და თუ ასეთი ტემპი შენარჩუნებული იქნა, 1985 წლისათვის დღევანდელი 38 მილიონი 38 მილიონად იქცევა.

..თვითმფრინავი დაეშვა სტამბოლის იუნილქოის აეროდრომზე, ყოფილ სან-სტეფანოში. სწორედ აქ, 1878 წელს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლის ძალითაც ჩვენ დაგვიბრუნდა აჭარა. მწვანე მბრუნავი პროექტორი ანათებდა ბეტონის მიწოდორს. დიდ შენობაში ჩამწკრივებულიყო სხვადასხვა ავიაკომპანიების სააგენტოები.

საბაუში მივიხმეს. მოხელემ ერთხანს ათვალერა ჩვენი პასპორტები. მერე სათითაოდ აგვათვალერა. ბოლოს გადაწვივითა ჯენტლმენობა გამოეჩინა. — თამამ — ყველაფერი რიგზეა — ხელი გაიქნია და რაღაც ფურცლის შეგება დაიწყო.

იმავე თვითმფრინავმა ჩავიყვანა ანკარაში.

ესენობლას აეროდრომზე დაგვხვდნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი და ჩვენი მასპინძელი, ფირმა „გიუნის“ პატრონი, გიუნე-ბეი. თბილი ღამე იყო. არც კი გმჯეროდა, რომ იმ დილას მოსკოვში ყინვდა.

სასტუმრო „მოდერნ-პალასი“ ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ჩვენ ერთადერთი სტუმრები აღმოვჩნდით.

— ანკარაში შედარებით სიწყნარეა, — გვითხრა ვაშაშობისას ჩვენმა თარქიზანმა ისმიაილ-ბეიმ, — აი სტამბოლში მეტი მანქანაა და იქ ხმაურიც მეტია.

პატარა ქალაქი ბერგამა (ყოფილი პერგამონი). ქალაქის ქუჩაში.

კარგი სიწყნარე იყო ჩვენი გადაჩვეული ურბანათვის აუტანელი აღმოჩნდა ის გაუთავებელი სიგნალები, რომლებსაც თურქი შოფრები მთელი დღე-ღამის განმავლობაში იძლეოდნენ. დილით ადრე, ჯერ ცარიელ ქუჩებში ვსვინრობდით, იშვიათი მანქანები მომქროდნენ ათათურქის ბულვარზე, ჩვენ რომ ჩავიჭროდებოდა, ყველა თავის მოვალეობად თვლიდა ერთხელ მაინც დაედგუფლებინა თავისი სირენა.

ანკარაში უფრო დართო ქუჩებია და ოდნავ ნაკლები მანქანა, ვიდრე სტამბოლში. მაგრამ ხმაური აქაც საკმაო იყო.

1928 წელს ანკარაში ცხოვრობდა სულ 80 ათასი კაცი. ლეგენდის თანახმად, ქალაქი დააარსეს მერვე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფრიგიელებმა, მერე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრი-

ცხვამდე) გალატელებმა უწოდეს ანკარა. სპარსელები, მაკედონელები, რომაელები, ბიზანტიელები, სელჩუკები, ჯვაროსნები აქ ერთმანეთს ცვლიდნენ, ყველამ დატოვა აქ თავისი ნაკვალევი. დღეს ანკარის „კალი“ მდებარეობს თურქეთის დედაქალაქის შუაგულში, სადაც ცხოვრობს 800 ათასზე მეტი კაცი.

ქალაქი თითქმის მთლიანად ახლია. მის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც ჩანკიას უწოდებენ, მდებარეობს ყოფილი რევიდენცია ათათურქისა, მუსტაფა ქემალისა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილი მეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. მისი რევიდენცია ახლა მუშეუშეად უქცევიათ. იქვე მდებარეობენ უცხოეთის საელჩოები, შიდა რელიგიური ცენტრები, ძვირფასი ავტომანქანები, კრეისერული გრძელი და მუზეუმი მზნაივი, დგას ყოველი ეზოს წინ. აქ არქიტექტორებს საშუალება აქვთ ფანტაზია გამოიჩინონ, ერთი ბრწყინვალე ვილა ცვლის მეორეს. დიდი ხანი არაა, რაც ჩანკაია ქალაქის ფარგლებში შევიდა, ადრე ეს დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. აქვეა სახლები, რომელთაც აწერია „იუილება“, „ქირავდება“, კარგი სახლები, კარგი ბინები, მაგრამ მყიდველი არა ჩანს.

აქედან ძველ ანკარაში მივდივართ.

ქუჩებში, სადაც მანქანა სიფრთხილის გამო ვერ გაეტევა, აუარებელი ბავშვი დარბოდა. ბიჭები ბურთს აგორავდნენ და საკმაოდ უკმაყოფილოდ გვითმობდნენ ისედაც ვიწრო გზას. წყალი მოდიოდა ერთადერთი ოქანაიდან, შარვლიანი ქალები დიდი სპილენძის თუნგებით ხელში ჩამდგარიყვნენ რიგში.

პატარა ბავშვები მოგვედევდნენ და გვიყვიროდნენ: „ინგლიზ—დინგლოზ“, „ეი, ინგლისელებო, ფეხით რომ დადებართ, მანქანა რაღა იქნა!“ ყველა უცხოელი მათთვის ამერიკელია ან ინგლისელი. „ჯონ, — მომმართა პატარა გოგონამ, — წამოდი, დედაჩემს სურათი გადაუღე“, მაგრამ დედამისი ჩემს დახანავაზე სახლში დაიმალა; თერთბერანჯიანი მუქძინი ძვრა მიმართუთ, მაერი ღრმად ჩაისუნთქა და „ალაჰ უქებერ“ — დაიყვირა. არავინ მოაქცია ყურადღება.

ანკარის ძველი ციხიდან მოჩანდა ბორცვი, ქვევით გადიოდა საუცხოო ასფალტირებული პროსპექტი, შუაში გაწონით, მაგრამ სახლები მის ნაპირ-

ქალაქი ანკარა. აკად. გ. მელოქიშვილი ნამცხვრების პატარა დამტარებლებთან ერთად.



ბოლნისის თეატრის ნანგრევებთან.

ზე არ იყო. ყველა პაწაწინა სახლი ბორცვის ფერდობს ამკროდა. ეს იყო ნამდვილი „გეჭეკონდო“, თურქული ქალაქის ჭურღმულები. ბინდებოდა. ყველა აინთო ელექტრონის ნათურები, მხოლოდ ბორცვი რჩებოდა ჩაბნელებული. ოფიციალური ვერსიით, ეს ფერდობი ეროვნულია და აქ განგებ არ გაჰყავთ ელექტრონი, რათა აიძულონ გეჭეკონდოს მცხოვრებლები გადასახლდნენ ამ სახიფათო ადგილიდან. მაგრამ, ჩანს მცხოვრებნი არსად მიდიან. აქ დასახლებულნი არიან უმთავრესად უბრალო ანატოლიელი გლეხები, რომლებიც გამოქცევენ ეროვნით მოცულ, გადამშრალ, უნაყოფო მიწის ნაგლეჯს ქალაქში. მაგრამ თურქეთის მრეწველობა ჯერ სუსტია იმისათვის, რომ ასეთი დიდი რაოდენობის ახალი მუშა აიყვანოს. სწორედ ამიტომ მიემგზავრებიან თურქი მუშები უცხოეთში, დროებით სამუშაოზე.

ფასები კვების პროდუქტებზე თურქეთში, ევროპის ფასებთან შედარებით, დაბალია, ეს, ერთგვარად, აუმჯობესებს ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობას. ამასვე ვერ ვიტყვით სოფლების ცხოვრებაზე, მან ხომ იაფად უნდა მიჰყიდოს თავისი შრომის პროდუქტი ვაჭარს და იყიდოს საკმაოდ ძვირი სამრეწველო პროდუქტია.

ანკარის ძველი ციხის დათვალიერების შემდეგ გავემართეთ ხეთურ მუზეუმში. განმარტებებს გვაძლევდა ცნობილი ხეთოლოგი პროფესორი აქურგალი. იგი დაუყოვნებლივ მოვიდა ჩვენთან, როდესაც გაიგო რომ ჩვენს ჯგუფში იმყოფებოდა გამოჩენილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, ორივე მეცნიერი ამ დღემდე მხოლოდ ნაშრომებით იცნობდნენ ერთმანეთს. ანკარის არქეოლოგიურ (ყოფილ ხეთურ) მუზეუმს აქვს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი, უნიკალური კოლექცია პროტოხეთური და ხეთური ნივთებისა. არქეოლოგიურ ვაზნებს თურქეთში ძირითადად ევროპელები, განსაკუთრებით გერმანელები და ამერიკელები აწარმოებენ; მაგრამ მოაგვებულნი მასალის უდიდესი ნაწილი რჩება ანკარისა და სტამბოლის მუზეუმებში.

მუზეუმის დათვალიერებისას პროფესორ აქურგალს დაჰყვებოდნენ სტუდენტები — სამი გოგონა. მეორე დღეს თურმე ჩათვლა მქონდათ. ვკითხე — რას აბარებთ?

- ანტიკური კულტურის ისტორიას.
- თქვენ სადაური ხართ? — ეს შეკითხვა ყოველთვის მოსდევს პირველს.
- ქართველი ვარ.
- გოგონებიდან ერთი გამოცოცხლდა — მამაჩემიც ქართველია.
- თქვენ ვილა ხართ-მეთქი — ვკითხე.
- აბა რა ვიცი, ქართული არ ვიცი, მხოლოდ თურქული.
- სხვა ორი გოგონაც წმინდა თურქი არ აღმოჩნდა, ერთი კრეტელი ბერძნის ჩამომავალი იყო, მეორე ბოსნიელი; ასეთ შემთხვევებს აქ ხშირად წა-

აწყდებით. ჩვენი მასპინძელი იზმირში, ჰალიმ-ბეი, მაღალი, წარმოსადეგი და შესახედავად ტიპური კავკასიელი, ამბობდა, ჩემი ორივე ბებია ჩერქეზები იყვნენ, დედაჩემის მამაც კავკასიელი, მგონი ქართველიაო.

ჯერ კიდევ, როცა პირველად თურქებს გავეცანი თვითმფრინავში, ჩემი მეზობელი ტრაპიზონელი ლაზი, რომელსაც მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ლაზია, მეუბნებოდა, არა, მე აღარ ვიცი ლაზური, მაშინვე კი კარგად იცის, ჩემს გარშემო ყველა თურქულად ლაპარაკობსო. გვერდით მჯდომმა თურქებმა კი დაიწყეს ჩამოთვლა სად ცხოვრობენ ქართველები; ფანჯარასთან მჯდომი თურქი წამოგვეხველა, მე იალოვავში სტამბოლის სამხრეთით, შვიდი წელიწადი ვცხოვრობდი, იქ ბევრ ქართველთან ვამხანაგობდი, ქართველებს მეტ სახელად „ქომორთის“ ვეძახდითო.

— ქომორთი, ეს ხომ ლაზურია? — ვუთხარი მე. ლაზი დამეფიქრებია.

ახლაგაზრდა თურქმა გაიციან — სულ ერთი არაა, ქართველი და ლაზი ხომ ერთი და იგივეა. პროფ. აქურგალმა შესთავაზა აკად. მედიკი-შვილს ხეთური ნაქალაქარების ნახვა და მეორე დღეს გამოგვიგზავნა „ფოლქსვაგენი“, რომელსაც მისი ასისტენტი დოქტორი სერდაროღლუ მართავდა.

გზა აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა. დაიწყო ნამდვილი ცენტრალური ანატოლია, გარშემო ჩანდა ქვა-ლორღინი ველი, შორს ბორცვები, ზედ შეფენილი სოფლებით. ახლო-ახლოს მდებარე ბანანი სახლებით; გადავიარეთ მდინარე ყოზილი-ორმაქზე, ძველ ღალისზე, რომელიც აქ იმავე სიგანისაა, როგორც შტავარი თბილისში. მოძრაობა ანკარასა და მსხვილ სამრეწველო ცენტრს ქირიქალეს შორის ინტენსიური იყო, მერე კი უცებ შეწყდა. საუცხოო შოხე № 2-ზე და შემდეგ № 41-ზე თითქმის არა გვხვდებოდა მსუბუქი მანქანები. იშვიათად თუ გაივლიდა სატვირთო მანქანა, რომელსაც შოფერი კაბინაზე აუცილებლად დააწერს „მავალაპ“ ან „ალაპუ ემანეთ“ ან „ალაპ კორუსუნ“ („დმერთო, შენ მიშვიდე“); გვხვდებოდა ანატოლიური ურემი მთლიანი ხის ბორბლებით; უფრო ხშირად კი გზაზე ჩანდა ანატოლიის პეიზაჟის ყველაზე კოლორიტული და დამახასიათებელი ფიგურა, — პატარა სახედარი, ზედ ამხედრებული შარვლიანი ქალებით და ბავშვებით. „იერლი ტაქსი“ — „ადგილობრივი ტაქსი“ — ისუმრა ჩვენმა გამოვლიმა.

ეს მაგისტრალური გზები, როგორც წესი, მოასფალტებულია და მათ კარგად უვლიან; ბულდოზერები და სკრაპერები რამდენიმე ადგილას გზაზე ახალ საფარს აგებდნენ. სამაგიეროდ ცენტრალური გზის განტოტებები სოფლებიდან თიხიანი მიწისა იყო. წვიმის დროს აქ გაუვალი ლაფია — გვითხრეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ძველი ხეობის დედაქალაქის ხატუშას ადგილას მდებარე დღევანდელ თურ-

ქულ სოფელ ბოლაჯკალეში (ძვ. ბოლაჯქიოი) პატარა საბარო მოედანზე ყველაზე დიდი რაოდენობით კალოშები იყიდებოდა. აქვე გამოედინათ ნახშირი ტანისამოსი, ფერადი იაფფასიანი ქსოვილები, იდგა ერთი ყაყანი.

ხეთური ქალაქების ნაშთები ტოვებდნენ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას, თუმცა ყველაფერი, რაც წასაღები იყო, მუზეუმებში წადლოთ, დარჩენილი მხოლოდ იაზილიკიას კლდის ბარელიეფები, ალაჩაოიუკისა და ბოლაჯკალეს სფინქსები და ლომები. მაინც აქ იგრძნობოდა ხეთური სული, მისწრაფება რაღაცა უზარმაზარისაკენ. მაგრამ განსხვავებით დასავლეთ ანატოლიის ანტიკური ქალაქებისაგან, სადაც ყველაფერი ნათელი და რაღაც ადამიანური იყო, სადაც სუფთად თლილი მარმარილოს სვეტები, მათი მორთულობა სინათლეს მატებდა არემარეს, გულს გიჩქროლებდა სიხარულითა და წუხილით, რომ ვეღარ ნახავ მათ ამშენებელს, აქ, ხეთებთან, მათი ნაგებობების ნაშთებიც უფრო გზარავდნენ და გსრესდნენ თავიანთი გრანდიოზულობითა და სიდიდით, ვიდრე ალგაფრთვანებდნენ. ამას ალბათ გარშემო აღმართული კლდეები და უსივცხოლო ბუნებაც უწყობდა ხელს. თუ ეფესოში თავს შინ გრძობდი, ხედავდი ნათელ ამფითეატრებს, ღია ცის ქვეშ მუზეუმებში იდგნენ არაჩვეულებრივად ადამიანური ღმერთები და ღვთაებრივი ადამიანები, ქალები და კაცები, მეეტლები და მეფეები, აქ, ხატუშაში გეშინოდა ხმაალა ლაპარაკისა, მოწიწება და კრძალვა გმართებდა ამ ნანგრევების, ამ ნახევრად დაშლილი ქვის ლომებისა და გრიფონების წინაშე, რაღაც მისტიკა, ბნელი, გაუგებარი სული ტრიალებდა ირგვლივ.

აქედან ჩვენ ისევ ანკარაში დავბრუნდით. 280 კილომეტრი ანკარამდე ორიოდ საათში გავიარეთ. ანკარაში შესასვლელად მოგვცა გენახა თურქეთის პარლამენტი — დიდი სახალხო შექლისის შენობა. სქელი ოფიცერი დაგვევებოდა ცარიელ შენობაში და ყველ-ფერს დაწვრილებით გვისხნდა: ჩვენ ხომ პირველი საბჭოთა ტურისტები ვიყავით აქ. სენატის დარბაზი მრგვალი იყო, უკან მოჩანდა პრეზიდენტის საგარძემო და ოთხი სანათური, რომლებიც მისი აქ ყოფნის შემთხვევაში ინთება.

წარმომადგენელთა პალატა, სადაც ასე ხშირია შეხლა-შემოხლა დეპუტატებს შორის, ოთხკუთხედი აღმოჩნდა. პარტიული ფრაქციების ადგილები ანბანური რიგით გაწაწილებიან: სამართლიანობის პარტიას თითქმის ნახევარი ექირა. ოპოზიციის ლიდერის, ისმეთ ინენიუს სკამის ნომერი 402 იყო. ელექტრონული მოწყობილობით შეიძლება ხმის მიცემა, გაშვება ან თავის შეკავება. წინ დიდ ელექტროტაბლოზე იწერება შედეგები. ამ საუცხოო შენობას 1987 წლიდან 1960 წლამდე აგებდნენ და ის 150 მილიონი ლირა დაჯდა. ანკარიდან იზმირისაკენ გავემგზავრეთ.

მანქანას აწერია „ალაპ კორუსუნ“, — „ალაპ, შენ დამიფარე“.



„გუგასუნიანი“ სიხის საკანცერა



ვალაჩი მამაკაცი, საწერ მაგიდას რომ უხის, არც მწერალია და არც დადარიგში გასული გენერალი. ეს არის განგსტერი ჯო ვალაჩი, რომლის თავი შეფასებულია მილიონ დოლარად. ასეთ გასამრჩელოს გადაუხდინ იმას, ვინც მოკლავს ამ კაცს; გადაუხდის ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი განგსტერული ორგანიზაცია „კოზა ნოსტრა“, ოღონდ ჯო ვალაჩიმ შეწყვიტოს თავისი „მემუარების“ წერა.

1963 წლის შემოდგომაზე ჯო ვალაჩიმ ამერიკული სენატის კომისიას გაუშვილა ამ ორგანიზაციის საიდუმლოებანი. გამოიანგარიშეს, რომ „კო-



ვალაჩი მაშინვე გადაიყვანეს ფორტ ნიუ-ჯერსში. ეს ფორტი დღე და ღამე გაჩირადნებულია პროექტორებით და გარშემორტყმულია ეკლიანი მაგთულის ხლარებით, სადაც ვაშეებულა მაღალი ძაბვის დენი. და ახლა ვალაჩი ამ ციხე-ქალაქის ერთ-ერთ საკანში წერს თავის მოგონებებს. ამ ქალაქს ბედის ირონიით, ჰქვია იტალიური სახელი — შილანი („კოზა ნოსტრა“ დაარსებულია სიცილიიდან გამომდინარე უაჩალებს მიერ და იტალიურად ნიშნავს „ჩვენს საქმეს“). ვალაჩის უქანსკენელი „ნაშრომები“ ნათესს ჰყენენ როგორც მისი ბიოგრაფიის, ისე შეერთებულ შტატებში ორგანიზებული ძარცვა-გლეჯის ისტორიის მრავალ დღემდე უცნობ ამბავს.

ღარბი იტალიელი მემწვანის ვაჟი ჯო ვალაჩი 11 წლის ასაკშივე მოხვდა ნიუ-იორკის საპატიმროში. 19 წლისა რომ გახდა, ყაჩაღობის მთელი „აკადემია“ გავლილი ჰქონდა. ამ დროისათვის მან უკვე არა ერთი კაცი გაძარცვა და მოკლა. მაშინ ციხეში გაცნობილია ერთმა ძმაკაცმა ვალაჩისათვის „კოზა ნოსტრას“ საიდუმლოებანი. გაუნდო. ამ ორგანიზაციამ შეერთებულ შტატებში 30-იანი წლებისათვის დაიწყო ჩამოყალიბება. ჯო ვალაჩი გააცნეს ორგანიზაციის მოთავეს მარანცანოს, რომელმაც იგი თავის მცველად დანიშნა.

ვალაჩი „კოზა ნოსტრაში“ მაშინ მოხვდა, როცა მარანცანო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა მასერიას წყუფთან. მარანცანომ მოახერხა მასერიას თანაშემწეების — ლაკი ლუჩანოსა და ვიტო ჩენოვეზეს გამდობრება და მათ ყოფილ პატრონთან ანგარიშის გასწორება.

1931 წლის აპრილში ნიუ-იორკის ერთერთ რესტორანში დანაშაულებრივი სამყარო ზეიმს მართავს „კოზა ნოსტრას“ „მოთავეთა მოთავეს“ („კაპო დეი კაპი“) მარანცანოს პატივსაცემად. მარანცანომ მაშინ გამოაცხადა „კოზა ნოსტრას“ სტრუქტურა, რომელიც დღემდე უცვლელად დარჩა. იმპერატორ იულიუს კეისრის დიდმა თაყვანისმცემელმა („დონ მარანცანო კულიდან იშლებოდა ამ რომელი გენერლის თხზულებებისაგან“, — წერს ვალაჩი) „კაპო დეი კაპიმ“ ყველა მსხვილი ქალაქი დაყო „ოჯახებად“ (ნიუ-იორკში ასეთი „ოჯახი“ სამი იყო). „ოჯახის“ უფროსს ემორჩილებოდნენ „ნაცვლები“, მათ კი — „ჯარისკაცები“, ანუ რიგითი ბანდიტები. მარანცანომ გადაწყვიტა გაემტკიცებინა თავისი ძალაუფლება ამ ორგანიზაციაში. მან სცადა თავიდან მოეშორებინა ლაკი ლუჩანო, ვიტო ჩენოვეზე და ათამდე სხვა განგსტერი. ეს აუცილებელია, ამბობდა იგი, „თუ ჩვენ გესურს კონტროლს ვუწვედეთ რაიმეს“. გასაკონტროლებელი კი ბევრი რამ იყო — ბანქოს სათამაშო სახლები, ნიუ-იორ-

კის მშენებელი მუშების პროფკავშირები, ტრალიზატორები, კონტრაბანდის არხები. მარანცანოს კონკურენტებმა იგრძნეს ხიფათი და გაიხსენეს ბრუტოსის ისტორიული მაგალითი. პოლიციელთა ფორმაში გადაცმულებმა შეაღწიეს მარანცანოს კაბინეტში (ოფიციალურად იგი ირიცხებოდა უძრავი ქონების ფირმის ხელმძღვანელად) და „იულიუს კეისრის“ სიცოცხლეს ჯვარი დაუსვეს.

„კოზა ნოსტრას“ წესების მიხედვით, ჯო ვალაჩიც, როგორც მარანცანოს მცველი, უნდა მოეკლათ. მაგრამ ახალმა „ძლიერმა ადამიანმა“, ვიტო ჩენოვეზემ შეიცოდა და სიცოცხლე აჩუქა მას. ვალაჩი შეუდგა ბენზინის კოლონების, ბანქოს სათამაშო სახლებისა და მევანშეთა საკითხის მოგვარებას.

ამ დროისათვის „კოზა ნოსტრამ“ ხელმოკრედ შეცვალა თავისი მეთაურები. ვიტო ჩენოვეზემ ძლიერ ღრმად შეტოპა, მას ბრალი დასდეს როგორც მკვლელს. ჩენოვეზე იძულებული გახდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადახვეწილიყო.

თმის შემდეგ ვიტო ჩენოვეზე შეერთებულ შტატებში დაბრუნდა და ისევ სათავეში ჩაუდგა საქმეს. მისი ბრძანებით მოკლეს „მკვლელობათა საზოგადოების“ მეთაური ანასტაზია ფრენკ კასტელი თავისივე ნებით გახზე ვადგა, და ჩენოვეზე კვლავ ერთპიროვნულ „კაპო დეი კაპი“ გახდა. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ ანასტაზია მეტისმეტად გატაცებული იყო მკვლელობებით, ხოლო ფრენკ კასტელი, პირიქით, მეტისმეტად „რბილი კაცი“ იყო და, ამასთან, „მეტისმეტად დაუხლოვდა პოლიტიკოსებს“ (სხვათა შორის, „პოლიტიკოსებთან“ დაახლოვებას მრავალი განგსტერი ესწრაფვის. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როდენ ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის განგსტერებს ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკურ სამყაროში კარიერა გააკეთონ).

1958 წელს ვიტო ჩენოვეზე და ჯო ვალაჩი წარუბრუნებულად ვაჭრობისათვის დააპატიმრეს და ისინი ერთმანეთს ქ. ატლანტას ციხის საკანში შეხვდნენ.

ვილადამ, არავინ იცის რა საფუძველზე, ჩასწორულა ჩენოვეზეს, რომ ჯო ვალაჩი „მიეყიდა“ პოლიციას. ურთიერთობა საკანში მკვეთრად შეიცვალა. ჩენოვეზემ ვალაჩი ერთბაშად შეიძულა. ერთ საღამოს ვიტო მოჰყვა არაკს, რომელიც ჯო ვალაჩის მეტად ცუდად ენიშნა. „წარმოიდგინე, რომ მსხლით საფე კალათაში შეგვდება ერთი დამბალი მსხალი. რას უნამ ამ მსხალს? გაფუჭებული მსხალი საჭირბა დაუყოვნებლივ გადაადგო, სანამ მას სხვებიც არ წაუხდნენა“. მინიშნება მეტად ნათელი იყო. იმ დამეს ჯოს თვალი არ მოუხუტავს. სულ მალე, ციხის ეზოში სეირ-

ნობოზა დროს, რამდენიმე კაცმა სცადეს მასთან მიახლოვება. ერთმა ჯიბიდან დანაც კი ამოიღო. ვალაჩიმ ხელი დასტაცა რკინის მილის წაჭერს და იქვე მდგომ ტუხლს დაჭრა (როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ ტუხლს არავითარი კავშირი არ ჰქონდა „კოზა ნოსტრასთან“). ვალაჩი იმდენად აღგზნებული იყო, რომ მილის წაჭერს ხელიდან აღარ უშვებდა, თხოვლობდა მოეთავსებინათ ცალკე საკანში და საიმედო გულშაგი დაეყენებინათ კართან. მან გააგებინა გამოიყვანა ფედერალურ ბიუროს, თუ როდენ მნიშვნელოვანი ჩვენებების მიცემა შეეძლო. სწორედ მაშინ დაიწყო მან „ფირმის“ საიდუმლოების გამომქვადენება.

ჯო ვალაჩმა ბევრი რამის თხრობა მოასწრო. როგორც იქნა, ცნობილი გახდა ამერიკული „მაფიას“ მოთავეთა სახელები, დადგენილი იქნა ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი წევრების ურთიერთობათა ხასიათი, დიდი ბიზნესისა და პოლიტიკის სამყაროსთან კავშირის მასშტაბები. მაგრამ, როგორც ჩანს, ვალაჩის მთავარი სენსაციური ჩვენებები როგორცაა გაიხიბნენ. გამოძიების ფედერალური ბიუროს კანცელირიაში. ფიქრობენ, რომ ეს ჩვენებები ბიურომ შემოინახა, რათა ხელთ ჰქონდეს მთავარი კოზირი ჯერ ერთი დანაშაულებათა სამყაროსა, და მეორეც — იმ პოლიტიკოსებისა და საქმოსნების მიმართ, რომლებიც დაკავშირებული არიან განგსტერებთან. გარდა ამისა, სპეციალისტები თვლიან, რომ ვალაჩიმ ჯერ კიდევ არა თქვენ ბევრი რამე. აი რატომ არის, რომ „კოზა ნოსტრას“ მოთავეთა ყოფილ მცველს იცავენ როგორც მეფეს და ციხე ნიავს არ აკარებენ, მისი საყნის მისადგომებს გამოუდმებით ათვალიერებენ. სპეციალური ბაღრაგი მოჰყვებდა ქვაბებს, რომლითაც სამხარულებიდან სადღიო მიუქეთ ვალაჩისთან; ვალაჩი კი ზის და წერს „კოზა ნოსტრას“ „მატიანეს“, თუმცა საეჭვოა, რომ ეს მათიანე იმ სახით იხილოს ქვეყანამ, როგორც იგი არის დაწერილი. მეტისმეტად ბევრი მილიონერის რეპუტაცია შეილახებოდა მაშინ, მეტისმეტად დიდი ალაქოთი ატყდებოდა პოლიტიკოსებს შორის, რომლებიც ხშირად სარგებლობდნენ განგსტერთა სამსახურით, მეტისმეტად საშინელი სახით წარმოსდგებოდა ამერიკული „თავისუფალი სამყარო“, სადაც განგსტერისმი და დიდი ბიზნესი ისე არიან ერთმანეთში გადახლოვდნენ, რომ ზოგჯერ ძნელია გარკვევა, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

კიევი, XXVI საკავშირო ჩემპიონატი ქალთა შორის... ნანა ალექსანდრია მძაფრად უტყვის ვალენტინა კოვლოვსკაიას. კიდევ ორიოდ სვლაც და, ეტყობა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დაწებდება — მისი პოზიცია თითქოს სრულიად უიმედოა. მაშინ ნანას ერთადერთი სერიოზული მეტოქეა რჩება პირველი ადგილისათვის ბრძოლაში — ტატანა ზატულოვსკაია. ქართველი ოსტატის მრავალრიცხოვანი ქომაგები ზეიმობენ. დემონსტრატორი მიდის საჭადრაკო დარბაზს და, დახეტ, გვაჩვენებს სვლას, რომლის შემდეგ წასაგებ პოზიციას იღებს... ნანა მისმა ერთმა მოუფიქრებელმა მანევრმა წყალში გადაყარა ამდენი ხნის ნაშრომი. მწვრთნელი ბუხუტი გურგენიძე გაოგნებულია. ნ. ალექსანდრია დანებების ნიშნად აჩერებს საჭადრაკო საათს, ულოცავს მეტოქეს და ნაჩქარევად სტოვებს დარბაზს.

ეს იყო ყველაზე სასტიკი დარტყმა, რომელიც ნანა ალექსანდრიამ და მისმა გულშემატკივრებმა განიცადეს კიევში, ისეთი დარტყმა, რომელიც ბრძოლაში გამოხატმდელი ოსტატებსაც კი შეაწაწაობდა. მე არ მივიჩნეოდა, როდესაც ნანა კიევში შესანიშნავ პარტიებს იგებდა, არც ის, რომ ასეთ ასაკში ოქროს მედალს უმიზნებდა... კარგა ხანია შევეჩვიეთ ნიჭიერი ქალიშვილის დამარჯვებებს. საოცარი სულ სხვა რამ იყო — ესოდენ ახალგაზრდა ოსტატის წარმოუდგენელი სულიერი სიმტკიცე და არნახული საბრძოლო შემართება. მხოლოდ ასეთი ბრწყინვალე სპორტული ღირსებებისას შეიძლება გონს მოსვლა იმ დაუმსახურებელი „ნოკდაუნისაგან“, რომლის მომსწრეც გახლდით ვ. კოვლოვსკაიასთან პარტიაში.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ტურნირის ოცი მონაწილედან მხოლოდ ორი იბრძოდა თავიდან ბოლომდე პირველი ადგილისათვის: ტატანა ზატულოვსკაია და ნანა ალექსანდრია. ამასთან, მათ თანაბარ პირობებში როდი უზღებოდათ პაექრობა. ზატულოვსკაიას ჭერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე მიენიჭა პრეტენდენტთა ასპარეზოებაში გამოსვლის უფლება. კიევში მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა — ჩემპიონობა! ზატულოვსკაია ადრეც ყოფილა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ეს მას მეტ სითამამეს აძლევდა. ნანა კი ვერ დასწვავდა „უკან დასახეც ხიდს“ — მას ჩემპიონობაზეც უნდა ეზრუნა და პრეტენდენტთა ტურნირში მოხვედრაზეც. ბაქოელი ოსტატის მხარეზე იყო დიდი საბრძოლო გამოცდილება, ბრწყინვალე სადებიუტო ერთდღეობა, ნანას მხარეზე ახალგაზრდული ციცხლი და საოცარი საჭადრაკო ნიჭი; და რაოდენ სასიხარულოა, რომ საბოლოოდ ამ ნიჭმა გადასწონა.

ძველი რომაელები ამბობდნენ: „როდესაც ორნი ერთ საქმეს აკეთებენ, არ ნიშნავს, რომ ერთნაირად გააკეთებენ“. ასე მოხდა ამჯერადაც. ზატულოვსკაიამ როგორც მრავალნადაც ოსტატს შეშვენივს, ფრთხილი ტაქტიკა აირჩია — შედუმტად გაბედული მეტოქეების დასჯა, თანაბარ პოზიციებში დაწვება. ამის შედეგი გახლდათ 7 გამარჯვება და 12 (!) უაიში, არც ერთი წაგება. შესანიშნავი შედეგია, მაგრამ, როგორც ეს საბოლოოდ გამოიჩვენა, იგი საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ... მესამე ადგილისათვის! ნანამ კი თავიდანვე ომი გამოუცხადა უაიმებს. ორი უაიში ერთ გამარჯვებას უდრისო — უუკვრის თქმა დიდოსტატ სალო ფლორს. ზო, მაგრამ ორი უაიში ხომ ამავე დროს ერთ დამარცხებასაც უდრის! ნანამ პირველ ორ ტურში ორი დამარცხება იგება და, ასე გასინჯეთ, სატურნირო ცხრილში უკანასკნელ, მეოცე ადგილზე იყო. მესამე ტურიდან მოყოლებული მან გაიარა ტრიუმფული გზა ბოლოდან პირველ ადგილამდე — ასეთი რამ არ ახსოვს ჭადრაკის ისტორიას!

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ საქმე გვაქვს განსაკუთრებული ნიჭის მოქადაგებთან. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ყოველგვარ სფეროში შეიძლება ნიჭის „დამუხრუჭება“, რომ მას ყოველთვის არ ეძლევა „გზა ფართო“. ნიჭი იმ ნაწ ყვავილსა ჰგავს, რომელიც საგანგებო მოვლას მოითხოვს. და აი სწორედ ეს კეთილშობილური და ძნელი ამოცანა იტვირთა იშვიათი სულიერი თვისებებით დაჯილდოებულმა ვახტანგ ქარსელაძემ. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას თავისი „ოქროს წიგნი“ აქვს. აქ აღწუსულია გამოჩენილი დიდოსტატების, არბიტრებისა და ორგანიზატორების გვარები. სამწუხაროა, რომ ამ „ოქროს წიგნი“ არააა სპეციალური განყოფილება მწვრთნელთათვის — იქ ხომ უპირველესი ადგილი ვახტანგ ქარსელაძეს დაეთმობოდა! აბა სხვანაირად როგორ უნდა შევაფასოთ იმ ადამიანის საქმიანობა, რომელმაც აღზარდა და ფართო გზაზე გამოიყვანა ორი უბრწყინვალესი მოჭადრაკე: ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია!

ნონა და ნანა ახლა ბევრი მოედის, რომ 1988 წელს სწორედ ისინი შეხვდებიან ერთმანეთს დიდ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე. ახლა ამას ბევრი ამბობს, მაგრამ იყო დრო, როდესაც ასეთი მატჩის შესაძლებლობა სწამდა მხოლოდ ერთ კაცს, ვახტანგ ქარსელაძეს. მაგონდება შეხვედრები გამოჩენილ გერმანელ მოჭადრაკე ქალ ედიტ კელერ-გერმანთან. 1960 წელს ლაიპციგში იგი არ მიჭერებდა, რომ პრეტენდენტთა ტურნირში პირველ ადგილს დაიჭერდა და შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს — ე. ბიკოვას სძლევდა 19 წლის ნონა გაფრინდაშვილი. 1964 წელს სოხუმში ნონასთან ერთად მან ისილა ნანა რა აღფრთოვანებული დარჩა მისი ნიჭით. ერთი თვის შემდეგ ედიტ კელერ-გერმანი ბერლინის საჭადრაკო შურნალში წერდა: „გაივლის კიდევ ცოტა ხანი და ეს პატარა, მომხიბლავი გოგონა მეტოქეობას გაუწევს თავის თანამემამულე ნონას!“



ნუნა ნანა

როდესაც ნანაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, მისი სპორტული წარმატება როდი გვაქვს მხედველობაში, თუმცა იგი განუყოფელი რეკორდია ჭადრაკის ისტორიაში. ჩვენ ვითვალისწინებთ ნანას პარტიების დიდ სიმდიდრეს. მოიწვიეთ ჭადრაკის რომელიმე გამოჩენილი სპეციალისტი და უჩვენეთ ნანას პარტია ლ. იდელჩიკთან. ამასთან, ნუ ეტყვიეთ მოთამაშეთა გვარებს, დაე, სპეციალისტმა თვით დაასახელოს ისინი. ნუ გაცდებით, თუ გიგონებთ ჭადრაკის რომელიმე კორიფეს გვარს ჩვენი პატარა ნანა ალექსანდრიას ნაცვლად, ასეთ პარტიას ყველა მოაწერდა ხელს! ძნელია დაიწვიება ტ. მოროვსკასთან ჩატარებული პარტიისა. ნ. ალექსანდრია, რომელიც წინა დღით დამარცხდა ვ. კოვლოვსკაიასთან (ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ), ისე თამაშობდა თითქოს არაფერი მომხდარიყო. მან მეტოქეს ხარისხი და პაიკი შესთავაზა ინიციატივის ნაცვლად. საკმარისი ხდებოდა ნანას ოდნავი შეფერხება, რომ მოროვსკა მოახერხებდა თავის დაცვას, რის შემდეგ მისი გამარჯვება უდავო ხდებოდა. მაგრამ ნანა როდი შეფერხებულა. ბრძოლის დამწყვეტ უბანზე „დაბარბულებივით ჩამოდიოდნენ“ ნანას ფიგურები. და აი ქართველმა ოსტატმა „ქამანდის“ მოხდენილი სროლით დაატყვევა მეტოქის მეფე და მაყურებელთა ტაში დაიმსახურა. ნუ დაგვაფიწყებთ, რომ ნანამ სძლია უკრაინელ მოჭადრაკეს კიევში. მაგრამ ნანას ხელოვნება ის ყოვლისშემძლე ძალა გახლდათ, რომელმაც ერთი ხელის მოხმით გადაიბირა ეს გულშემატკივრები. „მშვენიერი კიევი ბედნიერებას მანიჭებს. სექტემბერში აქ დავიკავებ პირველი ადგილი საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ახლა კი ჩემპიონიც ვაგხდის!“ — აი, რა განაცხადა ქართველმა ოსტატმა შეჭიბვების საზეიმო დახურვისას.

არა ერთხელ ვესაუბრე ნანას მწვრთნელს, სწორედ იმ ბუხუტი გურგენიძეს, რომელიც კიევში საშინლად დელავდა, ნ. ალექსანდრიას კი არაფერს აგრძობინებდა. ნანას თამაშის მანერა ისეთია, რომ მაყურებელი მუდმივ მდელვარებას განიცდის. მას ბევრი რამ სადავოდ ეჩვენება, განსაკუთრებით

(დასასრული მე-20 გვ.)



სტატისტიკამ ყველაფერი იცის

სტატისტიკოსებს აღრიცხული აქვთ ყველაფერი, რაც კი ქვეყნად ხდება. ასე, მაგალითად, პოლონელმა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ გასულ წელს მათი ქვეყნის მცხოვრებლებმა გადაიხადეს 600 მილიონი ტაბლეტი თავის ტკივილისა. ვარშავის საეფეოდოს 91 მცხოვრები და 49 კრაკოველი მოიწამლნენ იმის გამო, რომ დოზაზე მეტი მიიღეს ძილის-მომგვრელი და ნერვების დამამშვიდებელი ტაბლეტები. რეკორდი აქ მაინც ქ. ლომმა დაამყარა, სადაც ყოველდღიურად ტაბლეტებისაგან სა-მი-ოთხი კაცი იწამლებოდა.

ბიც მხოლოდ მსუბუქად დაზიანდნენ). კიდევ მეტი, კარლ კლარკმა წარმოადგინა კინოფილმი, სადაც გადღებულა როგორ შეეჯახა კლდეს საათში 255 კილომეტრის სიჩქარით მიმავალი თვითმფრინავი; ნათელი გახდა, რომ ასეთი დაჯახების დროს, თვითმფრინავში რომ აღამიანები მსხდარიყვენ, ისინი ცოცხლები გადარჩებოდნენ.

კლარკის ვარაუდით, ნეილონის ტომრებით აღჭურვილი მანქანის ღირებულება, ჩვეულებრივი მანქანის ღირებულებასთან შედარებით, მხოლოდ 20 პროცენტით გაიზარდება; ეს კი მეტად მცირე თანხაა, როცა საკითხი აღამიანის სიცოცხლეს ეხება.



თანამედროვე ტორეადორები

ესპანური კორიდის ძირითადი წესები საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებოდა, მაგრამ სულ ახლახანს ამ საქმეში ერთგვარი სიხალე შეიტანეს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში. ხარებთან საბრძოლველად ამჟამად ტორეადორების გარდა ხშირად გამოდიან... ავტომანქანების შოფრები, რომლებიც არენაზე ჯამბაზების დამკრთვლებს მანქანებს და გულდაგულ მიიწევენ ხარებთან საბრძოლველად. ძნელი არ არის იმისი მიხედვრა, რომ ყველაფერ ამას აწყობს საავტომობილო ფირმა, რომელიც მონერხებულად ცდილობს რეკლამა გაუკეთოს თავის პროდუქციას.



ორიგინალური პროექტი

იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ავტომობილების კატასტროფით გამოწვეული მსხვერპლი, დოქტორმა კარლ კლარკმა (აშშ) შეიმუშავა რამდენიმე ორიგინალური პროექტი. ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, ავტომანქანის ძარას შეგინდნენ გამოეკრება ნეილონის პატარა ტომრები, რომლებიც ავარიის შემთხვევაში, თვალის დახამხამებაში ავტომობილს აივსება ჰაერით. „სიცოცხლის უზრუნველყოფის“ ამ სისტემის გამოცდამ, რომელიც კინოფირზე გადაიღეს, აჩვენა, რომ საათში 140 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობის დროს, დაჯახების შემთხვევაში, აღამიანის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ელის (მანქანაში აღამიანების ნაცვლად ისხდნენ მანეკენები, რომლებ-



იაპონური სტუმარ-მასპინძლობა

იაპონური სტუმარ-მასპინძლობის წესები ბევრ უცხოელს, შეიძლება მეტად უცნაური და წინააღმდეგობებით სახვე მოეჩვენოს. თუ თქვენ გინ-

დათ სტუმრად ეწვიოთ იაპონელის ოჯახს, ამისათვის საჭიროა თქვენი ვიზიტის შესახებ წინასწარვე აცნობოთ მასპინძელს. იაპონელი მასპინძელი თქვენ თავაზიანად შეგატყობინებთ არა მარტო იმ დროს, თუ როდის უნდა ეწვიოთ მას სტუმრად, არამედ მისი ოჯახიდან წასვლის დროსაც ზუსტად გაგისაზღვრავთ. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ საუბარში გართული სტუმარი ვერ ამჩნევს როგორ ამოიწურა დრო და იგი მოულოდნელად მარტოდმარტო აღმოჩნდება მისაღებ ოთახში. მისთვის ნათელი ხდება, რომ წესრიგის მოყვარული მასპინძელი შეუშინველად გაპარულა.

შეყოენებული სტუმრების გამოსაფხიზლებლად იაპონელებს აქვთ კიდევ სხვა საშუალება: ისინი იატაკზე ტარით სდებენ ცოცხს, რითაც სტუმარს მიანიშნებენ, რომ მისი წასვლის დრო დადგა.



მთავარსარდალი სმენაზე ღვას

როგორც ცნობილია, ნატოს შტაბი საფრანგეთიდან ბელგიაში გადაიტანეს. საზეიმო ცერემონიის დროს მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც დამსწრეთა შორის გაცემა გამოიწვია. ბელგიელებისათვის ამ არც თუ ისე სასიამოვნო ზეიმზე წარმოითქვა მრავალი მკვერმეტყველური სიტყვა, რომელთა დამთავრების შემდეგ ბელგიის სამხედრო საავიაციო ძალთა ორკესტრი ასრულებდა ბეთჰოვენის ოდას — „სიხარულისაკენ“.

ამ ცერემონიის ესწრებოდა ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ლემნიტერი, რომელსაც ბეთჰოვენის ოდა ბელგიის ნაციონალური ჰიმნი ეგონა. ამ ოდის შესრულების დროს გენერალი ყოველთვის ქუსლს ქუსლზე ჰკრავდა, სმენაზე დგებოდა და გაჯემული იძლეოდა სამხედრო სალაშს. იმისათვის რომ, მთავარსარდალი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ, დამსწრეები იძულებულნი იყვნენ უნებურად გაემეორებინათ მისი ჟესტები.

რას იზამთ, არაფერ უარყოფს იმას, რომ კლასიკურ მუსიკას პატივი უნდა სცე, მაგრამ მთავარსარდალმა, ბეთჰოვენის მუსიკა თუ არა, ნატოში შემავალი ქვეყნის ნაციონალური ჰიმნი მაინც უნდა იცოდეს!



„კიბოები“ უკან გრუნდებიან

უჩვეულო ამბავი შეემთხვათ პოლონეთის საექსპორტო ვაჭრობის მუშაკებს. ინგლისიდან მათ მიიღეს რეკლამაცია მეტად პოპულარული პოლონური კამფეტის „კიბოების“ გამო. ამ კამფეტის შემოსახვევზე დახატულია კიბო. ინგლისში კი მკაცრად აღევნებენ თვალყურს იმას, რომ საქონლის ეტიკეტი შეესაბამებოდეს თვით საქონელს, და რადგან, შემოსახვევზე დახატულია კიბო, შიგნით არაფრით არ შეიძლება იყოს კამფეტი! ამის გამო „კიბოები“ უკან დააბრუნეს.



მაჟრნალოგან... მუსიკით

პოლონეთის პოპულარულ კურორტ კუდოგა-ზდრუიზე მუშაობს სპეციალური ლაბორატორია, რომლის მიზანია შეისწავლოს, თუ რა გავლენას ახდენს მუსიკა აღამიანის ჯანმრთელობაზე. აქაური ექიმები სხვადასხვა პროცედურებთან ერთად ავადმყოფებს უწერენ... მონიშნულსაც (სტანინსლავ მონიუშკო პოლონური მუსიკის კლასიკოსია). უკვე ხუთი წელია, რაც აღნიშნულ კურორტზე სისტემატურად ეწყობა კონცერტები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საუკეთესო კოლექტივები და სოლისტები.

მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ოსტატი დაუნდობლად ჰგზავნი სასაკლაოზე საკუთარ ფიგურებს, არ ერიდება მსხვერპლს, ოღონდ კი მოწინააღმდეგე დალაშქროს. ბუხუტის მოსწონს ნანას თამაშის მანერა. ამავე დროს, ეს დიად გამოცდილი მოჭადრაკე იმაზე ფიქრობს, რომ ნანას გაცნოს ისეთი „საიდუმლოებანი“, რომელიც ჩვენი ჩემპიონისათვის ჭრჭერობით ხელმისაწვდომი არ უოფილა, თუნდაც მისი ასაკის გამო. ასეთ საიდუმლოებებს ბუხუტი ხედავს პოზიციური თამაშის სფეროში, მაგრამ გამოთქვამს რწმენას, რომ იშვიათი შრომისმოყვარე ქალიშვილი ყველაფერს ათვისებს.


პრეტენდენტების ტურნირი მის შესახებ ნანა აქამდე მხოლოდ გაზეთებში თუ კითხულობდა. მაგრამ გაივლის კიდევ რამდენიმე თვე და მსოფლიოს 18 უძლიერესი ოსტატი თავს მოიყრის იუგოსლავიაში. შეჯიბრების პირობები მკაცრზე უმკაცრესია. ოქტომბერში შევიტუბთ არა მარტო 17 დამარცხებულის, არამედ იმ ერთი ბედნიერი გამარჯვებულის გვარსაც, რომელიც 1968 წელს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეს — ნონა გაფრინდაშვილს უნდა შეხედეს. რამდენი ოსტატი ოცნებობს ამ მომავალ მატჩზე? ბაქოელი ტატიანა ზატულოვსკაია ნანაზე მეტად ნაწყენია, მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა ოსტატმა „ხელიდან გამოგლიჯა“ ჩემპიონობა. ამასვე ფიქრობს გარეგნულად წყნარი, მაგრამ ჭადრაკში საოცრად ავი ვალენტინა კოლოვსკაია: დიდ იმედებს ამყარებენ 20 წლის ალექსანდრა კისლოვსკაე, რომელმაც კიევიში ყველა გააოცა — ჩემპიონატში პირველად მონაწილეობის მიუხედავად, ვერცხლის მედალს დაეუფლა. 1965 წელს, როდესაც რიგიდან მივემგზავრებოდით, ალა კუშნირის მწვრთნელმა, ოსტატმა ვ. იურკოვმა მითხრა: „ჩვენ როდი დაგვიყრია ფარხმალი. აი, ნახავთ, 1968 წელს ისევ ნონა და ალა შეხვდებიან ერთმანეთს“. ვნახოთ! ისტორია ხანდახან მეორდება, ვინ იცის...

უცხოელებსაც ნუ დავივიწყებთ! საოცრად გრაციოზული, როგორც ჭადრაკში, ისე ცხოვრებაშიც — მილუნკა ლაზარევიჩი, მეთოდური და მტკიცე ვერიცა ნედელკოვიჩი, რუმინეთის უძლიერესი ოსტატი ალექსანდრა ნიკოლაუ და მრავალი სხვა ახლა გაფაციცებით ეშვადება. ყველას თავისი დარდი და იმედი აქვს. ლაზარევიჩის მხარეზეა არა მარტო „საკუთარი მინდორი“, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი მორალური ფაქტორიც, როგორცაა თანაბარი ანგარიში ნონა გაფრინდაშვილთან.

არა, ნანა არ შეუშინდება ამ გამოჩენილ „ვარსკვლავებს“. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, პრეტენდენტთა ტურნირი ბევრად როდია ძლიერი საკავშირო ჩემპიონატზე, თუმცა უცხოეთში პირველად მოგზაურობა და უჩვეულო პირობებში თამაში დამატებით სიძნელეებს ქმნის, მაგრამ ვინც 17 წლის ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მისგან არც ის იქნება მოულოდნელი, კიდევ ერთი საფეხური დასძლიოს და პრეტენდენტებსაც ფარხმალი დააყრდენოს.

დღემდე იუგოსლავია ნამდვილი „სამოთხე“ იყო მიხეილ ტალისათვის, ისეთივე ბედნიერების მომტანი, როგორც კიევი — ნანასათვის. ტალი იუგოსლავიაში იკავებს მხოლოდ პირველ ადგილებს. დეე, ასეთივე იყოს ეს ქვეყანა „ქალების ტალისათვის“ — ნანა ალექსანდრისათვის. მაშინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატი, როგორც ეს კლარა ზვორიკინამ თქვა, „საქართველოს შინაური საქმე“ გახდება.

გივი გამრეკელი



ერთი მდიდარი კაცი, იმავე დროს, ნამდვილ ჭკუის კოლოფადაც ითვლებოდა; მის აზრს მუდამ ანგარიშს უწევდნენ და ამიტომაც სტუმარი გამოუღვევლად ესტოდა. ისხდნენ, საუბრობდნენ, თანაც, მასპინძელს ძლიერ უყვარდა გასართობი ამბების მოსმენა. ვინც კი ეწვეოდა, შინაური იქნებოდა თუ გარეული, აუცილებლად უნდა ეამბნა თავს ვალაბდენილი, ანდა სხვისგან მოსმენილი რაიმე სახალისო შემთხვევა.

ერთხელ დიდალა ხალხმა მოიყარა მასთან თავი. სასმელ-საჭმელს შეეპყროდნენ და თან სამხიარულო ამბებს ჰყვებოდნენ.

სტუმართა შორის ერთი ტანმორჩილი კაცი კუთხეში წყნარად მიმჯდარიყო და საერთო საუბარში არ ერეოდა.

- შენც გვიამბე რამე, ძმობილო! — სთხოვა მასპინძელმა.
- მე მხოლოდ ერთი შტერის ამბავი ვიცი და განა ასეთ პატივსაცემ ხალხში ღირს იმის მოყოლა, — მოიბობღმა ტანმორჩილმა კაცმა.
- რატომაც არა, თუ სახალისოა!
- კეთილი, — მიუგო სტუმარმა და დაიწყო:
- ჩვენს ქუჩაზე ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ცხოვრობს, რომელიც დიდი ხანია განთქმულია თავისი სისულელითა და უცნაურობით. ერთხელ ჭიბეში ქათმის ათი კვერცხი ჩაეიწყე და როცა მომიახლოვდა, ვკითხე:
- აბა თუ მიხვდები რა მიწყევია პალტოს ჭიბეში? თუ გამოიცნობ, კვერცხების ნახევარი შენი იყოს. თუ რაოდენობაააც მიხვდები, მაშინ ათივეს შენ მოგცემ.

- სულელი ჩაფიქრდა და მომიგო:
- მე მძაო გულთმისანი ხომ არა ვარ, როგორ უნდა გამოვიცნო, როცა თვალთ არ მინახავს? ცოტათი მაინც მიმახვედრე.
- აბა, მამ მისმინე: საჭმელად იყენებენ, ნაჭუჭი თეთრი აქვს, გული კი — ყვითელი.
- მივხვდი, მივხვდი, — წამოიძახა სიხარულით სულელმა, — ეგ არის ქორვა სტაფილო, რომელსაც გარშემო თეთრი ბოლოკი აქვს შემოწყობილი. ყველა ხარხარებდა. განსაკუთრებით კი — მასპინძელი.
- როცა სიცილით გული იჭერეს და დაწყნარდნენ, მასპინძელმა ჰკითხა:
- მაინც რა გეწყო პალტოს ჭიბეში, რაზედაც ის შტერი ამდენხანს აწვალე?

მასპინძელი ამის შემდეგაც მაინც ძლიერ ჰკვიან და საზრისიან კაცად იყო მიჩნეული.

გერმანულიდან თარგმნა
შ. აშირანაშვილიმა

გარეკანის პირველ გვერდზე: ტელესტუდიის დიქტორი ქანტა ასლამაშვილი.
ფოტო ოთარ თურქიასი; მეოთხე გვერდზე: მისი გზაზე. ფოტო ედუარდ პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ.მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. | ი. ტაბალა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ.მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | უახლესი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/1-67 წ. გამოცემა № 8, ქაღ. ზომა 70x108/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა -4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 36.200. შეკვ. № 182, უფ 01940

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



შესვნი -აუგონი- სენი

„დონის კარიკატურა ფორმით ქართული, ნაციონალური კარიკატურაა და აღბეჭდილია ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი მახვილი იუმორით“, ასე წერდა ჩვენი სახელოვანი პოეტი იოსებ გრიშაშვილი მხატვარ დონის — დავით ნაცვლიშვილის შემოქმედებაზე.

ვინც გულდასმით აღევნებს თვალს ჩვენს პრესას ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე, მან კარგად იცის, თუ რაოდენ დიდი ამაგი დასდო დონმა ქართული კარიკატურის განვითარებას. ამ საქმემ მხატვარი ახალგაზრდობის წლებიდანვე გაიტაცა.

დავით ნაცვლიშვილმა ბავშვობიდანვე გატაცებით შეიყვარა პრესა — გაზეთი და ჟურნალი. მამამისი იყო ცნობილი მწერალი და პედაგოგი ლადო ბზვანელი, ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეგობარი, „ივერიისა“ და სხვა — ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი, ავტორი წიგნისა „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დავით ნაცვლიშვილი სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე; იმავე დროს, მას ხშირად ვხვდავთ სამხატვრო აკადემიაში. აქ იგი გაეცნო ცნობილ ქართველ და რუს მხატვრებს. პირველი კაცი, რომელმაც მას მისცა სტიმული დაეწყო მუშაობა კარიკატურის დარგში, იყო „ნინავის“ რედაქტორი მწერალი ნოე ზომლეთელი. ეს იყო 1928 წელს; ამ ხანებში დონი „ნინავის“ უაღრესად აქტიური თანამშრომელი ხდება. ამიერიდან იშვიათად დასახელებთ ჩვენი ცხოვრების რომელიმე უბანს, რასაც მისი ფანქარი არ შეხებოდეს; ის მუდამ იბრძვის ახლისათვის, იბრძვის ყოველივე ჩამორჩენილისა და დახავებული ადამიანისათვის. მისი ნახატები გამოვიდა ცალკე წიგნებადაც — პირველი წიგნი, „ხუმრობის გარეშე“, 1951 წელს, ხოლო მეორე — „ფანქრის წვერზე“, 1957 წელს.



მე-18 საუკუნის ქართული პრესა ხშირად მიმართავდა კარიკატურის უნარს; ასე იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც, კერძოდ, იმ ხანებში ძალზე პოპულარული იყო ოსკარ შმერლინგის კარიკატურები. ნაყოფიერად მუშაობდა ამ დარგში მხატვარი შალვა ქიქოძე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მეტად ადრე გარდაიცვალა; ამ სფეროში თავისი წვლილი შეიტანეს სხვა ქართველმა მხატვრებმაც, მაგრამ შე-

იძლება ითქვას, რომ პირველი მხატვარი-იუმორისტი, რომელმაც ეს საქმე თავის პროფესიად აქცია, არის დავით ნაცვლიშვილი. დონის კარიკატურები, შარუები იდეითაც და ფორმითაც ძალიან ნათელია და მოქმედი; მისი ჩანახატები იმდენად ორიგინალური და თავისებურია, რომ მკითხველს შეუძლია ხელმოუწერლადაც იცნოს გაზეთში თუ ჟურნალში დაბეჭდილი მისი კა-

რიკატურა, შარუი თუ სატირა. გარდა ყოფითი თემებისა, მხატვარს მრავალი ნაწარმოები შეუქმნია საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების თემებზე. მხატვარი დღესაც ენერგიულად განაგრძობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას. ჟურნალის ამ გვერდზე ჩვენ ვაქვეყნებთ დავით ნაცვლიშვილის ნამუშევარს თემაზე — „ძველი თბილისი“.

6118/44

